K 171864/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

/2

ვახტანგ ჯოჯუა

კურორტი ბაგრა და მისი განვითარების პერსპექტივები

ვახტანგ ჯოჯუა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კურორტი
გაგრა
და
მისი
განვითარების
პერსპექტივები

К 171 867
3

სპეც-2000
შეძენილია

გამომცემლობა „ალაშარა“
სოხუმი — 1977

ბ. ნასრძლის სახ. საქ. სახელმწიფო
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა
თბილისი

615.8(С412)
Ж 78

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ჯოჯუას წინამდებარე ნაშრომში სათანადო წყაროების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე გაშუქებულია გაგრის ისტორიული წარსული, ქალაქის კლიმატური სადგურის დაარსების, მისი მშენებლობისა და ექსპლოატაციაში შესვლის საკითხები. ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა დღევანდელ გაგრას, მის მშრომელ ადამიანებს. ავტორი მოვვითხრობს აგრეთვე კურორტის მომავალზე, აცნობს მკითხველს გენერალური გეგმით გათვალისწინებულ ახალმშენებლობებს.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი
პროფ. ვ. ჭანია

М-622 © გამომცემლობა „ალაშარა“, 1977

83ბ7ბ 20,0 – 10

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაგრის ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი-კურორტი გაგრა მდებარეობს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმიდან 90 კმ-ისა და ქალაქ სოჭიდან 65კმ-ის დაშორებით. მისი ტერიტორია ვიწრო ზოლად გასდევს შავი ზღვის სანაპიროს. იგი ზღვის დონიდან 22 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

გაგრის ზონის დასავლეთი საზღვარი გადის მდინარე ფსოუს გაყოლებით და ემიჯნება კრასნოდარის მხარეს, ხოლო აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე ბზიფის გაყოლებით — გუდაუთის რაიონს.

ქალაქის თავზე აღმართულია ქედები, რომლებიც ტყითაა დაფარული და იცავს კურორტს ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ცივი ქარებისაგან. საშუალო წლიური ტემპერატურა ზამთარში პლუს 7-8 გრადუსია, გაზაფხულში 11 გრადუსი, ზაფხულში 22-24 გრადუსი, შემოდგომისა კი 19 გრადუსი. ზღვის ტემპერატურა 16-24 გრადუსს უდრის.

ატმოსფერულ ნალექთა რაოდენობა წლის მანძილზე 1300-1340 მილიმეტრია, ბარომეტრული წნევა თითქმის ყოველთვის 760-ს უდრის, ჰაერის ტენიანობა საშუალოდ 72 პროცენტია. წლის განმავლობაში ატმოსფერული ნალექები საშუალოდ 140 დღეზე მოდის, რომელიც თითქმის თანაბრად ნაწილდება წლის მანძილზე. წლის დანარჩენ დღეს მზე აცხუნებს და ცა მუდამ მოწმენდილია. გაგრის კლიმატი ისეთივეა, როგორც გუდაუთის, ახალი ათონის, სოხუმის, აგუძერისა და გულრიფშისა, მხოლოდ ზამთარი აქ უფრო თბილია.

გაგრა კავკასიის შავიზღვისპირეთის ყველაზე უფრო თბილი ადგილია. განედის მიმართულებით 1.878 მეტრის სიმაღლეზე აღმართულია მთა მამზიშხა, ქედები: აჩმარდა, ბერჩილი, ზირხუ, ციგოხუ, აუცა და სხვა, რომლებიც არაბიკ-ახაგეშის ცენტრალური მასივით უერთდებიან კავკასიის მთავარ ქედს.

გაგრის ზონისათვის დამახასიათებელია წმინდა კარსტული რელიეფი. რადგანაც რელიეფი ქვითკირის ქანებისაგან შედგება, იგი წყალში ადვილად იხსნება და ხელს უწყობს კარსტული

ხრამების წარმოშობას. გაგრის მასივებში უკანასკნელ წლებში აღმოჩენილ იქნა უდიდესი კარსტული ხრამები სახელწოდებით: ვახუშტი, კრუბერა, დრუჟბა და სხვა.

მთავარი მდინარეებია: ხაშუფსე, ცანდრიფში, გეგა, ჟოეკვარა.

მდიდარია გაგრის ქედები ტყის მასივებით, სადაც იზრდება მუხა, წაბლი, ფიჭვი, რცხილა, წიფელა, მთის მაღალ მწვერვალებზე გავრცელებულია სუბალპური მცენარეები, რომელიც დამახასიათებელია კარსტული მასივებისათვის (ალპური ვიკა და სხვა).

კულტურული მცენარეებიდან გაგრაში გვხვდება ყველა ის ფორმა, რაც დამახასიათებელია სუბტროპიკული ზონისათვის, კერძოდ: მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, პომერანცი, ლეღვი, ბროწეული, მუშმალა, იაპონური და კავკასიური ხურმა. დეკორატიული მცენარეებიდან: პალმა, ხამეროპსი, ლატანი, მაგნოლია, პაულონიი, ოლეანდრი და სხვა. ბევრია დაფნა, წყავი, პონტოს როდოდენდრონი, ბზა, იელი და სხვა. გაგრის ზღვისპირა პარკი სავსეა ტროპიკული სამხრეთის სხვადასხვა მცენარეულობით.

გაგრა როგორც კურორტი ხასიათდება მთისა და ზღვის სუბტროპიკული ჰავით. ამ ორი ჰავის შერწყმა ქმნის ჯანსაღ კლიმატს. გაგრაში ჰქრის ე. წ. „ბრიზები", რომლის სიმძლავრე არც თუ ისე საგრძნობია, მაგრამ მთელი დღე-ღამის განმავლობაში აჯანსაღებს ატმოსფეროს.

გაგრის ტერიტორიაზე ერთ ძმურ ოჯახად ცხოვრობენ აფხაზები, ქართველები, რუსები, სომხები, ესტონელები, ბერძნები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, რომლებიც თავდადებული შრომით ქმნიან სახალხო დოვლათს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობები გაგრის შესახებ ძველი და საშუალო საუკუნეების წყაროებში. გაგრა — რუსეთის ციხე-სიმაგრე XIX საუკუნეში

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია დასახლებული იყო ჯერ კიდევ პალეოლითის ეპოქაში. აფხაზეთის პალეოლითური სადგომები აღიარებულია ძველი ქვის ხანის ერთ-ერთ უძველეს დასახლებად საბჭოთა კავშირში.

პირველყოფილი ტომები თავდაპირველად მდინარეებისა და ტბების სანაპიროებზე ესახლებოდნენ, მისდევდნენ კოლექტიურ ნადირობას და ბუნების ნაბოძები ნაყოფის შეგროვებით იკვებებოდნენ. სიცივისა და უამინდობის შემთხვევაში თავშესაფარს მღვიმეებსა და გამოქვაბულებში ეძებდნენ.

თანამედროვე გაგრის ტერიტორიაც პირველყოფილი ადამიანებით იყო დასახლებული, ამის შესახებ ნათლად მეტყველებს მდინარე ციხერვის მარცხენა სანაპიროზე ნაპოვნი ზედაპალეოლითის დროის სადგომთა ნაშთები, სადაც 20 ათასი წლის წინათ ცხოვრობდნენ ადამიანები[1]

ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელება ჰპოვა კოლხურ-კობანურმა ბრინჯაოს კულტურამ (სახელწოდება „კობანური" მიიღო ოსეთის სოფელ კობიდან, სადაც პირველად იქნა აღმოჩენილი ეს ძეგლები). ანალოგიური ნივთები იქნა აღმოჩენილი შავი ზღვის სანაპიროს ჩრდილო-აღმოსავლეთის ტერიტორიაზე (ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე). ამრიგად, უკვე მეორე ათასწლეულში ადგილობრივი მოსახლეობისათვის ცნობილი იყო სპილენძისა და ბრინჯაოს დამუშავება, დიდად განვითარებული იყო ბრინჯაოს კოლხურ-კობანური კულტურის ფორმები და ტექნიკა.

კოლხურ-კობანური ბრინჯაოს ნაწარმი ნაპოვნია გაგრის ახლოს — ბიჭვინთაში, სოფ. მუგუძირხვაში და ეშერაში, 1952 წელს სოფ. ლიხნში აღმოჩენილ იქნა 40 ბრინჯაოს ნაჯახი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე XII-XI საუკუნეს განეკუთვნება, ასევე ბრინჯაოსაგან მზადდებოდა მშვილდ-ისრები,

---

1 **ს. ნ. ზამიატნინი, „ნარკვევები პალეოლითზე", მოსკოვი, 1961, გვ. 70.**

შუბისწვერები, ხანჯლები. სამკაულებიდან: სამაჯურები, ქინძისთავები, საყურეები, სკულპტურული გამოსახულებანი და სხვა.[2]

ქალაქ გაგრის სამხრეთით, ზღვის სანაპიროზე ჩვენი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში არსებობდა მეთევზეთა დასახლება. არქეოლოგების ლ. ნ. სოლოვიოვისა და ვ. ვ. ბჟანიას მიერ წარმოებული გათხრების შედეგად ნაპოვნია საფლავი, რომელმაც ჩვენს დრომდე შემოინახა იმდროინდელი დასაფლავების წესები: ნაპოვნ თიხის ვეება ქილაში მოთავსებული იყო თავის ქალა, ხოლო მის გარშემო — მიმოფანტული ძვლები მიცვალებულისა. უფრო გვიანდელი დროის ადამიანის ნაკვალევი გვხვდება აგრეთვე თითქმის მთელი გაგრის ტერიტორიაზე, — ეს ბრინჯაოს საბრძოლო ხანჯლები და ნაჯახებია, ასევე ნაპოვნია ორნამენტული კერამიკის ნაწარმი. ნაპოვნ განძეულობათა შორის აღსანიშნავია 1935 წელს სანატორიუმ „ჩაიგრუზიას“ მშენებლობის დროს ნაპოვნი 10 ბრინჯაოს ნაჯახი ცანდრიფშული ტიპისა, რომელიც თავისებური კონტურებით განსხვავდება.

VI საუკუნის დასაწყისში გაგრის გასასვლელი სტრატეგიული მიზნებისათვის გამოყენებული ჰქონდათ სკვითებს, ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ გაგრის აღმოსავლეთით, კერძოდ სოფ. კოლხიდაში ნაპოვნი მშვენიერი სკვითური ხანჯალი ბრინჯაოს ქარქაშით.

რომის იმპერატორ დეციას მმართველობის პერიოდში, კერძოდ ქრისტეს დაბადებიდან 294 წელს, შავი ზღვისპირეთის ტერიტორია გავერანებულ იქნა სკვითების მიერ, ზღვისპირეთის მცხოვრებლებმა მთებს შეაფარეს თავი, სკვითები პირველ რიგში თავს დაესხნენ ბიჭვინთას. ქალაქი მაღალი კედლით იყო გარემოცული, მისი უბე კარგად იყო დაცული ზღვის ტალღებისაგან. ქალაქს იცავდა გამოცდილი მხედართუფროსი სუკესსიანი, რომელმაც საკადრისი პასუხი გასცა მომხდურთ. სკვითებმა დიდი დანაკლისით უკან დაიხიეს.[3]

აფხაზეთის ტერიტორიაზე ბევრგან ვხვდებით ქვის სამარხებს — დოლმენებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სამარხად იყო გამოყენებული (კერძოდ II ათასწლეულიდან, ხოლო ზოგიერთ ადგილებში ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეშიც კი). გამომდინარე აქედან დოლმენებში ნაპოვნი ნივთები სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება. დოლმენები ნა-

---

2 **შ. ინალ-იფა**, „აფხაზები“, სოხუმი, 1960, გვ. 27.

3 **ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი**, „გაგრა და მისი შემოგარენი“, თბილისი, 1903 გვ. 38.

პოვნია ქალაქ გაგრის სამხრეთ მიდამოებში, მთის ფერდობებზე, სადაც აღმოჩნდა ბრინჯაოსაგან დამზადებული იარაღები, კერამიკული ჭურჭელი, ქალის სამკაულები, ხორბლის საფქვავი მოწყობილობა და სხვა.[4]

პირველი საუკუნის ბერძენი გეოგრაფისა და ისტორიკოსის სტრაბონის ცნობით გაგრის გარშემო მდებარე ტერიტორია დასახლებული იყო ძველი აფხაზური ტომებით, რომლებიც გენიოხებად იწოდებოდნენ, ისინი ნაოსნობას, თევზჭერას, ნადირობას, მეფუტკრეობას და მიწათმოქმედებას მისდევდნენ. ისინი უმეტესად გარეული ნადირის ხორცით იკვებებოდნენ.[5] განსაკუთრებით მდიდარი იყო ნადირით სანაპირო ტერიტორია ბზიფსა და გაგრას შორის. ნანადირევ პროდუქტს ადრეულ პერიოდში უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა, იგი ვაჭრობისა და გაცვლა-გამოცვლის საგანს წარმოადგენდა, აფხაზეთში ნადირობის გავრცელებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1634 წელს სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა, გაილაშქრა რა აფხაზეთში, დაამარცხა მთავრის ჯარი და დაადო ხარკი მონადირე ძაღლებზე და მიმინოებზე, რომლებიც ბლომად იყო ამ ქვეყანაში.[6]

შავი ზღვისპირას მცხოვრები მოსახლეობის კულტურულ და ეკონომიურ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ზღვასა და ნადირობას. ანტიკურ ავტორთა შორის ამის შესახებ მთავარი ცნობები სტრაბონს ეკუთვნის, რომელიც ამბობს, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ნაოსნობა განსაკუთრებით განვითარებული იყო გენიოხთა შორის, რომლებსაც ეჭირათ ზღვის სანაპირო უშუალოდ „უდიდესი პიტიუნტის“ ახლოს, გენიოხები ბატონობდნენ ზღვაზე და როგორც ზღვის მეკობრენი ვაჭართა რისხვად ითვლებოდნენ.[7] აფხაზთა შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს მეკობრეობაც შეადგენდა. ფრანგი მოგზაური შარდენი აღნიშნავს, რომ იგი 1672 წელს, როცა სამეგრელოში იმყოფებოდა, მოწმე გახდა აფხაზთა თავდასხმისა:

„12 ნოემბერს მე უნდა გადავმსხდარვიყავი გემზე, მაგრამ ამას ხელი შეუშალა ცნობამ იმის შესახებ, რომ ჩერქეზ-აფხაზთა გემები დაძრწიან სამეგრელოს სანაპიროს გასწვრივ... მათ გაიტაცეს ადგილობრივი გემები და მათ შორის ისიც, რომელიც მე დავიქირავე“.[8]

---

4 **შ. ინალ-იფა,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 26.

5 **ვ. ვ. ლატიშევი,** „ძველი მწერლების ცნობები სკვ[illegible]ეთისა და კავკასიის შესახებ“, მოსკოვი, 1944, გვ. 224.

6 **არკ. ლამბერტი,** „კოლხეთის აღწერა“, თბილისი, 1913, გვ. 24.

7 **შ. ინალ-იფა,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 177.

8 **ჟ. შარდენი,** „მოგზაურობა ამიერკავკასიის გარშემო 1672-1673 წწ.“, თბილისი, 1902, გვ. 20.

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით, „აფხაზები ზღვაში დაცურავენ გემებით, რომლებშიც 100, 200 და 300 კაციც კი თავსდება და თავს ესხმიან ოსმალთა და ლაზ-ჭანთა გემებს, უმთავრესად გურიისა და სამეგრელოს სანაპიროებზე. ზღვაში შეტაკებისას აფხაზები შეუპოვარნი და მტკიცენი არიან".[9]

აფხაზები მისდევდნენ აგრეთვე დელფინებზე ნადირობას, ბადეებით იჭერდნენ მათ, ადნობდნენ მისგან ქონს და ჰყიდდნენ.[10]

გაგრის ახლოს, ბიჭვინთაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლები თითქმის საუკუნის მეოთხედია არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით. არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათელი მოჰფინა ამ უძველესი ქალაქის ისტორიას, ნაპოვნი იქნა უძველესი ქუჩები, მონუმენტური ტაძრები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ნაგებობანი და საკულტო მშენებლობანი, რომლებიც მიგვითითებს, რომ ბიჭვინთა კავკასიაში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების უდიდეს ცენტრად ითვლებოდა. არქეოლოგების რ. ფუტურიძის, ო. ლორთქიფანიძის, ლ. ასათიანისა და კ. ბერძენიშვილის მიერ ნაპოვნია გრანდიოზული არქიტექტურული კომპლექსები, რომელიც ჩვ. წ. II-III საუკუნეს განეკუთვნება, ასევე სამზარეულო კერამიკა, ნუმიზმატიკური მასალები, კერძოდ ბიჭვინთაში ნაპოვნია 1.400 ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, რომლებიც სხვადასხვა ეპოქას განეკუთვნება. ნაპოვნი მონეტები შუქს ფენენ ბიჭვინთის როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიურ ისტორიას, ამტკიცებს, რომ ბიჭვინთას ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდა მცირე აზიის ქალაქებთან, სწორედ ბიჭვინთაში ნაპოვნი IV საუკუნის 500 მონეტიდან უმრავლესობა გამოშვებულია მცირე აზიის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცენტრებში.

გაგრის ზონის ტერიტორიაზე ძველი და ახალი ქვის (პალეოლითი-ნეოლითი) ხანის ადამიანის არსებობა-მოსაქმეობაზე ღაღადებენ გაგრის ზონის სოფ. ხეივნის № 2 საშუალო სკოლის მუზეუმში გამოფენილი უნიკალური ექსპონატები, რომლებიც ცნობილი მხარეთმცოდნის ნიკოლოზ გუმილევსკის თაოსნობით იქნა მიკვლეული და შეგროვებული. მუზეუმი სამი განყოფილებისაგან შედგება: არქეოლოგიური, პალეონტოლოგიური, და გეოლოგიური, სადაც წარმოდგენილია ასი ათასამ-

---

[9] ციტ. აკად. ნ. მარის წიგნიდან „აფხაზთა ენისა და ისტორიის შესახებ", 1938, გვ. 143.

[10] **შ. ინალ-იფა,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 124.

დე სხვადასხვა ექსპონატი, მათ შორის უძველეს ადამიანთა სადგომებში ნაპოვნი საბრძოლო და საყოფაცხოვრებო იარაღები, ჭურჭელი, კავკასიაში გავრცელებული მინერალები და სხვა. აღნიშნული სკოლის ყოფილი მოსწავლის ს. იუჰანსონის მიერ გაგრის ზონის სოფ. სულევის ერთ-ერთ უძველეს ადამიანის სადგომში ნაპოვნი ჩონჩხი და საბრძოლო იარაღი მუზეუმის ბრწყინვალე ექსპონატად ითვლება.



პრინცის სასახლე. ამჟამად სანატორიუმი „ჩაიკა“

აღნიშნულ სასკოლო მუზეუმს მაღალი შეფასება მისცეს სპეციალისტებმა. აი, რას წერს ცნობილი არქეოლოგი ვ. ლიუბინი: „ძვირფასო ბავშვებო! თქვენი შრომით აქ შეგროვებულია იმდენად მდიდარი და ფასიანი კოლექცია, რაც იშვიათად თუ შეიძლება ნახოს კაცმა მოსკოვისა და ლენინგრადის საუკეთესო მუზეუმებში“.[11]

დღევანდელი გაგრა, როგორც ციხე-სიმაგრე, ცნობილია ჯერ კიდევ უძველესი დროიდან. მისი დაარსება ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეს მიეკუთვნება.

ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში ბერძნების მიერ დღევანდელ გაგრაში დაარსებულ იქნა პატარა კოლონია „ტრიგლიტის“ სახელწოდებით, ხოლო „ტრიგლიტის“ ნანგრევებზე რომაელებმა ააგეს ციხე-სიმაგრე „ნიტიკა“, XI საუკუნეში

[11] გაზ. „ავანგარდი“, 1972 წლის 9 სექტემბერი, № 107.

კი ბიზანტიელებმა შეცვალეს მისი სახელწოდება და „ტრაქეა“ უწოდეს. უფრო გვიან კი ციხე-სიმაგრე სხვადასხვანაირად იწოდებოდა: „კაკარა“, „ხაკარი“, „კაკური“, „ბალადაგი“ და სხვ.[12]

ტოპონიმიკურ ლიტერატურაში გაგრის ეტიმოლოგია უცნობია. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ფაჩულია ამტკიცებს, რომ გაგრის თანამედროვე სახელწოდება წარმოსდგება უძველესი აფხაზური საგვარეულო „გაგაადან“.

ცნობილია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ფეოდალთა მიწა-წყალი იწოდებოდა ამა თუ იმ მემამულის გვარით და ემატებოდა ბოლოსართი „ფშ“, რაც „საუფლისწულოს“ ნიშნავდა. „გაგრიფში“ ნიშნავდა გაგრა საუფლისწულოს. მემამულე ცანბას მფლობელობაში მყოფ ადგილს სწორედ მისი გვარის მიხედვით ცანდრიფში დაერქვა. ამგვარადვეა მიღებული „მიხელრიფში“, „დურიფში“, „გულრიფში“, „ზვანდრიფში“ და სხვა. გამომდინარე აქედან, სავარაუდოა თანამედროვე გაგრას უძველესი საგვარეულო ტომების „გაგაას“ მიხედვით ეწოდა გაგრა, მაგრამ არსებობს კიდევ სხვაგვარი მოსაზრებანი ამ საკითხზე. ცნობილი არქეოლოგი ვ. ი. ჩერნიავსკი, რომელიც მუდმივად ქ. სოხუმში ცხოვრობდა, ამახვილებს ყურადღებას გაგრის მიწისქვეშა სიმაგრეზე და ამბობს, რომ ეს უძველესი სიმაგრე ბოგგრად იწოდებოდაო (აფხაზურად გაგრა) და არსებობს ლეგენდა ამ მიუვალ მიწისქვეშა სიმაგრის ლაბირინთებში ჩაფლული სიმდიდრის შესახებო.[13]

ჩვენი მოსაზრება ამ საკითხზე ასეთია: ამჟამად ქალაქ გაგრისა და გუდაუთის რაიონის ტერიტორიაზე ცხოვრობენ „გააგასა“ და „გაგრიფშის“ გვარის მატარებელი მოქალაქენი. (1960 წლიდან 1968 წლამდე ქალაქ გაგრის დაბა განთიადის № 2 სკოლა-ინტერნატში სწავლობდა მოსწავლე გააგა, რომელმაც 8 კლასი იქვე დაამთავრა). რადგანაც ფეოდალიზმის ეპოქაში ამა თუ იმ საუფლისწულო მამულს მებატონე ფეოდალთა გვარებს უწოდებდნენ, ადვილი შესაძლებელია თანამედროვე გაგრასაც „გააგას“ მიხედვით ეწოდა გაგრა (გაგრას გააგა უფრო შეესატყვისება, ვიდრე ვ. ფაჩულიასეული „გაგაა“). დასაშვებია ისიც, რომ სახელწოდების ხმარების პროცესში „გააგადან“ ერთი ა ამოვარდა, ბოლო გ-ს დაემატა რ და მივიღეთ „გაგრა“. ზემოთ აღნიშნული ვერსიები ანუ მტკიცებანი მიახლოებითია და ჰიპოთეზა „გაგრის“ ტოპონიმის შესახებ საჭიროებს შემდგომ დაზუსტებას.

---

[12] **ნ. ი. ვორობიოვი,** „კავკასიის შავიზღვისპირეთი“, პეტერბურგი, 1916, გვ. 33.

[13] **გ. გ. მოსკვიჩი,** „კავკასია“, ოდესა, 1903, გვ. 428.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთი ისევე როგორც მთელი კოლხეთი პონტოს მეფის მითრიდატე VI-ის ხელქვეით იმყოფებოდა, ხოლო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 65 წელს აფხაზეთს რომაელები დაეუფლნენ. პონტოს სამეფოსა და რომს შორის ომი მეოთხედი საუკუნე გრძელდებოდა, მითრიდატე პონტოელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 66 წელს აფხაზეთში შემოიჭრა, რომის აგრესიის წინააღმდეგ საჭირო ძალების მობილიზაციის მიზნით, თავისი ჯარით დიოსკურიაში გამოიზამთრა, მაგრამ რომაელებთან უკანასკნელი შეტაკებისას სასტიკი დამარცხება განიცადა და ჩვენს წელთაღრიცხვამდე 65 წელს იძულებული შეიქმნა ბიჭვინთიდან ქიმერიის ბოსფორში (ამჟამად ქერჩში) გაქცეულიყო, ხოლო ბიჭვინთას რომაელები დაეუფლნენ და თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს.[14] ანხორციელებდნენ რა თავიანთ სამხედრო-სტრატეგიულ და პოლიტიკურ მიზნებს, რომაელებმა აფხაზეთის გამაგრებულ ციხე-ქალაქები თავიანთ სამხედრო-ფორპოსტებად აქციეს, რომაელთა ერთ-ერთი ასეთი ფორპოსტი გაგრის ციხე-სიმაგრეც იყო.

გაგრის მიწა-წყალი რამდენიმეჯერ იქნა დარბეული ბერძნებისა და რომაელების მიერ, აქ უთარეშნიათ გენუელებსა და ბიზანტიელებს, თურქთა ურდოებს და მრავალ სხვა დამპყრობლებს. უცხოელები აქ აარსებდნენ სავაჭრო ფაქტორიებსა და კოლონიებს. აგებდნენ ციხე-სიმაგრეებსა და სამეთვალყურეო კოშკებს, გაგრაში ჩვენს დრომდე შემონახულია ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში აგებული ციხე-სიმაგრე, რომელიც იმ დროს ერთ-ერთ უდიდეს თავდაცვით სიმაგრეს წარმოადგენდა, ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის ცნობით იგი „აბაზგების მიერ იქნა აგებული ტრაქეას ბრძოლამდის (VI საუკუნის შუა წლები), რათა თავი დაეცვათ უცხოელ დამპყრობთაგან. იგი წარმოადგენდა უძლიერეს თავდაცვით ციტადელს და არც თუ ისე ადვილად შეეძლო შეჭრა შიგ არაკეთილმოსურნეს“.[15]

550 წელს, იპერატორ იუსტინიანე I-ის მმართველობის დროს აბაზგებსა და ბიზანტიელებს შორის ტრაქეას ბრძოლის ვითარებაში, ბიზანტიელებმა დაანგრიეს ციხე-სიმაგრის კედლები, მცხოვრებთა უმრავლესობა დახოცეს და ტრაქეა კი გაძარცვეს. სწორედ იმპერატორ იუსტინიანე I-ის დროიდან შავი ზღვის სანაპიროზე მძლავრად ფეხს იკიდებს და მტკიცდება ქრისტიანული რელიგია. ქრისტიანული რელიგიის მოცი-

---

14 **შ. ინალ-იფა,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 40.

15 **პრ. კესარიელი,** „ომი გოთებთან“, მოსკოვი, 1950, გვ. 401.

ქულები შავიზღვისპირეთში იყვნენ ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანონნიტი. როცა შავიზღვისპირეთში ქრისტიანული რელიგია გაბატონდა, იუსტინიანე I-ის მიერ აფხაზეთ-იმერეთის ეპარქიის კათოლიკოსის რეზიდენციაში — ბიჭვინთაში აშენებული იქნა შესანიშნავი ტაძარი, რომელიც თავისი ორიგინალობით არ ჩამოუვარდება ბიზანტიის წმინდა სოფიას ტაძარს. სწორედ ამ დროს შავიზღვისპირეთი დაისერა უამრავი ეკლესიებით, მონასტრებითა და ტაძრებით, რომელთა ნანგრევები შემონახულია ჩვენს დრომდე. გაგრაში მდებარეობს ქვიტკირის კედლებით გარემოცული უძველესი ეკლესია, რომელიც VI-VII საუკუნეს განეკუთვნება, ეკლესია მრავალჯერ იქნა დანგრეული, ხოლო უკანასკნელად რესტავრირებულ იქნა 1902 წელს.[16]

რომაელთა ბატონობის პერიოდში აფხაზეთის მმართველები ყოველთვის რომის განმგებელთა მიერ მტკიცდებოდა, ამის შესახებ მეტყველებს ლეონ I (ერისთავი კეისრისა აფხაზეთში) სიტყვები: „მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მკუიდრობით კეთილად სიმხნითა მისითა, ხოლო მიერთაგან არს ესე მამულობით სამკუიდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისა, სადა წარწუდების წუერი კავკასიისა ამისი“.[17]

1170 წელს გენუელებმა იმპერატორ მანუილისაგან მიიღეს ნებართვა დაეზვერათ შავიზღვისპირეთის ნავსადგურები. XIII საუკუნის დასაწყისში გენუელები მტკიცედ დამკვიდრდნენ შავი ზღვის სანაპიროზე. გენუელთა ფაქტორიის მმართველობა და სხვადასხვა ოპერაციები მკაცრად რეგლამენტირებული იყო. გენუელთა საქმიანობას მეთვალყურეობდა კონსული, რომელსაც გენუაში ირჩევდნენ ერთი წლის ვადით და რეზიდენცია კაფფუში (ფეოდოსია) ჰქონდა, ხოლო სებასტოპოლისში (სოხუმი) იმყოფებოდა საკონსულოს განყოფილება, რომელსაც ემორჩილებოდა აღმოსავლეთ სანაპიროს ფაქტორიის აგენტი.[18]

1266 წელს მანგუ-ხანმა გენუელებს მისცა უფლება კაფუ მათს მმართველობაში გადასულიყო და სწორედ ამ დროიდან კაფუ გენუელთა მთავარ დასაყრდენ პუნქტად იქცა შავიზღვისპირეთში. ცნობილია, რომ ვენეცია და გენუა წლების მანძილზე შეუპოვარ ბრძოლებს აწარმოებდნენ ურთიერთშორის შავი ზღვის სანაპიროზე ჰეგემონიისათვის, ხოლო XIV

---

16 აფხაზეთის რესპ. არქივი, ფონდი 51, საქმე 19, ფურც. 289.

17 **ს. ყაუხჩიშვილი,** „ქართლის ცხოვრება“, თბილისი, 1942, საქ. მეცნ. აკად. გამომც., გვ. 154.

18 **ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი,** დასახელებული წიგნი, გვ. 45.

საუკუნის ბოლოსათვის გენუელებმა ვენეციელები საბოლოოდ განდევნეს აქედან და მთელი შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე თავიანთი სავაჭრო ძალაუფლება გაავრცელეს. მთელი XIV და XV საუკუნის დასაწყისში გენუელთა სავაჭრო ფაქტორიები დაარსებულ იქნა ყირიმისა და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე.

გენუელთა ერთ-ერთი სავაჭრო ფაქტორია შავი ზღვის სანაპიროზე თანამედროვე გაგრაც იყო.[19]

1830 წლამდე გაგრა ისევე როგორც მთელი სამხრეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორია თურქ დამპყრობთა ხელში იყო. მათი მრავალსაუკუნოვანი ბატონობის შედეგად (XVI საუკუნიდან XIX საუკუნემდე — თითქმის 300 წელი) გაგრა არაერთხელ გაპარტახებულა, ძლიერ შემცირდა ადგილობრივი მოსახლეობა, დაინგრა საცხოვრებელი სახლები, სარეველამ დაფარა ოდესღაც აყვავებული ბაღები, იმძლავრა ჭაობმა, გაგრა მალარიის კერა გახდა.

1830 წელს გაგრაში პირველად გადმოსხდა რუსეთის დესანტი და ამ დროიდან მოყოლებული გაგრა რუსეთს ეკუთვნოდა.[20] ცნობილია, რომ სხვა ხალხთა ისტორიული კავშირი კავკასიის ხალხებთან არსებობდა უძველესი დროიდან, კერძოდ რუსეთის კავშირი კავკასიისა და შავიზღვისპირეთის ხალხებთან განეკუთვნება შორეულ წარსულს. რუსი მემატიანის ნესტორის ცნობით, 965 წელს რუსეთის დიდმა მთავარმა იაროსლავ იგორის ძემ პირველმა გაილაშქრა ხაზართა წინააღმდეგ. ასევე მუსულმანი ისტორიკოსები ხშირად იხსენიებენ რუსთა თავდასხმებს ამიერკავკასიისა და კასპიისპირეთის მიწებზე IX-X და მომდევნო საუკუნეებში.[21]

ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით აფხაზები ან აბაზები ცნობილი ხდება რუსეთისათვის საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასალის დროიდან (V საუკუნის ბოლოს). იგივე აფხაზები ცნობილია რუსი მემატიანის ნესტორისათვის „ობეზას“ სახელწოდებით და სწორედ ეს ხალხი „ობეზა“ იხსენიება სხვა ხალხთა შორის, რომლებიც რუსეთის მთავრის ვლადიმერის დროს მონაწილეობას ღებულობდა კიევის „წმინდა სოფიოს“ ტაძრის მშენებლობაში.[22] რუსები შავი ზღვის სანაპიროზე პირველად 991 წელს გამოჩნდნენ, შემდეგ კი XII საუკუნეში, როცა ისინი მოვიდნენ „ობეზამდის“ (გაგრა). 1022

---

19 **ნ. ი. ვორობიოვი,** დასახელებული წიგნი, გვ. 337.
20 იქვე, გვ. 367.
21 **გ. გ. მოსკვიჩი,** დასახელებული წიგნი, გვ. 9.
22 **ნ. ი. ვორობიოვი,** დასახელებული წიგნი, გვ. 367.

წელს ყირიმის ნახევარკუნძულზე ხაზართა განადგურების შემდეგ მსტისლავ ტმუტარაკანელმა გაილაშქრა შავიზღვისპირეთში. რუსი მემატიანის ცნობით კიევის რუსეთსა და აფხაზეთს შორის კავშირი X საუკუნის ბოლოს დამყარდა. გაგრა ის რგოლი იყო, რომელიც აერთებდა აფხაზეთს, საქართველოსა და ტმუტარაკანის სამთავროს კიევის რუსეთთან.

ისტორიას არაერთი მაგალითი შემოუნახავს რუსეთისა და კავკასიის ხალხთა ურთიერთკავშირისა, რაც ხშირად ნათესაური კავშირით მტკიცდებოდა. ასე, მაგალითად, 1153 წელს რუსეთის მთავარმა იზიასლავ II-მ თავისი ელჩები გამოგზავნა კავკასიაში და აფხაზეთის მეფეს სთხოვა თავისი ქალიშვილი, რომელიც მეორე წელს ჩავიდა კიევში და შეუღლდა მასთან. ცნობილია აგრეთვე, რომ მეფე ივანე მრისხანეს მეორე ცოლი მარია ჩერქეზთა მთავრის ასული იყო.[23] ყველაზე უშუალო დაახლოება რუსეთისა კავკასიასთან აღინიშნება ივანე მრისხანის დროს ყაზანისა და ასტრახანის სამეფოს დამორჩილების შემდეგ. სწორედ ამ დროიდან მოყოლებული ცარიზმმა ნელ-ნელა იწყო თავისი კოლონიური ექსპანსია კავკასიის მიმართ და 300 წლის განმავლობაში საბოლოოდ დაიმორჩილა იგი. ცნობილია, რომ აფხაზეთი 1810 წელს ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს, ხოლო გაგრის ციხე-სიმაგრე რუსების მიერ დაკავებულ იქნა 1830 წელს, ამავე წელს რუს მეომართა რაზმი ერთი ბატალიონის შემადგენლობით, რომელსაც მეთაურობდა პოლკოვნიკი პოცოვსკი, აფხაზ ფეოდალთა დახმარებით გაგრის ნაპირზე გადმოსხდა, ადგილობრივმა მოსახლეობამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია რუსის ჯარს.[24]

შავი ზღვის სანაპიროებზე სიმაგრეების აგება გრაფ პასკევიჩის იდეა იყო, მან წამოაყენა წინადადება შავი ზღვის სანაპიროზე აეგოთ მთელი რიგი სიმაგრეები, გარდა არსებულისა (რედუტ-კალე, სოხუმი, ანაპა).

1830 წელს პასკევიჩმა დიდი ჯარით გაიარა რა ყუბანის ველები, გაანადგურა მთიელ შაფსუგთა აულები და ყუბანის ზღვისპირა ხაზის დაცვის მიზნით მისი ბრძანებით აგებულ იქნა მოსტოვოის, ალექსეევსკის, აფინსკისა და ივანო-შებსკის სიმაგრეები, ხოლო შავი ზღვის ხაზზე ბომბორის, ბიჭვინთისა და გაგრისა.

პასკევიჩი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და დაჟინებით მოითხოვდა გაგრის სიმაგრის მშენებლობას, რად-

---

23 **გ. გ. მოსკვიჩი,** დასახელებული წიგნი, გვ. 10.

24 **გ. ა. ძიძარია,** „სახალხო მეურნეობა და აფხაზეთის სოციალური მდგომარეობა XIX საუკუნეში“, სოხუმი, 1958, გვ. 378.

განაც მასში ხედავდა ჭიშკარს, რომელიც მთიელების — ჯიქებისა და უბიხების მხრივ შემოჭრის საფრთხეს თავიდან აცილებდა და საიმედოდ ჩაკეტავდა ერთადერთ გასასვლელს „გაგრის პანამას“, რომელიც აერთებდა ჩრდილოეთ კავკასიას ამიერკავკასიასთან.[25]

1827 წლის შემოდგომაზე შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსად დაინიშნა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რაევსკი, 1812 წლის სამამულო ომის სახელგანთქმული გმირის გენერალ რაევსკის უმცროსი ვაჟიშვილი. იმისათვის, რომ რუსის ჯარი გამაგრებულიყო შავი ზღვის სანაპიროზე, ნიკოლოზ რაევსკიმ მიიღო გადაწყვეტილება შეექმნა გარნიზონთა დასაყრდენი პუნქტები ზღვის ყველა გასასვლელთან, ანაპიდან დაწყებული, ვიდრე სოხუმამდე. ამ მიზნით ბევრ ადგილას გადმოსხდა დესანტი, რომელთა შორის იმყოფებოდა კავკასიაში გადმოსახლებული მრავალი დეკაბრისტი, მათ შორის ა. ს. პუშკინის ძმა ლევ სერგის ძე პუშკინი და ა. ს. პუშკინის ყოფილი სეკუნდანტი კ. კ. დანზასი. იმ დროს შავი ზღვის ფლოტს სარდლობდა სახელმოხვეჭილი ადმირალი მ. პ. ლაზარევი, საფლანგმანო გემ „სილისტრიას“ მეთაურობდა შემდგომში სევასტოპოლის გმირული ბრძოლების ლეგენდარული გმირი პ. ს. ნახიმოვი, აქვე იმყოფებოდა ახალგაზრდა მხატვარი ი. კ. აივაზოვსკი. იმ დროს გაგრაში შავი ზღვის მეხუთე ბატალიონში სამხედრო სამსახურს გადიოდა მწერალი-დეკაბრისტი ალექსანდრე ბესტუჟევ-მარლინსკი, რომელიც იაკუტიაში გადასახლებიდან გადმოყვანილ იქნა მოქმედ არმიაში. მას შეწყალების ყოველგვარი იმედები დაკარგული ჰქონდა. მწერალი ძალზე გულგატეხილი იყო. გაგრა იმ დროს მალარიის ბუდეს წარმოადგენდა, ბესტუჟევ-მარლინსკი ციებ-ცხელებით დაავადდა. 1836 წლის 19 ივნისს იგი თავის ძმას პავლე ბესტუჟევ-მარლინსკის სწერდა: „მე ისევ ცუდად ვარ, ციებ-ცხელება სხვადასხვა ვარიაციებით კვლავ მიბრუნდება, მე აჩრდილს ვგავარ და მხოლოდ ტკივილებით ვგრძნობ, რომ მე სხეული ვარ“.[26] ბესტუჟევ-მარლინსკი მთიელებთან ბრძოლის დროს მიუხედავად სარდლობის მრავალგზის გაფრთხილებისა, ცეცხლის წინა ხაზზე წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა, ადლერის მიდამოებში მიყრუებული ტყის განაპირას ჩერქეზების მიერ ხმლით იქნა აკუწული.[27]

გაგრის ციხე-სიმაგრე ჟოეკვარის ხეობის ჩამკეტ სამხედრო ციტადელს წარმოადგენდა. ის იცავდა აფხაზეთის ტერიტორი-

---

25 **ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი,** დასახელებული წიგნი, გვ. 59.
26 **გ. გ. მოსკვიჩი,** დასახელებული წიგნი, გვ. 437.
27 **ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი,** დასახელებული წიგნი, გვ. 67.

ას ჩრდილოეთ კავკასიიდან და ყუბანის მთიანეთიდან მთიელთა შემოჭრისაგან. ციხე-სიმაგრის სამხედრო კომენდანტი იყო პოდპოლკოვნიკი მალაშევსკი, მისი მოადგილე კი მაიორი მარახოვსკი.[28]

რუსეთის გარნიზონის ყაზარმული ცხოვრება, მთიელთა მოულოდნელი თავდასხმის შიში, შიმშილი, სასმელი წყლის ნაკლებობა, ხილისა და ბოსტნეულის უკმარობა აუტანელ პირობებში აყენებდა რუსეთის შავიზღვისპირა მე-5 ბატალიონის ჯარისკაცებს, რომლებიც უმეტესად „ცინგით“ იყვნენ დაავადებულნი.

1830-1833 წლამდე რუსული ბატალიონის 650 კაციდან მხოლოდ 100 გადარჩა, 550 ჯარისკაცი ციებ-ცხელების მსხვერპლი გახდა. სწორედ ამიტომ ბესტუჟევ-მარლინსკი გაგრას „რუსული გარნიზონის კუბოს“ უწოდებდა.[29]

1837 წლის სექტემბრის ბოლოს ფოთის გავლით ნიკოლოზ I გაგრას ესტუმრა, დიდად უკმაყოფილო დარჩა რუსული გარნიზონის წარუმატებლობით მთიელებთან ბრძოლაში, მისი ბრძანებით ბარონი როზენი შეცვლილ იქნა გენერალ გოლოვინით.

1853-56 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს, რუსეთის ციხე-სიმაგრენი ბლოკირებული აღმოჩნდა და რუსეთის მთავარსარდლობის გადაწყვეტილებით ყველა ციხე-სიმაგრე დაწყებული ნოვოროსიისკიდან გაგრამდე აფეთქებულ იქნა.

საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ სამხედრო-სამეთვალყურეო სამსახური აღნიშნულ სიმაგრეში კვლავ ძველებურად მიმდინარეობდა. ყოველივე ამის შესახებ მოთხრობილი აქვს თავის ნაწარმოებში „წერილები გაგრიდან“ ბესტუჟევ-მარლინსკის.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1810 წლიდან დაწყებული ცარიზმის ექსპანსიური პოლიტიკა შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის მიზნით 60 წელი გრძელდებოდა. 60 წელი გრძელდებოდა ომი მეფის რუსეთსა და თავისუფლებისმოყვარე მთიელებს შორის და დამთავრდა 1864 წლის 21 მაისს. სწორედ ამ დღეს მეფისნაცვალმა კავკასიაში მიხეილ ნიკოლოზის ძემ რომანოვსკში (ამჟამად „კრასნაია პოლიანა“) საზეიმო ვითარებაში გამოაცხადა მთიელთა საბოლოო დამორჩილება. ამაყმა მთიელებმა არ ისურვეს ცარიზმის ქვეშევრდომობის ქვეშ დარჩენა, გადაწყვიტეს გასცლოდნენ მამაპაპურ მიწა-წყალს და თურქეთში გადასახლება ამჯობინეს. წასვლის წინ თავიანთი ქონების ნაწილი ცეცხლს მისცეს, ხოლო ხეხილის ბაღები

---

28 ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი, დასახელებული წიგნი, გვ. 76.
29 იქვე, გვ. 68.

ხელუხლებელი დატოვეს. ათასობით გაღატაკებულმა ოჯახმა დატოვა მშობლიური მთები და ზღვისპირეთს მიაშურა, სადაც მათ თურქული სანაოსნო გემები „კაჩერმები“ ელოდაო. ... კურსი მცირე აზიისაკენ აიღეს. შიმშილი, სიცივე, ავადმყოფობა, მასიური სიკვდილი, — აი ხვედრი განაწამები მთიელებისა უცხოეთში.[30]

მთიელ აფხაზთა მასიური გადასახლება თურქეთში (მაჰაჯირობა) თურქეთის აგენტურის, ადგილობრივი თავადაზნაურობისა და ცარიზმის პროვოკაციული მოქმედების შედეგი იყო. ამ პერიოდისათვის გაგრის მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა. ეს ეროვნული ტრაგედია აფხაზ ერს ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა. მაჰაჯირობამ ყველაზე მასიური ხასიათი 1866-67 წლების ლიხნის აჯანყებისა და 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს მიიღო.

თურქეთში გადასახლებულ მაჰაჯირთა საერთო რიცხვმა იმ დროს 70.000 კაცს მიაღწია.[31]

აფხაზი ხალხის ტრაგედიის შესახებ ცნობილი მეცნიერი ნიკო მარი წერდა:

„აფხაზეთი თავის ცენტრალურ ეთნოგრაფიულ ნაწილში თითქმის დაცარიელდა, ასე რომ მთელი გუმისთის რაიონიდან დარჩა მხოლოდ გავერანებული კარ-მიდამო ხილის ბაღებით, არც ერთი სული აფხაზისა, არც ერთი ხმა აფხაზური“.[32]

ომამაყი და პატივმოყვარე მთიელების თავისუფლებისაკენ ლტოლვის მკაფიო დადასტურებაა ერთ-ერთი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1829 წელს შავიზღვისპირა ხაზის სარდლის გენერალ რაევსკისა და მთიელ შაფსუგთა უხუცესებს შორის.

გენერალმა რაევსკიმ მოლაპარაკების მიზნით თავისთან მიიპატიჟა შაფსუგთა უხუცესები და აუწყა მათ, რომ თურქეთმა ისინი რუსებს დაუთმო, უხუცესები გააოცა ასეთმა ცნობამ და რაევსკის ჰკითხეს: „რა უფლებით დაუთმო ჩვენი თავი სულთანმა რუსებს? ჩვენ ხომ არასდროს ვეკუთვნოდით სულთანს, არაფერს ვუხდიდით და ვეკუთვნოდეთ ვისმეს. დიახაც არა გვსურს. „სულთანმა თქვენი თავი უფეშქაშა, აჩუქა რუს მეფეს“, განმარტა გენერალმა. „აა... ეხლა კი მესმის“, უპასუხა ერთ-ერთმა უხუცესმა შაფსუგმა და ხელი ახლო მდებარე ხისაკენ გაიშვირა, რომლის ტოტზე ჩიტი იჯდა. მიუბრუნდა რაევსკის და მტკიცედ უთხრა: „გენერალო, მიჩუქნია შენთვის აი,

---

30 **ნ. ი. ვორობიოვი,** დასახელებული წიგნი, გვ. 16.

31 იქვე.

32 **შ. ინალ-იფა,** დასახელებული წიგნი, გვ. 72.

საქ. სსრ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ის ჩიტი, წაიყვანე". ამით დამთავრდა მოლაპარაკება მათ შორის. შაფსუგები რაევსკის რეზიდენციას სწრაფად გაეცალნენ.[33]

გაგრის სამხედრო გარნიზონი მთიელთა მიერ თითქმის მუდმივ გარემოცვაში იმყოფებოდა, ციხე-სიმაგრის ეზოში ოფიცრის ან ჯარისკაცის გამოჩენა მოთვალთვალე მთიელის მიერ ნასროლი ტყვიით სიკვდილით მთავრდებოდა. აი, რას სწერდა გენერალი რაევსკი თავის მოხსენებაში გენერალ გოლოვინს:

„საჭმლის მოსახარშად შეშის შეგროვება, ბალახის მოთიბვა, საქონლის მწყემსვა, კარმიდამოს დამუშავება, მიცვალებულის დასაფლავება ყოველთვის ურთიერთშორის სროლის ვითარებაში მიმდინარეობს და უპირატეს შემთხვევაში ჩვენი დანაკლისით მთავრდება".[34]

თავდაცვის გაძლიერების მიზნით ციხე-სიმაგრის დამცველებმა გაიჩინეს ძაღლები, რომლებიც შემდგომში რუს ჯარისკაცთა თანაშემწენი გახდნენ მთიელთა დევნასა და აღმოჩენაში. ადამიანთა თანასწორად ძაღლებიც იღებდნენ სახელმწიფო ულუფას. ისინი ისე ჰყავდათ გაწვრთნილი, რომ დოლის პირველ ხმაზე, რომელიც შეკრებისა და ბრძოლისაკენ უხმობდა გარნიზონს, ყველანი მწყობრის წინა ხაზზე განლაგდებოდნენ და, ციხე-სიმაგრის ალაყაფიდან გამოსულნი, იმავე წუთს სხვადასხვა მიმართულებით გარბოდნენ მთიელებზე სანადიროდ.

„გაგრის გარნიზონის მაგალითისამებრ მთელი ზღვისპირეთის ციხე-სიმაგრეებში მოშენებულ იქნა ძაღლები".[35]

1866 წელს რუსეთის იმპერატორის მიერ დამტკიცებულ იქნა დებულება შავი ზღვის სანაპიროს ჩასახლების შესახებ. მაგრამ იმ დროს მსურველები არც თუ ისე ბევრი იყო.

1870 წლისათვის აქ მხოლოდ 12.000 მცხოვრები იყო, შავიზღვისპირეთის საუკეთესო მიწები ძირითადად იმპერატორის ოჯახისა და მისი მოხელეების მფლობელობაში აღმოჩნდა. 25 ათასი ჰექტარი მიწა დიდი თავადის მიხეილისა და მისი ძმების მფლობელობაში გადავიდა, გრაფმა ლორის-მელიქოვმა კი. 4.500 დესეტინა მიიღო. მიუხედავად სათანადო რეკლამისა, პირველი 20 წლის მანძილზე მხოლოდ 649 კაცი ჩასახლდა ზღვის სანაპიროზე. ამ უკაცრიელ მხარეში ძირითადად რუსეთის იმპერიის უმიწაწყლო გლეხობა ჩამოდიოდა და ასევე ადგილობრივ სამხედრო გარნიზონების ჯარისკაცები ესახლებოდნენ, ამრიგად, შეიმჩნეოდა ნაციონალური სიჭრელე და სხვადასხვაობა. მოლდავეთიდან ჩამოსულმა მცხოვრებლებმა დააარსეს სო-

---

33 **გ. გ. მოსკვიჩი,** დასახელებული წიგნი, გვ. 16.
34 **ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი,** დასახელებული წიგნი, გვ. 71.
35 იქვე, გვ. 62.

ფელი მოლდოვკა (ამჟამად ადლერის რაიონში), ესტონელებმა სოფ. ესტონკა (ამჟამად ქ. გაგრის ზონაში), ქართველებმა კი პლასტუნკა (ქ. სოჭის მახლობლად), ბერძნებმა „კრასნაია პოლიანა“ (ამჟამად ადლერის რაიონში), (ისინი 1878 წელს ჩამოსახლდნენ სტავროპოლის გუბერნიიდან). შავი ზღვის სანაპიროს განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა 1888 წელს ტიხორეცკიდან ნოვოროსიისკამდე გაყვანილმა რკინიგზამ.

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ რუსეთის ჯარმა კვლავ დატოვა გაგრის ციხე-სიმაგრე და გაგრამ დაკარგა მნიშვნელობა როგორც რუსეთის სამხედრო სიმაგრემ.[36]

ომის შემდეგ გაგრა მთლად მივიწყებულ იქნა, თითქმის 1891 წლამდე, როცა რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით დაიწყო ნოვოროსიისკ-სოხუმის გზატკეცილის მშენებლობა. ეს გზა „მშიერ გზატკეცილად“ ან კიდევ „ანენკოვის გზატკეცილად“ იწოდებოდა, რადგანაც მის მშენებლობას მეფის გენერალი ანენკოვი ხელმძღვანელობდა.[37]

აღნიშნულ გზას ხალხმა ტყუილად როდი უწოდა „მშიერი“. აქ მშენებლობის პროცესში რუსეთის იმპერიის დამშეული გუბერნიებიდან ლტოლვილი 100 ათასი მუშა შეიკრიბა, რათა ლუკმაპური ეშოვა. მათ შორის შიმშილით, ავადმყოფობით და უმძიმესი სამუშაო პირობების გამო 18 ათასი ადამიანი დაიღუპა. აღსანიშნავია, რომ „მშიერი გზის“ მშენებლობაში მონაწილეობას ღებულობდა დიდი პროლეტარული მწერალი ალექსი მაქსიმეს ძე გორკი.[38]

---

36 **გ. გ. მოსკვიჩი,** დასახელებული წიგნი, გვ. 15.
37 **ნ. ი. ვორობიოვი,** დასახელებული წიგნი, გვ. 139.
38 **კ. ზვერევი,** „ადლერი“, 1973, გვ. 23-24.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კურორტის მშენებლობა რევოლუციამდე (გაგრის კლიმატური სადგური)

XIX საუკუნის ბოლო ხანებში რუსეთის იმპერიის პრესაში, სხვადასხვა მეცნიერული საზოგადოების პოპულარულ ჟურნალებში ხშირად იწერებოდა კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს კლიმატურ-სამკურნალო და კლიმატურ-ბალნეოლოგიური ფაქტორების სარგებლიანობის შესახებ. რაც დრო გადიოდა, მით უფრო იქცევდა რუსეთის არისტოკრატიისა და მდიდარი საქმოსნების ყურადღებას ბუნების მიერ უხვად დაჯილდოებული კავკასიის შავიზღვისპირეთი.

ჯერ კიდევ 1877 წლის 22 ივლისს რუსეთ-თურქეთის ომის დღეებში მეფის რუსეთის ჯარმა, რომელიც სოჭიდან სოხუმისაკენ ისწრაფოდა თავისი სამხედრო შენაერთების მისაშველებლად, სოხუმში ზღვიდან გადმომსხდარ თურქებს უტევდა, გაიარა გაგრისა და ბიჭვინთის ტერიტორია და სწორედ ამ დროიდან იმსახურებს გაგრა რუსეთის მთავრობის ყურადღებას როგორც „ჯანსაღი ადგილსამყოფელი“.

გაგრის სამკურნალო-საკურორტო ღირებულების შესახებ პირველი ცნობები იმ დროს სახელმოხვეჭილ პროფესორ ფ. ი. პასტერნაცკის ეკუთვნის. მან 1899 წელს გამოაქვეყნა შრომა „კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს კლიმატურ-სამკურნალო პუნქტები“.

აფხაზეთის საკურორტო მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს (ნოვოროსიისკიდან სოხუმამდე) შემსწავლელ კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: სახელმწიფო საბჭოს წევრი ნ. ს. აბაზა (თავმჯდომარე), სახელგანთქმული რუსი კლიმატოლოგი და გეოგრაფი, მსოფლიოს ყველა საერთაშორისო გეოგრაფიული საზოგადოების, კონგრესებისა და ყრილობების მონაწილე, დიდი ოქროს მედლის კავალერი ა. ი. ვოეიკოვი, პროფესორი ფ. ი. პასტერნაცკი და სამთო ინჟინერი მ. ვ. სერგეევი.

1898 წელს კავკასიის შავი ზღვის სანაპირო რელიეფისა და ბუნებრივი ფაქტორების მეცნიერული შესწავლის შემდეგ მათ სათანადო ორგანოებს წარუდგინეს სამი დასაბუთებული მოხ-

სენება, სადაც აღწერილი იყო შავი ზღვის სანაპიროს მთის ქანების ფიზიკურ-ქიმიური თავისებურებანი, მინერალური და მტკნარი წყაროების თვისებები, ცალკეული კლიმატურ-სამკურნალო პუნქტების დახასიათება და აღნიშნული რაიონის ჰავის თავისებურებანი.

კომისიის მოხსენების დასკვნით ნაწილში ნათქვამი იყო, რომ „შავი ზღვის სანაპიროს აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრის საფუძველზე მკურნალობისა და დასვენებისათვის შესაძლებელია და აუცილებელი ძალზე პერსპექტიული კურორტების შექმნა, კლიმატურ-ბალნეოლოგიური დაწესებულებებით“.[1]

ადარებდა რა კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს საკურორტო სიმდიდრესა და ბუნებრივ ფაქტორებს საზღვარგარეთის კურორტებს, სამკურნალო თერაპიის პიონერი — სახელმოხვეჭილი ექიმი მ. ფ. პოდგურსკი სამართლიანად ამტკიცებდა, რომ კლიმატურ და კლიმატოთერაპევტიული ღირებულებით შავი ზღვის სანაპირო მდინარე შახესა და ბზიფს შორის არა მარტო არ ჩამორჩება მსოფლიოში სახელგანთქმულ ნიცასა და სანრემოს, არამედ ბევრად აღემატება მას.[2]

ცნობილია, რომ მეფის რუსეთს იმ დროს არცერთი კეთილმოწყობილი კურორტი არ გააჩნდა, რუსეთის პრივილეგირებულ არისტოკრატთა და ვაჭარ-საქმოსანთა დიდი ნაწილი სამკურნალოდ და დასასვენებლად საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა, საზღვარგარეთის კურორტები რუსეთის იმპერიას და მისი პრივილიგირებული კლასის წარმომადგენლებს ასი ათასობით ოქრო უჯდებოდა და რომ შეეწყვიტათ „ოქროს დენა“ საზღვარგარეთ, რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა ყურადღება მიექცია და კეთილმოეწყო სამამულო კურორტები. მიზანში კავკასიის შავიზღვისპირეთი იქნა ამოღებული და მათ შორის პირველ რიგში გაგრაც.

90-იანი წლების ბოლოს გაგრის მდიდარ ბუნებას თვალი დაადგეს ათონის მონასტრის ბერ-მონაზვნებმა, რომლებსაც სურდათ აქ „მამათა მონასტერი“ აეშენებინათ. ის იყო რუსეთის მთავრობა აპირებდა მათი თხოვნის დაკმაყოფილებას, რომ ათონის ბერ-მონაზვნებს გამოუჩნდა მოულოდნელი მეტოქე პრინცი ოლდენბურგსკი.

1899 წელს გაგრის მიდამოებს რუსეთის გზათა მინისტრ თავად მ. ი. ხილკოვთან ერთად ეწვია რუსეთის იმპერიის სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოების შეფი, პეტერბურგის პასტერის სახელობის ლაბორატორიის დამაარსებელი (რომელიც

---

[1] ნ. ე. რომანოვი, „სოჭი“, 1972, გვ. 4.

[2] იქვე, გვ. 5.



გაგრა. 1910 წ. ნავმისადგომი, რომელიც პრინცს ქვემეხებით ჰქონდა გამაგრებული.

შემდგომში რუსეთში პირველი სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება — ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტი გახდა) პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგსკი.

პრინც ოლდენბურგსკის ყურადღება მიიპყრო გაგრის მდიდარმა ბუნებამ, სადაც იმ დროს დანგრეული ციხე-სიმაგრისა და ცალკეული ქოხმახების მეტი არაფერი იყო.

1903 წელს გამოცემულ თავის წიგნში „გაგრა და მისი შემოგარენი“ ცნობილი მხარეთმცოდნე ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი წერდა:

„ჩვენ ვინახულეთ ეს საუცხოო კუთხე 1901 წლის აგვისტოს თვეში. ნახევრად დანგრეულ ყაზარმებში ცხოვრობდნენ სახელმწიფო-სახაზინო აგარაკის მეტყევე-შემომვლელები... სოხუმელი ვაჭრის სპანაკის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მახლობლად, შარაგზის ორივე მხარეს მოკალათებული იყო რამდენიმე დუქანი, ყავახანა და სავაჭრო ფარდულები... გაგრაში იყო სიწყნარე და სიცარიელე“.[3]

დაბრუნდა თუ არა პეტერბურგში, პრინცი ოლდენბურგსკი შეუდგა საქმის გაჩარხვას, რათა თავის მფლობელობის

[3] ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი, დასახელებული წიგნი, გვ. 93, 94.

ქვეშ მოექცია ბუნების მიერ სამკურნალო ღირსებებით მდიდარი კუთხე. პრინც ოლდენბურგსკის ამ საკითხის მოგვარებაში აქტიურ დახმარებას უწევდა მეფის სასახლის კამერგერი, გენერალი გიორგი შერვაშიძე (ჩაჩბა).

სარგებლობდა რა ნათესაური კავშირით მეფესთან, პრინცმა ოლდენბურგსკიმ თავდაპირველად მიიღო მისგან „3 მილიონი მანეთი და 1.400 ჰექტ. მიწა, ხოლო სულ 1914 წლისათვის მის მიერ უკვე გახარჯული იქნა 7,5 მილიონი მანეთი".[4]

მეფისაგან საკმაო რაოდენობის თანხის მიღების შემდეგ ოლდენბურგსკი 1901 წელს იმ დროს ცნობილი მეცნიერებისა და სპეციალისტების — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ ა. ვ. ტიმოფეევის, პ. ფ. ჩიგაევის, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ს. კ. დზერჟკოვსკის, ინჟინერ-ტექნოლოგ ე .ე. რაისკისა და არქიტექტორ ი. გ. ლუცედარსკის თანხლებით გაგრაში ჩამოვიდა.

გადმოსხდნენ რა გაგრის მიწაზე, სწავლულები და სპეციალისტები შეუდგნენ მომავალი კურორტის ადგილმდებარეობის შერჩევას და მისი მოწყობის გეგმის შედგენას.

1901 წლის 9 ივლისს მეფემ ნება დართო პრინც ოლდენბურგსკის დაეწყო გაგრის კლიმატური სადგურის მშენებლობა, რასაც პრინცი იმავე წლის 14 ოქტომბერს შეუდგა. პრინცს მოგზაურობისას თან ახლდა და მის ამალაში შედიოდა: მისი პირადი ადიუტანტი გვარდიის კაპიტანი ამბრაზანცევ-ნეჩაევი, პირადი მდივანი ფ. ფ. ფონ-ბოდუნგენი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ს. ს. მიხელსონი, კომენდანტი ვ. ი. პეტერსონი, პრინცის გამყოლთა ჯგუფის უფროსი ეფრემოვი, კამერდინერი გორლოვი, გენერალ-მაიორი თავადი ორბელიანი, კამერდინერ-ადიუტანტი რაკიტინი, ოფიციანტი ზაბელინა, მებუფეტეები კოვალევი და პოდოშვენკო, პრინცის მოსამსახურეები: ივანენკო, ბაბაევა, პროკოპიევა და ნემჩენკო.[5]

1903 წლის 15 თებერვალს რუსეთის იპერატორმა დაამტკიცა დებულება გაგრის კლიმატური სადგურის დროებითი მართვის შესახებ, სადაც ნათქვამი იყო:

I. გაგრის კლიმატური სადგური, მის ირგვლივ მდებარე რაიონითა და გაგრის აგარაკით, საერთო ტერიტორია 14.000 დესეტინით იმყოფება პრინც ა. პ. ოლდენბურგსკის უშუალო მფლობელობაში და განკარგულებაში.

II. გაგრის კლიმატური სადგური და მის ირგვლივ მდებარე რაიონი ადმინისტრაციულ და სამეურნეო მმართველობის

---

[4] ვ. ფაჩულია, „გაგრა", სოხუმი, 1971, გვ. 23.
[5] აფსაზ. რესპ. არქივი, ფონდი 51, საქმე 19, ფურც. 40, 91, 118.

მხრივ უშუალოდ ექვემდებარება მის უფროსს, რომელსაც ნიშნავს პრინცი ა. პ. ოლდენბურგსკი, სამხედრო ან სამოქალაქო ჩინიდან.

III. კლიმატური სადგურის უფროსი იმყოფება სახელმწიფო სამსახურში და შედის შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში, ღებულობს ხელფასს გაგრის აგარაკის შემოსავლიდან, რომელსაც თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს პრინცი ა. პ. ოლდენბურგსკი.[6]

1903 წლის 7 იანვარს გაიხსნა გაგრის კლიმატური სადგური. იმავე წლის 9 იანვარს იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მიერ კლიმატური სადგურის გახსნასთან დაკავშირებით პრინც ოლდენბურგსკის სახელზე გამოგზავნილ იქნა მოსალოცი დეპეშა, სადაც ნათქვამი იყო: „ძალზე მოხარული ვარ გაგრის კლიმატური სადგურის გახსნისა. გულითად მადლობას გიხდით თქვენ მის მოწყობაზე გაწეული შრომისა და ზრუნვისათვის, ღმერთმა ინებოს, რომ თქვენ კმაყოფილი დარჩეთ თქვენი ენერგიული მოქმედების ნაყოფით“. ასევე ოლდენბურგსკიმ იმავე დღეს მიიღო ნიკოლოზ II-ის მეუღლის მარია თეოდორეს ასულის მილოცვა: „გილოცავთ თქვენ სანატორიუმის გახსნას და გიძღვნით საუკეთესო სურვილებს, გისურვებთ კეთილდღეობას და შემდგომ წარმატებებს ამ შესანიშნავი წამოწყებისა გამო, რომელშიც თქვენ ჩააქსოვეთ მთელი თქვენი სული“.[7]

1900-1914 წლებში გამოყოფილი ზემოთ აღნიშნული თანხიდან ნახევარზე მეტი კურორტის მშენებლობის მესვეურებმა პრინც ოლდენბურგსკის თაოსნობით საკუთარი აგარაკების მშენებლობას მოახმარეს.

ძველი გაგრა მთლიანად პრინცის მფლობელობაში იყო. ხოლო ტერიტორია ციხერვის ხეობამდე ეკუთვნოდა პრინცესა ევგენია მაქსიმილიანეს ასულ ოლდენბურგსკაიას. ციხერვის ხეობიდან შაფშალოვკამდე მიწები გადაეცა მემამულეებს, კაპიტალისტებსა და ვაჭრებს კერძო აგარაკების მშენებლობისათვის. ასეთები იყვნენ: უმსხვილესი ვაჭარი ნ. ვ. ოლხოვსკი, მემამულე ტემნიცკი, სილინი და დოსევი, მეფის გენერალი ალკალაევი (მას ეკუთვნოდა დღევანდელი დასასვენებელი სახლი „სკალა“). თამბაქოს უმსხვილესი ფაბრიკანტი გ. ნ. ადრიანოვი, დოქტორები: ა. ვ. ტიმოფეევი და ს. ნ. ნახიმოვი, ვაჭარი პეტროვი, უმსხვილესი მემამულე შაფშალი, ბუიმისტროვი და სხვა საქმოსნები.[8]

---

[6] აფხაზეთის რესპ. არქივი, ფ. 51, საქმე 9, ფურც. 57.
[7] იქვე, საქ. 26, ფურც. 7.
[8] იქვე, საქ. 53, ფურც. 380.

შაფშალოვკიდან ისევ პრინც ალექსანდრე ოლდენბურგსკის მამულები იწყებოდა და გრძელდებოდა რკინიგზის გაგრის დღევანდელ სადგურამდე. უფრო იქით კი თვით ბიჭვინთამდე დიდი თავადის ალექსანდრე მიხეილის ძისა და მოსკოველი ვაჭრის ნ. ვ. იგუმინის მამულები იწყებოდა. იგუმინისა, რომელიც „თევზის საკონსერვო ქარხნის შექმნაზე ოცნებობდა“.[9]

მიიღო რა მეფის ხელისუფალთაგან სათანადო სუბსიდია, პრინცი ოლდენბურგსკი შეუდგა კლიმატური სადგურის მშენებლობას: პირველ რიგში დაიწყო პრინცის ზამთრის სასახლის (ამჟამად დასასვენებელი სახლი „ჩაიკა“) მშენებლობა, რომელიც იმ დროს ცნობილი არქიტექტორის ი. გ. ლუცედარსკის პროექტით შენდებოდა. სასახლის მშენებლობა 1901 წელს დაიწყო, მშენებლობას ივანე არტემის ძე ლავროვი ხელმძღვანელობდა, ხოლო მშენებლობის ათისთავი ალექსი სალნიკოვი იყო.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა სასტუმრო „გაგრიფშის“ (იმ დროს დროებითი სასტუმრო ერქვა) და რესტორან „გაგრიფშის“ მშენებლობა. სასტუმრო დაამზადეს ნორვეგიაში საუკეთესო ხარისხის ფიჭვისაგან, ჩამოიტანეს გაგრაში და აქვე ააწყვეს ულურსმნოდ.

გაგრის ჩრდილოეთ ნაწილში, კერძოდ, ზღვისპირა პარკის დასასრულს, ნავსადგურის მახლობლად, მდებარეობდა სიმაგრე, რომელსაც საკმაოდ დიდი ტერიტორია ეჭირა და ყოველი მხრიდან შემოკავებული იყო ქვითკირის კედლით. აღნიშნული სიმაგრე მოყოლებული 1840 წლიდან უკანასკნელ რუსეთ-თურქეთის ომამდე გამოყოფილი იყო ცალკე რაიონად გაგრის სხვა ტერიტორიიდან. პრინც ოლდენბურგსკის საცხოვრებელი სახლი ამ სიმაგრეში იყო მოთავსებული, მას ყარაული იცავდა, აქვე სპეციალურ ლაფეტებზე განლაგებული იყო 3 ქვემეხი. კლიმატური სადგურის 1911 წლის 31 დეკემბრის № 433 ბრძანების თანახმად ყოველი მომდევნო ახალი წლის დადგომას ზუსტად ღამის 12 საათზე ქვემეხის ერთი გასროლით აღნიშნავდნენ.[10] სწორედ ამ სიმაგრეში მდებარეობდა სასტუმრო „პრიმორსკაია“, მაღაზიები, ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციული სახლები და სხვა დაწესებულებები. აღნიშნული შენობები გადახურულ იქნა კაპიტალისტ ი. შელენგოვსკის მიერ 1900 წელს ქალაქ ბათუმში დაარსებული ცინკის ქარხნის ნაწარმით, რომელიც არა მარტო გაგრაში, არამედ სოხუმშიც აგზავნიდა შენობების გადასახურ ცინკის ფურცლ-

---

9 ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი, დასახელებული წიგნი, გვ. 27.
10 აფხ. რესპ. არქივი, ფ. 51, საქ. 20, ფურც. 25.

ლებს. სწორედ ამ ფირმის მიერ დამზადებული ცინკით იქნა გადახურული ქ. სოხუმის ქალაქის საავადმყოფოს, ქალაქის საავაჭრო დაწესებულებები, სასაკლაო, პროფ. [illegible]ის სახლი, მდიდართა პ. ზენჩენკოს, ბ. ზახაროვის, კ. ტარლოს და სხვათა საცხოვრებელი სახლები.[11]

ინტერესს მოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ქ. ბათუმში ნ. შელენგოვსკის სახელზე ზუგდიდიდან 1901 წლის 5 ნოემბერს ნაპოლეონ ბონაპარტის თანამოსაქმის, საფრანგეთის მარშლის იოახიმ მიურატის შთამომავალმა პრინცესა მიურატმა გააგზავნა წერილი, სადაც ნათქვამია:

„მე დიდად კმაყოფილი დავრჩი თქვენი ნაწარმით, რომლითაც ჩემს მამულში — ჭკადუაშში გადახურულ იქნა შენობები, საჭიროდ მივიჩნევ აღვნიშნო, რომ ცინკის ფურცლები ძალზე პრაქტიკულია და ჩვენი კლიმატისათვის შესაფერისი, ამიტომ მსურს მოგცეთ კიდევ ახალი შეკვეთა, აღნიშნულ მამულში არსებული ყველა შენობების სახურავის თანდათანობით შეცვლის მიზნით.[12]

პრინცესა მიურატი,
ზუგდიდი 1901 წლის 5 ნოემბერი“.[13]

კლიმატური სადგურის ტერიტორია მოქცეული იყო გაგრიფშისა და ჟოეკვარის ხეობებს შორის. კლიმატური სადგურის დაარსების პირველი ორი წლის მანძილზე მოეწყო ტექნიკური სახელოსნო, საამშენებლო სახელოსნო, კანალიზაცია, სასაკლაო, ბაზრის მოედანი, საწყობები, შენობებისა და ქონების სადაზღვევო კანტორა, მეტეოსადგური, სასამართლო და ნოტარიული კანტორა. მდინარე ჟოეკვარის გალმა, მთის ძირას, შეიქმნა დასახლება, რომელიც დაისერა ხის ბარაკებით თურქი მუშებისათვის. მას „ტრაპეზუნდი“ ეწოდებოდა. ჟოეკვარის ხეობაშივე იყო მოწყობილი ქვის სამტეხლო და აგურის გამოსაწვავი ღუმელი. ჟოეკვარის არც თუ ისე პატარა მოედანი სამეურნეო და სხვადასხვა ნაგებობებს ეჭირა. ეს დასახლება „ხელოსანთა უბანი № 3-ით იწოდებოდა“.[14] ჟოეკვარის

---

11 აფხ. რესპ. არქივი, ფ. 51, საქ. 9, ფურც. 135.

12 იოახიმ მიურატი — საფრანგეთის 1799 წლის 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, რომელიც ეხმარებოდა ნაპოლეონ ბონაპარტს ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. 1812 წლის ომის დროს სათავეში ედგა საფრანგეთის კავალერიას, რომელიც 1812 წლის 6 ოქტომბერს მდინარე ჩერნიშთან რუსის ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს.

13 აფხ. რესპ. არქივი, ფ. 51, საქ. 9, ფურც. 131.

14 იქვე, საქ. 53. ფურც. 177.



გაგრის რევოლუციამდელი ტრანსპორტი.

ხეობაში იყო ბაზარი, ფოსტა, გარაჟი (გარაჟში 10-15 ავტომობილი იყო), საჯინიბო და მაღაზიები.

1902 წლის 3 სექტემბერს მწყობრში ჩადგა გაგრის ელექტროსადგური. იმავე საღამოს პირველი ელექტროშუქი მიიღო დროებითმა სასტუმრომ (ამჟამად „გაგრიფში“).[15]

1902 წლის 17 სექტემბრის კლიმატური სადგურის № 160 ბრძანების თანახმად ამავე წლის 16 სექტემბრიდან ახალი ელექტროსადგურის ორთქლის მანქანის პირველ უფროს მემანქანედ დაინიშნა ალფონს ჰორვაცკი, თანაშემწედ დანიელ ბოიკი, ლოკომობილის ცეცხლფარეშად მელქო ძინძირაძე, ხოლო ელექტრომონტიორად ანდრო გოგეშვილი.[16]

1973 წლის 22 მარტს ქ. გაგრის გაზეთ „ავანგარდში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „გაგრა“ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. პრიცკერი წერს, გაგრის ელექტროსადგურმა პირველი შუქი ქალაქს 1907 წლის აგვისტოს თვეში მისცა.

---

[15] აფხ. რესპ. არქივი, ფ. 51, საქ. 9. ფურც. 197.
[16] იქვე, ფ. 51, საქ. 19, ფურც. 209.

აფხაზეთის რესპუბლიკური არქივის მონაცემებით დადგინდა, რომ ქალაქ გაგრამ პირველი ელექტროშუქი მიიღო 1907 წლის აგვისტოს, არამედ, როგორც აღვნიშნეთ, 1902 წლის 3 სექტემბერს.

დროებით სასტუმროში სულ 90 ნომერი იყო, სასტუმროშივე იყო მოთავსებული სააბაზანო, საპარიკმახერო, სამკერვალო და მუსიკალური ოთახი სხვადასხვა ინსტრუმენტებით. სასტუმროს გვერდით აგებული იქნა რესტორანი საბილიარდოთი. სასტუმროსთან არსებობდა ფოსტა, ტელეგრაფი და ფოტოლაბორატორია, ტელეგრამებს ღებულობდნენ და აგზავნიდნენ საზღვარგარეთ და რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში უცხო ენებზედაც.

ძველ გაგრაში 14 ჰექტარ ფართობზე საფუძველი ჩაეყარა პარკს. პარკში დაირგო ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეები, პრინცმა უცხოეთიდან ჩამოიყვანა და პარკში იქნა გაშვებული მაიმუნებისა და თუთიყუშების დიდი პარტია. ამ საქმის ინიციატორები იმედოვნებდნენ, რომ ისინი აქაურ პირობებს შეეგუებოდნენ და უფრო მეტ ტურისტებს მიიზიდავდნენ, მაგრამ პრინცის იდეა „ფეშენებლური კურორტის" შექმნისა ჩაიფუშა. გაგრა ვერ გახდა იმ დროს ვერც ფეშენებლური და ვერც მომგებიანი კურორტი. კურორტის მესვეურებმა ვერ უზრუნველყვეს სუბტროპიკული და ტროპიკული მცენარეების მოვლა-პატრონობა, რის შედეგად ისინი დაიღუპნენ, ხოლო მაიმუნებმა აქაურ პირობებში ვერ შესძლეს ზრდა-განვითარება, თუთიყუშები კი მიმინოებმა გაანადგურეს.

გაგრის ზღვისპირა პარკის გაშენება წარმოებდა გაგრის კლიმატური სადგურის უფროსი მებაღის აკაკი ხოშტარიას ხელმძღვანელობით, რომელიც წინათ ბათუმის ბაღის უფროს მებაღედ მუშაობდა და გაგრის კლიმატური სადგურის 1902 წლის 14 თებერვლის № 14 ბრძანებით დაინიშნა უფროსი მებაღის თანამდებობაზე.

აკაკი ხოშტარიასთან სხვადასხვა დროს მებაღეებად მუშაობდნენ: ფ. ნაკაიძე, ანდრო მათითაშვილი, ამბაკო ჯოჯუა (სოფ. კოლხიდიდან, გაგრა), აკაკი ჯიშკარიანი, პ. ჩხეიძე, ნესტორ წულაია, პორფილე ჯიქია, ი. პოლიანისი და იანკო ტიგლიაროვი.[17]

მიუხედავად უდიდესი რეკლამისა კურორტზე სიცარიელე იგრძნობოდა, ავადმყოფები და დამსვენებლები გაგრაში ცოტა ჩამოდიოდა, რადგანაც ციებ-ცხელება მძვინვარებდა და კლიმატური სადგურის მესვეურები კი უძლურნი იყვნენ ამ სენთან ბრძოლაში.

---

17 აფხ. რესპ. არქივი, ფ. 51, საქ. 19, ფურც. 42.

როგორც აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ნესტორ ლაკობა აღნიშნავდა, „გაგრა შავი ზღვის სანაპიროზე მალარიის მხრივ ყველაზე უარეს მდგომარეობაში იყო, აქ მოსახლეობის მთელი 100 პროცენტი ავადმყოფობდა“.[18]

გაგრაში დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩამოსულ პირთა რეგისტრაცია გაგრის სასტუმროში წარმოებდა. გაგრის დროებით სასტუმროში ჩამოსულთა რაოდენობა 1903 წლიდან 1908 წლამდე იყო: 1903 წ. — 1.340კაცი, 1904 წ. — 672, 1905 წ. — 371, 1906 წ. — 303, 1907 წ. — 725, 1908 წ. — 448 კაცი. სულ 6 წლის მანძილზე გაგრაში 3.859 კაცი ჩამოვიდა.

გაგრაში 1912 წელს ჩამოსულთა რიცხვი 5.252 კაცს შეადგენდა, 1913 წელს კი 5.545-ს. 1914 წლის 8 თვის მანძილზე გაგრაში 4.838 კაცი ჩამოვიდა.[19]

გაგრის ადგილობრივ მცხოვრებთა რიცხვი 1915-16 წლებში 4.000 კაცს აღწევდა.[20]

ცარიზმის პრესა მალავდა და ხელს აფარებდა გაგრაში შექმნილ სინამდვილეს, რადგანაც კურორტის შეფი მეფის ნათესავი იყო. მხოლოდ ლენინურმა „ისკრამ“ ფარდა ახადა და გამოეხმაურა გაგრაში შექმნილ მდგომარეობას. 1903 წლის 15 აგვისტოს სტატიაში „მეფის მზითევი და გვირგვინოსანი ქურდი“ ლენინური „ისკრა“ ბრალს დებდა მეფეს იმაში, რომ მან 14 ათასი დესეტინა მიწა მოჰპარა ხალხს გაგრის რაიონში და მისცა მზითევად თავის დას, რომელიც ცოლად მიჰყავდა პრინც ოლდენბურგსკის ვაჟიშვილს.[21]

გაგრის კლიმატური სადგურის მფლობელობაში მყოფი გარდა 14.000 დესეტინა მიწისა, კლიმატური სადგურის ადმინისტრაციის მიერ იჯარით იქნა აღებული უდიდესი სამონადირეო ტერიტორია სოჭისა — საერთო ფართობით 10.000 დესეტინა და ბზიფისა 108.793 დესეტინა. ასე რომ საერთო სამონადირეო ტერიტორია გაგრისა შეადგენდა 132.798 დესეტინას.[22]

გაგრის კლიმატური სადგურის მესვეურები უმოწყალოდ ჩეხდნენ და ანიავებდნენ ტყეებს, კერძოდ გაგრაში ხე-ტყის შესყიდვას ეწეოდნენ უცხოელი საქმოსნები, რომლებსაც ათასობით კუბური მეტრი ძვირფასი ხე-ტყის მასალა გაჰქონდათ საზღვარგარეთ. აი, რას სწერდა გრაფი ტატიშევი 1906 წლის 7 ივნისს კლიმატური სადგურის უფროსს კაპიტან მ. ნ. კროპა-

---

18 გაზ. „ავანგარდი“, „აფხაზეთის კურორტების განვითარების ისტორიისათვის“, 10 სექტემბერი, 1970 წ.

19 აფხ. რესპ. არქივი, ფ. 51, საქ. 39, ფურც. 1.

20 ნ. ი. ვორობიოვი, დასახელებული წიგნი, გვ. 340-347.

21 ვ. ფაჩულია, დასახელებული წიგნი, გვ. 25.

22 ნ. ი. ვორობიოვი, დასახელებული წიგნი, გვ. 354.

ჩევს: „გთხოვთ გაუწიოთ სათანადო დახმარება [illegible] ცხოველებს გორგიევიჩს, ჰარიმანსა და ბრიუულერს, რომლებიც [illegible] ...ვდიან თქვენთან ტყეების დასათვალიერებლად.

გრაფი ტატიშევი".[23]

ასევე ვარშავიდან 1907 წლის 26 მარტს კლიმატური სადგურის უფროსის სახელზე მიღებულ იქნა დეპეშა ფირმა „ფაბიან ლობშიცისაგან". აღნიშნული ფირმა გ. ნ. კროპაჩევს სთხოვდა ეცნობებინათ მათთვის, კლიმატური სადგურის სატყეო მეურნეობაში იყიდება თუ არა მუხა და რა ფასებში.[24]

სატყეო მეურნეობის საჭიროებისათვის კლიმატური სადგურის ადმინისტრაცია იჯარით ქირაობდა საცხოვრებელ სახლებს, გაგრის სატყეო მეურნეობის მეტყევე-შემომვლელთათვის საცხოვრებლად.

ასე, მაგალითად: კლიმატური სადგურის უფროს ვსევოლოდ სტაროსელსკისა და კერძო სახლის მფლობელ თავად შერვაშიძის ქვრივ პემბა შერვაშიძეს შორის დადებულ იქნა კონტრაქტი საცხოვრებელი სახლის იჯარით გადაცემის შესახებ თვეში 150 მანეთად. პემბა შერვაშიძის სახლი მდებარეობდა ნოვოროსიისკ-სოხუმის გზატკეცილის პირას, კლიმატური სადგურიდან 8 ვერსის მანძილზე. სახლი ქვითკირისა იყო და 7 ოთახისაგან შედგებოდა. კარმიდამო კი 800 კვადრატული საჟენი იყო.[25]

გაგრიდან 8 ვერსის დაშორებით მდებარეობდა პრინც ოლდენბურგსკის მამული „ოტრადნოე", სადაც მას ფერმა ჰქონდა. ფერმაში მოწყობილი იყო სარძევე მეურნეობა, რომელიც აღჭურვილი იყო საჭირო მანქანებით რძის გაცივებისა და პასტერიზაციისათვის. ნაღების განყოფილება და ბოთლების სამრეცხაო-საშრობი განყოფილება ცალკე იყო. მომხმარებელთათვის რძე სპეციალური ფურგონებით მიჰქონდათ.

მეურნეობა „ოტრადნოეს" მეორე მნიშვნელოვანი დარგი მელვინეობა იყო.

„ოტრადნოეს" ეზოში მოთავსებული იყო სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი, საკუჭნაოები და საჯინიბო. „ოტრადნოეში" 1913 წელს გაიხსნა „სკოლა-პრიუტი". 1912 წლიდან გაგრაში არსებობდა რეალური სასწავლებელი და ქალთა გიმნაზია.[26]

---

23 აფხაზ. რესპ. არქივი, ფ. 51, საქ. 28, ფურც. 120.
24 იქვე, ფურც. 109.
25 იქვე, საქ. 44, ფურც. 3.
26 ნ. ი. ვორობიოვი, დასახელებული წიგნი, გვ. 358.

გაგრაში არსებობდა სამლოცველო, რომელსაც ბოლესლავ იაგელის ძე კსენზო განაგებდა. კლიმატური სადგურის მღვდელი კი გიორგი თუმანოვი იყო. იმისათვის, რომ პატიმრებზე „ღვთაებრივი ზეგავლენა“ მოეხდინათ, კლიმატური სადგურის მესვეურნი და ადგილობრივი პოლიცია იყენებდა ღვთის მსახურთ. ასე, მაგალითად, გაგრის კლიმატური სადგურის უფროსი პოლკოვნიკი ლებედევი 1908 წლის 15 სექტემბერს გაგრის პოლიციის უფროსისადმი მიმართვაში წერდა:

„გთხოვთ, თუ საშუალება გაქვთ, პატიმრებთან გასაუბრების მიზნით საპატიმრო სახლში დაუშვათ მღვდელი“.[27]

გაგრის მომრიგებელი სასამართლო უბნის გამგე იყო ვ. ი. პავლოვიჩი, სასამართლოს პრისტავი — თავადი ა. ზ. ჩიქოვანი. სასამართლო უბნის უფროსის განკარგულებაში შედიოდა საგამომძიებლო, სააპეკუნო, ნოტარიული და სასამართლო-მომრიგებელი განყოფილებები. სასამართლო უბნის უფროსის რეზიდენცია მოთავსებული იყო გაგრის სიმაგრეში, ეკლესიის მახლობლად.[28]

გაგრის კლიმატურ სადგურს ამარაგებდა რუსეთ-ინგლისის საზოგადოების ფირმა „პაველ ვორტმანი“, რომელიც ჯერ კიდევ 1896 წელს დაარსდა. იგი გაგრაში აგზავნიდა გენერატორებს, სამაცივრო აპარატებს, ძრავებს, ავტომობილებს, სასწორებს. არმატურას. ყველა სისტემის მანომეტრებს, ფოლადის ცილინდრებს და სხვა.

გენერატორი, რომლის საშუალებით ღებულობდნენ ყინულს, 1 საათში 50 კილოგრამ ყინულს ამზადებდა.[29]

გაგრაში მხოლოდ ერთი საავადმყოფო იყო, ისიც 60 ადგილით. იგი საოპერაციო და ამბულატორული (დეზკამერით) განყოფილებებისაგან შედგებოდა. საავადმყოფოს მხოლოდ 3 ექიმი უწევდა მომსახურებას: თერაპევტი, ქირურგი და ბაქტერიოლოგი ბავშვთა სნეულების დარგით და რამდენიმე მოწყალების და. ზაფხულისა და შემოდგომის საკურორტო სეზონისათვის გაგრაში ჩამოდიოდნენ ექიმები, რომლებიც კერძო პრაქტიკას ეწეოდნენ და მხოლოდ საფასურით მკურნალობდნენ პაციენტებს. გაგრის საავადმყოფოს გააჩნდა სასწრაფო დახმარების ერთი ფურგონი, რომელიც ინგლისიდან იქნა ჩამოტანილი, იგი მოწყობილი იყო საკაცითა და საგორებელი სავარძლით.[30]

---

27 აფხ. რესპ. არქივი, ფ. 51, საქ. 7, ფურც. 192.
28 **გ. გ. მოსკვინი**, დასახელებული წიგნი, გვ. 428.
29 აფხ. რესპ. არქივი, ფ. 51, საქ. 13, ფურც. 75-76.
30 **ნ. ი. ვორობიოვი**, დასახელებული წიგნი, გვ. 344-345.

საავადმყოფოში მკურნალობა ფასიანი იყო. ასე, მაგალითად, ახალ გაგრაში მცხოვრებ პავლე გაბისონიას 30 აპრილიდან 4 მაისამდე საავადმყოფოში მკურნალობისათვის გადაახდევინეს 4 მანეთი, ლეონ კურდას 29 აპრილიდან 9 მაისამდე — 10 მანეთი, ტროფიმე ულიანიცკის 18-დან 26 მარტამდე 6 მანეთი და სხვა.[31]

ხშირ შემთხვევაში ავადმყოფებს არ გააჩნდათ მკურნალობისათვის საჭირო თანხა და საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ, კლიმატური სადგურის ცნობით, პოლიციის მეშვეობით იძულებითი წესით ახდევინებდნენ. ახალ გაგრაში მცხოვრებ მუშა ალექსი სმირნოვის მიერ იძულებითი წესით გადახდილ იქნა მკურნალობისათვის 11 მანეთი 1913 წლის 12 ოქტომბერს. ასევე 1914 წლის 30 სექტემბერს გაგრაში მცხოვრებ ვლადიმერ გაბელიას იძულებითი წესით გადაახდევინეს 6 მანეთი. აღნიშნული თანხა შეტანილ იქნა კლიმატური სადგურის სალაროში (ქვითარი № 2954).[32]

1902 წლის 1 დეკემბერს გაგრაში გაიხსნა პირველი აფთიაქი.

აფხაზეთის მოსახლეობისადმი პროფილაქტიკური ღონისძიებების გაუტარებლობისა და ცუდი სამედიცინო მომსახურების შედეგი იყო ის ფაქტი, რომ 1910-11 წლებში აფხაზეთის მთელ რიგ რაიონებში ტიფი მძვინვარებდა. მხოლოდ გაგრა გადაურჩა იმ დროს ამ საშინელ სენს. ამაზე მეტყველებს პრინც ოლდენბურგსკის წერილი ამიერკავკასიის მთავარმართებლის თანაშემწის სენატორ ვატაცისადმი, რომელიც მოგვყავს უცვლელად:

„თბილისი
მისი აღმატებულების მთავარმართებლის
თანაშემწეს სენატორ ვატაცის!

თუმცა გაგრაში ტიფი არ არის, მაგრამ გაგრის საავადმყოფოში ბევრია ტიფით დაავადებული, რომლებიც ჩამოყვანილი იქნა ადლერიდან, გუდაუთიდან და აფონიდან. საავადმყოფოს შენობა გადატვირთულია. სცნობთ თუ არა საჭიროდ გასცეთ განკარგულება, რომ ტიფით დაავადებულნი გაგრაში არ ჩამოიყვანონ, ან ბრძანოთ კლიმატურ სადგურს გამოეყოს საჭირო თანხა, რათა ავადმყოფთათვის ცალკე აგებული იქნას დროებითი ბარაკები.

პრინცი ოლდენბურგსკი, 27 მარტი 1911 წელი“.[33]

---

31 აფხ. რესპ. არქივი, ფ. 51, საქ. 31, ფურც. 91.
32 იქვე, საქ. 49, ფურც. 478.
33 იქვე, საქ. 41, ფურც. 109.

1902 წლის 6 აპრილს გაგრაში დაწესდა ჟანდარმთა პუნქტი, ხოლო 1909 წელს აშენდა გაგრის ციხე ინჟინერ რომანოვსკი-ლდაუს პროექტით. საპატიმროს მშენებლობა დამთავრდა და სპეციალური კომისიის მიერ მიღებულ იქნა საექსპლოატაციოდ 1910 წლის 15 იანვარს. ციხის მშენებლობა 5.286 მანეთი და 96 კაპიკი დაჯდა.[34]

გაგრაში საექსკურსიოდ ჩამოსულთათვის ყველაზე საინტერესო იყო გაგრა ალპური, მთა მამზიშხა, არაბიკი, ხაგა, ბერჩილა და აჩმარდა, რომლებიც ზღვის დონიდან 1.600-1.800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობდნენ. ალპური გაგრის გზაზე ექსკურსანტები ცხენებით, ჯორებითა და ვირებით მიჰყავდათ, ექსკურსანტებს თან ახლდნენ გამცილებლები, რომლებიც მათგან საფასურს იღებდნენ.

გაგრა ალპურზე მგზავრობა სპეციალური ორთვალითაც წარმოებდა. ორთვალაში ორი კაცი ეტეოდა, მას ჰქონდა სამუხრუჭო მოწყობილობა. ორთვალა ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მდიდართათვის, რადგანაც იგი ძვირი ღირდა (სპეციალური გამოწერით). გაგრის კლიმატურმა სადგურმა 1902 წლის 27 ივლისს პეტერბურგიდან საზოგადოება „პარავოზისაგან" მიიღო 4 თვალიანი ფინური კონსტრუქციის ერთი „დრეზინა" მასში ორი მუშა და ორი მგზავრი თავსდებოდა. იგი სიგანით ერთმეტრიანი ლიანდაგისათვის იყო განკუთვნილი.[35]

ახალ და ძველ გაგრას შორის 5 კმ-ის მანძილზე მიმოსვლა ეტლებით ხდებოდა. ეტლით მგზავრობა ძველიდან ახალ გაგრამდე 75 კაპიკი ღირდა, ხოლო ლინეიკით 15 კაპიკი.

1904 წლიდან დაიწყო მიმოსვლა „დილიჟნით" ერთი რეისით დღეში გაგრიდან გუდაუთამდე, ხოლო სოჭა-სოხუმის დისტანციაზე 1910 წელს ინჟინერ ბელობოროდოვის თაოსნობით დაიწყო რეგულარული მიმოსვლა ავტომობილებისა. ავტომობილები შვეიცარიის ფირმისა „ზაურერი" და ამერიკული ფირმისა „გრამმ" იყო. საფოსტო ავტომობილებში 8 მგზავრი თავსდებოდა, ხოლო საბარგო ავტობუსებში — 20. სულ საფოსტო-სამგზავრო კანტორის განკარგულებაში 12 ავტომობილი იყო. გარდა ამისა 1909 წლიდან ბაზრის მოედნიდან საბაზანოს შენობამდე მიმოდიოდა ტრამვაი (კონკა) შემდეგ კი ბაზრის მოედნიდან ლაზარეთამდე.[36]

ლაზარეთი 500 საწოლიანი იყო, იგი პირველი მსოფლიო ომის დღეებში გაიხსნა დაჭრილ მეომართათვის. მისი მოწყო-

---

[34] აფხ. რესპ. არქივი, საქ. 42, ფურც. 69.
[35] იქვე, ფ. 51, საქ. 22, ფურც. 78.
[36] იქვე, საქ. 21-22, ფურც. 128,148.

ბილობისათვის გაგრის კლიმატური სადგურის მიერ 94.500 მანეთი იქნა ასიგნებული.[37]

გაგრაში შემოდიოდა გემი „ოტვაჟნი“, სანაოსნო ნიჩბოსანი ნავები: „ტადიკი“, „ნებიე“, „იალტა“ და „შაგინი“. სატვირთო მაგუნა „ლებედი“. ნავსაყუდელი განათებული არ იყო და ღამით გემებიდან გადმოსხდომისას და ტვირთის ნაპირზე გადმოზიდვის დროს ხშირად მგზავრები წყალში ცვიოდნენ.[38]

გაგრაში მიმოსვლა ძრავიანი ნავებითაც წარმოებდა. კერძოდ, ძველსა და ახალ გაგრას შორის, გაგრასა და ადლერს შორის, გაგრასა და ბიჭვინთის მონასტერს შორის. ნიხრი მგზავრობისა ასეთი იყო:

მოგზაურობის პირველი საათი 3 მანეთი, ყოველი მომდევნო საათი კი 2 მანეთი ღირდა. მგზავრობა გაგრიდან ბიჭვინთთის მონასტრამდის და უკან 12 მანეთი ღირდა, გაგრასა და ადლერს შორის კი 12 მანეთი ჯდებოდა. ძრავიან ნავში 8 მგზავრი თავსდებოდა.[39] ნავები კერძო მესაკუთრეთა ხელში იყო, მისი მფლობელები იყვნენ: მიხეილ ბასილის ძე და აკიმ მიხეილის ძე ფედოროვსკები. მათი ნავების სახელწოდება იყო „ხარკოვი № 330“. გარდა ფედოროვსკებისა, ძრავიანი ნავების მფლობელი იყო პროკოფი ვასილის ძე ოსიპოვი. მის ნავს „ჩაიკა“ ერქვა.

კლიმატური სადგურის განკარგულებაში იყო აგრეთვე ნავი „ალექსანდრე“.[40] გაგრაში შემოდიოდა დიდი წყალწყვის გემებიც: „სვიატოგორი“, „მარია“.[41] გაგრის საზღვაო ნავსადგურის უფროსი იყო პორუჩიკი თავადი ჩოლოკაევი.[42]

გაგრაში გამოდიოდა გაზეთი „ჩერნომორსკი კრაი“, რომლის რედაქტორი იყო გ. დ. ტოროპოვი. 1911 წლიდან გაგრაში გაიხსნა კერძო სტამბა „ჟურნალი“ და ამავე წლიდან იწყო გამოსვლა „გაგრის გაზეთმა“, რომელიც 1915 წლამდე გამოდიოდა.[43]

გაგრის კლიმატური სადგურის პირველი უფროსი იყო ბარონი ბუხჰოლცი, კლიმატური სადგურის არსებობის მანძილზე სხვადასხვა დროს მისი უფროსები იყვნენ პოლკოვნიკი ფ. ნ. პეშკოვი, თავადი გოლიცინი, ბ. ვ. შულგინი, პოლკოვნიკი ლებედევი, პოდპოლკოვნიკი ბაბურინი, ურუშაძე, ინჟინე-

---

37 აფხ. რესპ. არქივი, საქ. 45, ფურც. 103.
38 იქვე, ფ. 8, ფურც. 60.
39 იქვე, ფ. 51, საქ. 16, ფურც. 104.
40 იქვე, საქ. 6, ფურც. 130, 391.
41 იქვე, საქ. 8, ფურც. 114.
42 იქვე, საქ. 16, ფურც. 470.
43 იქვე, საქ. 10, ფურც. 62.

რი დავით ილიას ძე ჯაფარიძე, შტაბსროტმისტრი ვსევოლოდ დიმიტრის ძე სტაროსელსკი, ივანოვი და სხვანი.[44]

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლიმატური სადგურის პირველი ექიმები იყვნენ ლ. ი. ჩა-უსოვი და ა. ნ. შაფრანოვსკი. სხვადასხვა დროს კლიმატური სადგურის ექიმებად მუშაობდნენ: უფროსი ექიმი იგნატი მოკროეეცკი (თერაპევტი), ბ. ფ. ბარანოვსკი (ქირურგი), ა. ა. კოჩერიანცი (ბავშვთა სნეულებანი), ა. ა. ზაიანსკი (ვეტერინარი) და ექიმი ვ. დიმიტრიევი.[45]

ხანგრძლივი დროის მანძილზე გაგრის კლიმატური სადგურის სამეურნეო საქმიანობას განაგებდა ევსტიგნეევი, სამონადირეო მეურნეობის უფროსი იყო მედიცინის დოქტორი განს ფონ-კედიში. კლიმატური სადგურის უფროსი ტოპოგრაფი იყო ი. მ. მარუაშვილი, მასთან ერთად მუშაობდნენ ტოპოგრაფი შლეინი და პრაქტიკანტები ილია და ვიქტორ მარუაშვილები.[46]

გაგრის სამხედრო გარნიზონის უფროსი იყო პირწავარდნილი რეაქციონერი პოლკოვნიკი სკალონი. ხოლო პოლიციის უფროსები სხვადასხვა დროს იყვნენ როტმისტრი ვჟესნიოვსკი (1903 წლიდან), შტაბსროტმისტრი ამათუნი, შტაბსროტმისტრი ფონ-მაუბერგი. 1917 წლიდან გაგრის ოკრუგის მილიციის კომისარი იყო მგელაძე.[47]

გაგრის კლიმატური სადგურის მესვეურთა მიერ 1902 წლის 18 აპრილის ბრძანებით კლიმატური სადგურის მუშებისა და ხელოსნებისათვის დაწესდა ნიშნები, რომლებიც მათ ქუდზე ან მკერდზე უნდა ეტარებინათ, მიუხედავად მრავალგზისი შენიშვნისა და გაფრთხილებისა, კლიმატური სადგურის თავკაცებმა ვერ მიაღწიეს იმას, რომ მუშებს ეტარებინათ ნიშნები. სამუშაო დღე 14-16 საათი გრძელდებოდა. მუშები ძალზე ცუდად იკვებებოდნენ, 1902 წლის 27 მარტის ბრძანებით კლიმატური სადგურის სამმართველო აცხადებდა საერთო ცნობას, რომ I ზარი 5 საათზე მუშებს აუწყებდა: „ადექით“, II ზარი კი 6 საათზე — „სამუშაოზე გამოდით“.[48]

კლიმატური სადგურის 1902 წლის 16 ნოემბრის № 208 ბრძანების თანახმად საყოველთაოდ ცხადდებოდა, რომ გაგრის აბანო მოსახლეობას მომსახურებას გაუწევდა კვირაში 3-ჯერ: ოთხშაბათობით — ქალებისათვის, პარასკევობით — მაჰ-

---

44 აგზ. რესპ. არქივი, საქ. 9-44-45, ფურც. 70, 25, 84, 128.
45 იქვე, ფ. 51, საქ. 20, ფურც. 36.
46 იქვე, საქ. 19, ფურც. 222.
47 იქვე, საქ. 53, ფურც. 434.
48 იქვე, ფ. 51, საქ. 19, ფურც. 72.

მადიანთათვის, შაბათობით კი ქრისტიანთათვის.[49] მორწმუნეთა კატეგორიებად დაყოფა ცარიზმის რასობრივ-ნაციონალური დისკრიმინაციისა და კაცთმოძულეობის მკაფიო გამოხატულება იყო.

* * *

გაგრის კლიმატური სადგურის მშენებლობა მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა. რუსეთის იმპერიის დამშეული გუბერნიებიდან ჩამოსული მუშახელი, ადგილობრივი მოსახლეობა, გადმოხვეწილი თურქები და ბერძნები აუტანელ პირობებში შრომობდნენ და საფუძველს უყრიდნენ მომავალ კურორტს.

ექსკურსანტები ვირებით მგზავრობდნენ. შუაში — გამცილებელი სპარსელი ყულა.

მათ უმძიმესი სამუშაოების შესრულება უხდებოდათ მეტად რთულ სამთო პირობებში. არ იყო ტექნიკური უშიშროების დაცვის არავითარი საშუალებანი, არავითარი სამედიცინო დახმარება და მედიკამენტები, არავითარი ზრუნვა მშრომელი ხალხის დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე. ყოველივე ეს არც კი აწუხებდათ კლიმატური სადგურის მესვეურებს.

[49] აფბ. რესპ. არქივი, ფ. 51, საქ. 19, ფურც. 265.

უცვლელად მოგვყავს კლიმატური სადგურის სამუშაოს მწარმოებლის ანასტას ნიკოლაევის წერილი კლიმატური სადგურის სამმართველოსადმი, დათარიღებული 1902 წლის 8 თებერვლით, რომელიც დაკავშირებული იყო წყალსადენის მშენებლობასთან ჟოეკვარის ხეობაში.

„გაგრის კლიმატური სადგურის სამმართველოს
მენარდე ანასტას ნიკოლაევის
გახცხადება

ჩემს მიერ აღებული, ჟოეკვარის ხეობაში, წყალსადენის გასაყვანი არხების სამუშაოების წარმოება მეტად რთულ და მძიმე პირობებში გვიხდება, რადგანაც ზოგიერთი ადგილები კლდოვანი და მიუვალია. თუმცა მსგავსი სამუშაოს შესასრულებლად ჩემს მიერ შექმნილ იქნა მუშათა არტელი 500 კაცის რაოდენობით.

თუმცა ისინი კარგად არიან დაუფლებული კლდისა და მთის პირობებში მუშაობას, მაგრამ მუშაობა ძლივს მიიწევს წინ და დაკავშირებულია უდიდეს საფრთხესთან.

26 იანვარს მთიდან მოწყვეტილმა ქვამ უფსკრულში გადაჩეხა მუშა, ხოლო 1 თებერვალს, საღამოს, როცა მუშები სამუშაოს დამთავრების შემდეგ შეიკრიბნენ დროებით სადგომ ფიცრულში, მთიდან დაგორებული ქვა მოხვდა საცხოვრებელ ფიცრულს, ჩაამტვრია ხის კედელი და ზურგი მძიმედ დაუზიანა ერთ-ერთ მუშას, ხოლო მეორეს კი ფეხი დაუშავა.

რამდენიმე დღის შემდეგ ძლივს მოხერხდა ფეხდაშავებულის საავადმყოფოში მიყვანა, ხოლო ზურგში დაჭრილის გადაყვანა ვერ შევძელით, რადგანაც ის ადგილი, სადაც წევს დაჭრილი, ჯანმრთელი ადამიანისათვისაც ძნელად მისასვლელია.

ასე რომ დაზარალებული მუშა იმყოფება ყოველგვარი სამედიცინო დახმარების გარეშე. მე იძულებული ვარ მოგმართოთ თქვენ თხოვნით, რომ გაუწიონ დახმარება მუშათა არტელებს, და არტელის წევრთა მუშაობის ობიექტებში დაინიშნოს მედიცინის ფერშალი, რომელიც მომარაგებული იქნება აუცილებელი მედიკამენტებითა და შესახვევი საშუალებებით. რადგანაც დაჭრილ მუშათა გადაყვანა გაგრის საავადმყოფოში შეუძლებელია. ასეთი მუშები უბედური შემთხვევის დროს ღვთის ანაბარად და უნუგეშოდაა მიტოვებული.

მენარდე ა. ნიკოლაევი,
8 თებერვალი, 1902 წელი, გაგრა“.[50]

---

50 აფხ. რესპ. არქივი, ფ. 51, საქ. 9, ფურც. 162-163.

იმ დროს, როდესაც ხალხი უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობდა, შიმშილით სულს ღაფავდა და თანაც უმძიმესი სამუშაოების შესრულება უხდებოდა, გაგრის კლიმატური სადგურის მესვეურები და მათი თანამზრახველნი უმოწყალოდ ანიავებდნენ და ფლანგავდნენ ხალხის ქონებას. პრინცი ოლდენბურგსკი როგორც უნდოდა ისე ფანტავდა კურორტის შემოსავალს. ფუფუნებით ცხოვრება, მოგონილი ათასნაირი გართობები, სადღესასწაულო და საიუბილეო საღამოები, საზღვარგარეთ მოგზაურობა, მეფის ოჯახის წევრთა და დიდგვაროვან თავადაზნაურთა ხშირი სტუმრობა დიდძალ სახელმწიფო თანხას იწირავდა. ხალხის უმწეო მდგომარეობას ადასტურებს კიდევ ერთი განცხადება: გაგრაში მცხოვრები გედევან იასოვი თხოვნით მიმართავს პრინც ოლდენბურგსკის:

„მის აღმატებულებას პრინც ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგსკის
მცხ. გაგრა, გედევან ჯამუს ძე იასოვისაგან
თხოვნა

5 წელი ვიმსახურე მეფის ჯარში, ამჟამად ვიმყოფები მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში, ვარ ცოლ-შვილიანი, ოჯახი ჩემი შიმშილობს. გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში და მიმიღოთ თუნდაც ყველაზე მძიმე სამუშაოზე.

მთხოვნელი გედევან იასოვი, 1912 წელი“.[51]

1911 წლის 21-22 სექტემბერს გაგრის კლიმატური სადგურის მიერ ორგანიზებულ იქნა ავტოშეჯიბრი, პრინც ოლდენბურგსკისა და მისი ოჯახის წევრთა პრიზზე, მარშრუტით: ნოვოროსიისკი — გაგრა. იგი ნოვოროსიისკში დაიწყო და გაგრაში დამთავრდა, მასში მონაწილეობა მიიღო ავტოტრანსპორტის მოყვარულთა ჯგუფმა როგორც რუსეთიდან, ასევე საზღვარგარეთიდანაც. ავტოშეჯიბრში მონაწილეობდა მხოლოდ მდიდართა გარკვეული ნაწილი, რომლებიც ფუქსავატურ ცხოვრებას ეწეოდნენ და მხოლოდ გასართობების მოწყობასა და დროის ტარებაზე ფიქრობდნენ. შეჯიბრის მონაწილეებს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს, მდიდრული სუფრა გაუმართეს და პირადად პრინცი მიესალმა მათ. ცერემონია და საჩუქრები დიდძალი თანხა დაჯდა.[52]

---

51 აფხ. რესპ. არქივი, საქ. 44, ფურც. 36.
52 იქვე, საქ, 46, ფურც. 45.

ასევე დიდძალი თანხა შეიწირა 1903 წლის 7 იანვარს, გაგრის კლიმატური სადგურის გახსნის დღეს, რესტორან „გაგრიფში“ პრინც ოლდენბურგსკისა და პრინცესა ოლდენბურგსკაიას შეუღლებიდან 35 წლისთავისადმი მიძღვნილმა საიუბილეო საღამომ, რომელსაც მდიდარ საქმოსანთა და არისტოკრატთა წარმომადგენლები ესწრებოდა. იყვნენ საზღვარგარეთელი სტუმრებიც.[53]

მძიმე და აუტანელ პირობებში უყრიდა მშრომელი ხალხი საფუძველს მომავალ კურორტს, მიუხედავად უმძიმესი სამუშაოებისა და არაადამიანური საყოფაცხოვრებო პირობებისა, მშრომელის მარჯვენით შენდებოდა სასტუმროები და მდიდართა საცხოვრებელი სახლები, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობანი, სანაპირო პარკი და წყალსადენი, ელექტროსადგური და ნავსადგური, მექანიკური სახელოსნო და სხვადასხვა კომუნალური მომსახურების ობიექტები.

მომავალი კურორტის მშენებლობის საქმეში თავიანთი წვლილი შეჰქონდათ მოწინავე ინტელიგენციის ერთეულ წარმომადგენლებს. ესენი იყვნენ: უფროსი ექიმი მოკროჟეცკი და ჩაუსოვი, არქიტექტორები ილიაშევი და ანდრეევი, უფროსი მებაღე აკაკი ხოშტარია, უფროსი ტოპოგრაფი მარუაშვილი და სხვანი, რომლებიც თავიანთ ნიჭსა და გამოცდილებას ახმარდნენ კურორტის კეთილმოწყობას, მკურნალობდნენ ტანჯულ და უუფლებო მშრომელ ხალხს.

კაპიტალიზმი რუსეთში ბატონყმობის ძლიერი გადმონაშთების პირობებში ვითარდებოდა. ცნობილია, რომ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს რუსეთი იმპერიალიზმის სტადიაში შევიდა. ამიტომ ვ. ი. ლენინი რუსეთის იმპერიალიზმს სამხედრო-ფეოდალურ იმპერიალიზმს უწოდებს. ფეოდალური გადმონაშთები აფერხებდა ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიურ განვითარებას. XX საუკუნის დამდეგს დაიწყო მსოფლიო სამრეწველო კრიზისი, რომელიც სწრაფად გავრცელდა რუსეთსა და საქართველოში.

კრიზისის შედეგები ძალზე მძიმე იყო საქართველოსათვის. კრიზისის წლებში კიდევ უფრო გაუარესდა მშრომელთა ისედაც მძიმე მდგომარეობა. 1901 წლის მოუსავლიანობამ გლეხობა დაამშია, სამრეწველო კრიზისმა და უმუშევრობამ გამოიწვია მუშათა მოძრაობის შემდგომი გაფართოება. 900-იან წლებში ლენინური იდეები რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებსაც აღწევდა, საქართველოშიც იქმნებოდა სოციალ-დემოკრატიული წრეები და ორგანიზაციები. ლენინური იდეები აფ-

---

53 აფხ. რესპ. არქივი, საქ. 26, ფურც. 5.

ხაზეთშიც შემოიჭრა, აფხაზეთის უუფლებო მშრომელი ხალხი თანდათანობით ებმებოდა ცარიზმის წინააღმდეგ მეუპოვარ ბრძოლაში.

მშრომელი მასის აუტანელ პირობებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1902 წლის 12 აპრილს პირველად აფხაზეთის ისტორიაში გაგრის კლიმატური სადგურის დურგალ-ხელოსანთა არტელის მუშებმა მოაწყვეს პოლიტიკური გაფიცვა.

აი, რა წერია მოწმობაში, რომელიც კლიმატური სადგურის სამმართველოს მიერ იქნა გაცემული დურგალ-ხელოსანთა არტელის უფროსის ა. ა. სმირნოვის სახელზე.

„დურგალ-ხელოსანთა არტელი, ორმოცდათორმეტი კაცის შემადგენლობით, მიუხედავად გაგრის კლიმატური სადგურის სამმართველოს № 61 ბრძანებისა, სამუშაოზე არ გამოცხადდა. მოაწყვეს გაფიცვა, მათ აიძულეს სამუშაოს მწარმოებელი ა. ა. სმირნოვი სრული ანგარიში მათთვის 1902 წლის 22 აპრილამდე გაესწორებინა“.[54]

აღნიშნული ფაქტი გაგრის მუშათა პოლიტიკური მოძრაობის პირველი ნაბიჯები და პირველი გამარჯვება იყო. და სწორედ გაგრაში მუშახელის მძიმე ეკონომიურმა პირობებმა და კლასობრივმა უთანასწორობამ ხელი შეუწყო 1903 წელს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნას, რომელმაც თავიდანვე ბოლშევიკური პოზიცია დაიკავა.

---

54 აფხ. რევპ. არქივი, ფ. 51, საქ. 9, ფურც. 13.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაგრის რევოლუციური წარსულიდან

გაგრაში 1905 წლის რუსეთის პირველმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. გაგრელებმა ამ რევოლუციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ბოლშევიკური აგიტაციისა და პროპაგანდის შედეგად 1905 წლის ზაფხულში აქ მოეწყო მთელი რიგი რევოლუციური გამოსვლები, მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები და სახალხო ყრილობები.

1905 წლის შემოდგომაზე გაგრის შეიარაღებული „წითელი ასეული", რომელიც სოჭის მუშებთან გაერთიანდა, ერთობლივ ბრძოლას აწარმოებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა აქტიური პოლიტიკური მოქმედების შედეგად, რასაც გაგრაში თავმოყრილ მშენებელ მუშებს შორის უდიდესი გავლენა და მხარდაჭერა ჰქონდა, შესძლეს გაგრის ადმინისტრაციის მთლიანი პარალიზება და ძალაუფლება ხელში აიღეს.

1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში ბოლშევიკების აქტიური რევოლუციური მოქმედების შედეგად „გაგრის რესპუბლიკა" დამყარდა. რესპუბლიკის დამყარების პირველსავე დღეებში, სახალხო რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელსაც სათავეში ბოლშევიკები ედგნენ და რომელიც ხალხთა შეიარაღებულ ძალებს ეყრდნობოდა, გაგრაში სახალხო ხელისუფლების დამყარება განახორციელა.

ახალმა ხელისუფლებამ გაგრის მთელი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების რეგულირებას მოჰკიდა ხელი, მის მიერ რევოლუციური საჭიროებისათვის ახალი სპეციალური გადასახადებით დაიბეგრა მდიდართა გარკვეული ნაწილი, რევოლუციური სასამართლო გაგრაში ზუსტად ანხორციელებდა რევოლუციურ კანონებს, არჩევდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, შეიქმნა სახალხო მილიცია; გაგრის მშრომელები ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს ახალი ხელისუფლების ყველა ღონისძიებას, მაგრამ 1906 წლის დასაწყისისათვის გაგრაში რევოლუციური მოძრაობა, ისე როგორც მთელ აფხაზეთში, ჩახშობილ იქნა. საქართველოში მოქმედებდნენ დამსჯელი რაზმები და დაქირავებულ შავრაზმელთა ბანდები, რომლებიც ადგილობრივ თავადაზნაურთა მიერ იქნა შეკოწიწებული. ციხეები რევოლუციისათვის თავდადებული მუშებითა და გლეხებით აივსო. მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, საქართველოში და აფხაზეთში რევოლუციური მოძრაობა არ შეწყვეტი-

ლა, ეწყობოდა მუშათა ახალი გაფიცვები, იქმნებოდა გლეხთა პარტიზანული რაზმები, რომლებიც სისტემატურ თავდასხმას აწარმოებდნენ დამსჯელ რაზმებზე. ამრიგად, რეაქციის მძინვარების წლებში, აფხაზეთში შექმნილი რევოლუციური სიტუაცია მოსვენებას არ აძლევდა ცარიზმის მესვეურებს კავკასიაში. სწორედ აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ აიძულა კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელი გენერალი შატილოვი გამოეცა სავალდებულო დადგენილება შავიზღვისპირეთის გუბერნიისათვის:

„სასტიკად აიკრძალოს ყოველგვარი კრებებისა და სახალხო ყრილობების თვითნებური მოწყობა, კანონით გათვალისწინებული წესების გარეშე, და ამ უკანონო შეკრებებზე რაიმე დადგენილებების მიღება“.[1]

მაგრამ მეფის მთავრობის ვერავითარმა ღონისძიებამ ვერ შეაჩერა რევოლუციურად განწყობილი ხალხის მასების მისწრაფებანი.

1910 წელს რუსეთში რევოლუციური აღმავლობა დაიწყო. რუსეთის დიდ ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში გახშირდა მუშათა გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაციები. ანალიზს უკეთებდა რა 1910 წელს შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას, ვლადიმერ ილიას ძე ლენინი სტატიაში „დემონსტრაციების დასაწყისი“ წერდა: „და აი მიმდინარე წლის ზაფხულიდან კვლავ იწყება აღმავლობა. ეკონომიური გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი ი ზ რ დ ე ბ ა და ძალიან ძლიერ იზრდება. შავრაზმული რეაქციის ს რ უ ლ ი ბატონობის ხანა გათავდა. იწყება ახალი აღმავლობის ხანა. პროლეტარიატი, რომელიც უკან ი ხ ე ვ დ ა — თუმცა დროის დიდი შუალედებით — 1905-1907 წლებში, ძალ-ღონეს იკრებს და შ ე ტ ე ვ ა ზ ე გადასვლას იწყებს. მრეწველობის ზოგიერთი დარგის გამოცოცხლება მყისვე იწვევს პროლეტარული ბრძოლის გამოცოცხლებას“.[2]

1910 წელს რუსეთში დაწყებულმა რევოლუციის აღმავლობამ თავისი გამოხმაურება ჰპოვა აფხაზეთშიც. იყო შემთხვევები, როცა გაფიცული მუშები თავიანთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას აღწევდნენ და გამარჯვებული გამოდიოდნენ, ხოლო სოფლის გლეხობა თავს ესხმოდა მემამულეებს, თამბაქოს მოვაჭრე სპეკულანტებს და სოფლის სტაროსტებს.

მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ახალი რევოლუციური აღმავლო-

---

[1] „სავალდებულო დადგენილება“, თბილისი, 1909, 20 ივლისი.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 445.

ბა შეფერხდა 1914 წლის ზაფხულში დაწყებული მსოფლიო იმპერიალისტური ომის შედეგად. იმპერიალისტური ომის წლებში მშრომელთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, ომმა მძიმე ეკონომიური დეგრადაცია გამოიწვია აფხაზეთშიც. დაცემის გზამდე მივიდა მეთამბაქოეობა და მევენახეობა, გადიდდა უმუშევართა რიცხვი, დიდდებოდა ყოველგვარ გადასახადთა მოცულობა, მათ შორის ნატურალურ გადასახადთა ოდენობაც. ათასობით ახალგაზრდას ერეკებოდნენ ფრონტზე, სილატაკე და შიმშილი იყო ხვედრი ფართო მშრომელი მასებისა. 1915-1916 წლებში აფხაზეთში მუშათა და გლეხთა მთელ რიგ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი, კლასობრივი წინააღმდეგობის შემდგომი გამწვავებისა და კონტრრევოლუციური ფეოდალ-მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით 1917 წელს აფხაზეთში ნ. ა. ლაკობას ხელმძღვანელობით შეიქმნა გლეხთა პარტიზანული რაზმი „კიარაზი“.

მიუხედავად მკაცრი ტერორისა, აფხაზეთის ბოლშევიკები ენერგიულად ეწეოდნენ ორგანიზაციულ მუშაობას მასებში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, კიდევ სამი წლის მანძილზე აფხაზეთი, ისევე როგორც მთელი საქართველო, მენშევიკური რეჟიმის ძალადობისა და ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა, მენშევიკებისა, რომლებიც იმედს უცხოელ ინტერვენტებზე ამყარებდნენ.

გაგრის მშრომელი მოსახლეობა და სოფლის გლეხობა ცნობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა, გაგრაში ძლიერი იყო პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად გაგრის კლიმატური სადგურის მუშებს, შავი ზღვის რკინიგზის მშრომელებსა და ნავსადგურის მუშებს ეყრდნობოდნენ და მათი უშუალო მხარდაჭერით მოქმედებდნენ.

მიუხედავად მენშევიკების წინააღმდეგობისა გაგრის ბოლშევიკებმა აქტიური როლი ითამაშეს მუშათა დეპუტატების საბჭოებში, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება გაგრაში იოლი გზით როდი წარიმართა, რადგანაც ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა უარი განაცხადეს ეცნოთ სახალხო კომისართა საბჭოების ძალაუფლება და შექმნეს თავიანთი განსაკუთრებული ხელისუფლება „ამიერკავკასიის კომისარიატის“ სახით. ცნობილია, რომ იმ დროს გაგრაში თავმოყრილი იყო საბჭოთა რუსეთიდან გამოქცეულ საეჭვო ელემენტთა დიდი რაოდენობა, რომელთა შორის იმყოფებოდნენ ისეთი პირწავარდნილი კონტრრევოლუციონერები და საბჭოთა სახელმწიფოს მოსისხლე მტრები, როგორიც იყვნენ: ჟანდარმერიის გენერალი გრაფი შებკო, გენერალი კოჩერგინი.

გენერალი ზოლოტარიოვი, თავადი სერგეი გოლიცინი, გრაფი ზერნსკოუ, პოლკოვნიკი სკალონი და სხვ., რომლებმაც უკეთესი დღის მოლოდინში გაგრაში მენშევიკებთან ერთად თავშესაფარი და მათან ერთად ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ.

მენშევიკურმა მთავრობამ საბჭოთა რუსეთის სასაზღვრო ხაზზე, სოფელ ვესიოლაიასა და პილენკოვოს რაიონში (ამჟამად განთიადი) უცხოეთის ოფიცერთა მეთვალყურეობის ქვეშ შექმნა ეგრეთწოდებული „დემოკრატიული რესპუბლიკის ფარი“. სიმაგრეები რკინისა და ბეტონის სანგრებით, მავთულხლართებით. მენშევიკური მთავრობა მხარს უჭერდა დენიკინის ხროვას, აქტიურ ღონისძიებებს ატარებდა ვრანგელის ფრონტისათვის სამხედრო ნაწილების ფორმირებისათვის.

მენშევიკების სასტიკი რეპრესიებისა და ბინძური საქმიანობის მკაფიო დადასტურება იყო ის, რომ 1919 წლის თებერვლის ბოლოს გაგრის ზონის აიბგისა და მედოვეევკის მცხოვრებლებმა უარი განაცხადეს შეესრულებინათ მენშევიკური ხელისუფლების დადგენილებანი (საქონლისა და სურსათის რეკვიზაცია, ხალხის მობილიზაცია ჯარში და სხვა). „პოლკოვნიკ ყარდაშევის დამსჯელმა რაზმმა ცეცხლს მისცა და გადასწვა გაგრის ზონის სოფლები ესტონკა და სულევო-სალმე“.[3]

მიუხედავად მენშევიკთა სასტიკი წინააღმდეგობისა, აფხაზეთში კვლავ გააქტიურდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა, 1921 წლის დასაწყისისათვის საქართველოში შეიქმნა ხელსაყრელი საშინაო და საგარეო ვითარება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

სოციალისტური რევოლუცია საქართველოში მომწიფდა შინაგანი კლასობრივი წინააღმდეგობის საფუძველზე, საქართველოს აჯანყებულ მშრომელებს როდი გაუჭირდებოდა თავისი სიდამპლით რღვევის გზაზე დამდგარი ბურჟუაზიულ-მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ მენშევიკების ზურგს უკან იდგნენ ანტანტის ძალები — აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტები.

გაითვალისწინა რა შექმნილი ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ 1921 წლის იანვარში მისცა დირექტივა საქ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს დაეწყო შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება. ასევე წარმატებით ემზადებოდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის აფ-

---

[3] **კ. ზვერევი**, დასახელებული წიგნი, გვ. 32.

ხაზეთის არალეგალური პარტიული ორგანიზაციები. საქართველოს რევკომმა მუშებისა და გლეხობის სახელით დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთს, მის ძლევამოსილ წითელ არმიას. წითელი არმიის ნაწილები გ. კ. ორჯონიკიძისა და ს. მ. კიროვის მეთაურობით საქართველოს აჯანყებულ მშრომელთა დასახმარებლად მოვიდნენ, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ხოლო იმავე წლის 4 მარტს აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმის თავზე წითელი დროშა აღიმართა.

აფხაზეთის რევკომმა, რომლის სათავეში ნ. ა. ლაკობა, ე. ა. ეშბა და ნ. ნ. აქირთავა იდგნენ, რევოლუციის ბელადს ვ. ი. ლენინს აცნობა, რომ „მშრომელთა ნებით იშვა ახალი საბჭოთა რესპუბლიკა — აფხაზეთი“.

1921 წლის 18 მარტს წითელი არმიის ნაწილები ბათუმში შევიდნენ, თურქის ჯარები უკუგდებულ იქნა. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

ყოფილი მენშევიკური მთავრობა, რომლის უკანასკნელი თავშესაფარი ბათუმი იყო, 17 მარტს ღამით იტალიურ გემ „ფერენ-ჟოზეფ მირილლით“ საზღვარგარეთ გაიქცა და თან წაიღო დიდი რაოდენობით დატაცებული ხალხის კუთვნილი ქონება. საბჭოთა მთავრობის სპეციალური კომისიის განსაზღვრით მენშევიკებმა და ინტერვენტებმა ანტანტის სამხედრო ფლოტის დახმარებით 28 თებერვლიდან 4 მარტამდე აფხაზეთიდან გაიტანეს უმაღლესი ხარისხის თამბაქო 35 ათას ფუთამდე, რომლის ღირებულება თითქმის 175 ათას ფუტ სტერლინგს შეადგენდა. 1919 წლიდან მოყოლებული საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მენშევიკებმა აფხაზეთიდან ინგლისში, შეერთებულ შტატებში, იტალიაში, თურქეთში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში გაიტანეს 692.600 ფუთი თამბაქო, რომლის საერთო ღირებულება 207.7800 ფუტ სტერლინგს შეადგენდა.[4]

გაგრიდან, ახალი ათონიდან, სოხუმიდან და აფხაზეთის სხვა პუნქტებიდან გატანილ იქნა მშენებარე რკინიგზის ქონება, გაქურდეს სამხედრო ლაზარეთი და აფთიაქები, დაიტაცეს აფხაზეთში მცხოვრებ მოქალაქეთა საოჯახო ქონება. დატაცებულ იქნა სანაოსნო საშუალებანი. საერთო ზარალი 2.213.000 მანეთს შეადგენდა.[5]

მარტო გაგრის კლიმატური სადგურის ზარალი ინგლისელი ინტერვენტების თარეშითა და გაქურდვით 160 ათას მანეთს

---

[4] აფხ. სახ. არქივი, ფ. 1, საქმე 4, ფურც. 206.
[5] ვაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1924 წ., 14 მაისი, № 149.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შეადგენდა, აქედან მენშევიკებმა თავის მხრივ კიდევ 150 ათასი მანეთის ქონება დასტაცეს გაგრის კლიმატურ სადგურს.[6] გაგრიდან მათ გაიტანეს ასევე ელექტროსადგურის დინამო. სრულად გაქურდეს მეაბრეშუმეობის სადგური, რამდენიმე შენობა, რომელიც 1919 წელს დაკავებული ჰქონდათ ინგლისელთა და მენშევიკთა გარნიზონებს, გაძარცვეს ძვირფას კულტურულ მცენარეთა გაგრის სათბური, გავერანდა სანაპირო პარკის უნიკალურ ნარგავთა უმრავლესობა. პარკის ტერიტორიაზე ინგლისელმა ინტერვენტებმა ცხენების საძოვრები მოაწყვეს, პარკის ოდესღაც შესანიშნავი გუბეები ჭაობად აქციეს. დიდი ზარალი მიაყენეს გაგრის რეალურ სასწავლებელს, სადაც ინგლისელთა გარნიზონის ნაწილები იდგა. პრინც ოლდენბურგსკის სასახლიდან გატანილი ქონება 3 მილიონი მანეთის ღირებულებისა იყო.

ნაძარცვი ნადავლით დაიტვირთა ინგლისის გემები და ხალხის ქონება ბრიტანეთში წაიღეს. უკანდახევისას მენშევიკ-ინტერვენტთა ბანდები, ადგილობრივი აგენტურის მხარდაჭერითა და წაქეზებით, მხეცურად ანადგურებდნენ აფხაზეთის სახალხო მეურნეობას. ანტანტის გემებიდან სროლის შედეგად პილენკოვოს რაიონში ცეცხლი გაუჩნდა თამბაქოს საწყობებს, სადაც ათობით ათასი ფუთი თამბაქო დაიწვა. ინტერვენტებმა ააფეთქეს ყველა ხიდი გზატკეცილებზე, მოყოლებული მდინარე ფსოუდან ენგურამდე, დაანგრიეს გზის პირას მდებარე შენობები, გზები, სატვირთო და სამგზავრო ნავსადგურები, სოხუმის სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდან დაიტაცეს ოქრო და ვერცხლი.

„საერთო ზარალი, რომელიც მენშევიკებმა თავიანთი ბატონობის პერიოდში მიაყენეს აფხაზეთს, დაახლოებით 40 მილიონი მანეთით განისაზღვრება“.[7]

მენშევიკ-კონტრრევოლუციონერთა გაწმენდის დღიდან იწყება გაგრის საკურორტო მეურნეობის საბჭოურად გარდაქმნა და მისი ხალხის სამსახურში ჩაყენება, როგორც შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი უძვირფასესი ჯანმრთელობის კერისა. გაგრაში არსებული მემამულე საქმოსანთა სასახლეები და ვილები, სანატორიუმები და მიწის სიმდიდრენი ხალხს გადაეცა, ხალხი გახდა კურორტის ბატონ-პატრონი. პრინცი ოლდენბურგსკი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში თავისი ნებით წარსდგა რევოლუციური მთავრობის წინაშე და ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე გამოთქვა სურვილი

---

6 აფხ. რესპ. არქ., ფონდი 1, საქ. 4, ფურც. 263.
7 გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1924 წ., 14 მაისი.

მისი ავლა-დიდება საბჭოთა მთავრობისათვის ჩაებარებინა. ხელმძღვანელობდა რა ჰუმანური პრინციპებითა და თავაღლისწინებდა რა პრინცის უპრეტენზიო მოქმედებას, მის პოლიტიკურ შეუვალობას, საბჭოთა მთავრობამ ნება დართო მას საშშობლოში დაბრუნებულიყო.

1919 წლის დამლევს პრინცი ოლდენბურგსკი ფინეთის გავლით გერმანიაში გაემგზავრა, ხოლო ძმა მისი, კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგსკი, რომელსაც შამპანური ღვინოების ქარხანა ჰქონდა ქალაქ ქუთაისში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გადასახლდა გერმანიაში.*

---

* კონსტანტინე ოლდენბურგსკის სახელთანაა დაკავშირებული იმ დროს ხალხში გავრცელებული ერთი ამბავი, რომელიც მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება. კონსტანტინე ოლდენბურგსკის ოჯახური დრამა ავტორის მიერ მოსმენილ იქნა ქალაქ თბილისში მცხოვრებ (არაყიშვილის № 8) ხანდაზმულ მანდილოსან ბაბულია ცქვიტიშვილი-მასხარაშვილისაგან.

ქუთაისის დიდგვაროვანთა საზეიმო სალამოზე, რომელსაც პრინცი კონსტანტინე ოლდენბურგსკი ესწრებოდა, მისი ყურადღება იმ დროს თავისი ზღაპრული სილამაზით ქალაქში სახელგანთქმულმა თავად დადიანის მეუღლემ — აგრაფინა ჯაფარიძემ მიიპყრო. სალამოზე პრინცს თან ახლდა მისი მოურავი კირილე იოსელიანი (კ. იოსელიანი აგრაფინას ძმა იყო, დედით ერთნი იყვნენ). თავდავიწყებამდის მოეწონა რა აგრაფინა, პრინცმა თავის მოურავს გაანდო, როგორც იტყვიან, „თავისი გულის ნადები". თავის მხრივ კი იოსელიანმა პრინცს დახმარება აღუთქვა და დადიანების ოჯახის შინაარსიც გააცნო.

აგრაფინას მეუღლე, თავადი დადიანი, დარდიმანდულ ცხოვრებას ეწეოდა, მხოლოდ ქეიფი და დროსტარება იყო მისი სტიქია, მისი დაგირავებული მამულები ვამოუსყიდველი რჩებოდა და საჯაროდ იყიდებოდა, გაფლანგა და გაანიავა მთელი ქონება, კისრამდის იყო ჩაფლული ვალებში. ისარგებლა რა ხელსაყრელი ვითარებით, პრინცმა ოლდენბურგსკიმ კირილე იოსელიანის დახმარებით შესძლო დაეშორებინა დადიანისათვის ჯაფარიძის ასული. კონსტანტინე დაქორწინდა აგრაფინაზე. მისგან ორი ქალიშვილი ეყოლა.

გრძნობდა რა რევოლუციური ქარიშხლის მოახლოებასა და მეფის მონარქიის წალეკვის გარდუვალობას, პრინცი ოჯახითურთ გერმანიაში გადასახლდა... ჯაფარიძის ასული შუა ხანს მიღწეული მანდილოსანი იყო, როცა პრინცი გარდაიცვალა, უცხოეთში უთვისტომოდ მყოფ აგრაფინას ვული სამშობლოსაკენ მოუწევდა, ბევრი ფიქრისა და სულიერი ტანჯვის შემდეგ გაოაწყვეტა შვილებითურთ საქართველოში დაბრუნებულიყო და თავისი გადაწყვეტილება შვილებს გაანდო. ქალიშვილებმა კატეგორიული უარი განუცხადეს დედას, მაშინ აგრაფინამ მიატოვა ისინი და მარტოდმარტო საქართველოში დაბრუნდა. იგი ერთ-ერთ მონასტერს შეეკედლა თურმე და ღრმად მოხუცი გარდაიცვალა.

აგრაფინა ჯაფარიძის ჯადოსნურ სილამაზეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ გერმანიაში ყოფნის დროს მან მონაწილეობა მიიღო პარიზში გამართულ ქალთა სილამაზის დათვალიერებაში და პირველი პრიზი დაიმსახურა.

ზემოთ მოთხრობილი ამბავი ხალხმა ასე გალექსა:

„აგრაფინა კისკისაო
დადიანმა პრინცს მისცაო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკურორტო მეურნეობის განვითარება და გაგრის ხვალინდელი დღე

მიუხედავად იმისა, რომ გაგრა შავი ზღვის სანაპიროზე მალარიის გავრცელების მხრივ ყველაზე უარეს მდგომარეობაში იყო, ის მაინც ყველაზე უკეთესი კურორტი იყო აფხაზეთში თავისი ბუნებრივი მონაცემებითა და ფაქტორებით.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან საბჭოთა მთავრობის უპირველესი ღონისძიება მიმართული იყო ჭაობების ამოშრობისა და მიკროკლიმატის შეცვლისაკენ. საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად სულ მოკლე ვადაში ოდესღაც ჭაობისა და მალარიის მხარე გადაიქცა შავიზღვისპირეთის საუკეთესო კურორტად.

მშრომელთა მკურნალობისა და დასვენების მიზნით ოციან წლებში კერძო პანსიონატები და აგარაკები გადაკეთდა სანატორიუმებად და დასასვენებელ სახლებად. გაგრაში არსებული ყველა საკურორტო დაწესებულება ნაციონალიზებულ იქნა.

1921 წელს გაგრა გამოცხადდა სახელმწიფო მნიშვნელობის კურორტად. ამასთანავე დასაბამი მიეცა ახალი საკურორტო ობიექტების მშენებლობას კერძო პანსიონატების, ვილებისა და სასტუმროების ბაზაზე. ცნობილია, რომ 1923 წლამდე აფხაზეთის კურორტები სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებოდა, ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო დიდ ფინანსურ სიძნელეს განიცდიდა, ხოლო 1924 წელს დაიწყო სამეურნეო ანგარიშზე მათი გადაყვანა. 1925 წელს შეიქმნა აფხაზეთის ასსრ მთავარი საკურორტო სამმართველო. ამავე წელს გაგრაში გაიხსნა დასასვენებელი სახლი 75 საწოლით. 1931 წელს გაიხსნა პირველი სამედიცინო პლაჟი. საკურორტო მშენებლობაში მონაწილეობას იღებდნენ ცალკეული ორგანიზაციები და უწყებები, 1934 წელს დამსვენებელთა პირველი პარტია მიიღო XVII პარტყრილობის სახ. სანატორიუმმა (75 საწოლით), 1935 წელს მწყობრში ჩადგა სანატორიუმი „უკრაინა“ (90 საწოლით), 1938 წელს — სანატორიუმი

„მაიაკი“, 1939 წელს — ჩელუსკინელთა სახ. სანატორიუმი (200 საწოლით).

1940 წლისათვის გაგრის საკურორტო მეურნეობა კეთილმოწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების პროცესში შევიდა. მაგრამ დაიწყო დიდი სამამულო ომი.

დიდი სამამულო ომის წლებში გაგრის სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები რეორგანიზებულ იქნა ჰოსპიტლებად და საბჭოთა მეომრების მკურნალობის საქმეს ემსახურებოდა.

სანატორიუმები, დასასვენებელი დაწესებულებები და სასტუმროების შენობები, ინვენტარი და მოწყობილობანი გადაეცა ჯარის ნაწილებს. 1942 წლის ზაფხულში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა კავკასიონთან, 15 მაისს თბილისის სახმელეთო სასწავლებლის კურსანტები 120 ავტომანქანით ჩამოვიდნენ გაგრაში, რათა დაბა განთიადიდან მდ. ბზიფამდე დაეჭირათ თავდაცვის ზღუდე და არ დაეშვათ ზღვით მტრის დესანტის გადმოსხმა. კურსანტთა სასწავლებლის შტაბი მოთავსებული იყო სასტუმრო „გაგრიფშის “შენობაში.

სამამულო ომის მძიმე დღეებში კურორტის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო საბჭოთა არმიის დაჭრილ მებრძოლთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისაკენ.

ჰოსპიტლებში თავდადებით შრომობდა ჩვენი რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა დიდი არმია, რომლებმაც სიცოცხლე შეუნარჩუნეს და ბრძოლისუნარიანობა დაუბრუნეს ათასობით საბჭოთა მეომრებს.

გაგრაში დაჭრილი მეომრები მოჰყავდათ ტუაფსედან, მცირე მიწიდან, ნოვოროსიისკიდან და სანჩაროს უღელტეხილიდან, სანატორიუმებში „ჩელიუსკინელებსა“ და „უკრაინაში“ მოთავსებულ ჰოსპიტლებში მთელი დღე-ღამის მანძილზე წარმოებდა ოპერაციები, მედიცინის მუშაკთა რაზმი და მომსახურე ტექპერსონალი უქმე დღეებშიც მუშაობდნენ.

საბჭოთა მეომრების მკურნალობის საქმეში თავდადებით იღვწოდნენ ჰოსპიტლის მთავარი ექიმი ვახტანგ გუნია, ქირურგები: ი. ნესტეროვი, ა. რაზუმოვი, ერასტი გუნია, ა. თევზაია, ვ. სმირნოვი, გ. კობაკოვი, გ. მიროშნიკოვი, ექიმი სოფიო ოლხოვსკაია, მედიცინის და გალინა ხონელიძე, სანიტრები: ნატალია ლასკავაია, ანა უგრუმოვა, ლილი კოლესნიკოვა და სხვები.

საბჭოთა მეომრების მკურნალობის საქმეს საბჭოთა მედიცინის მუშაკებთან ერთად გაგრის ჰოსპიტლებში თავდადებით ემსახურებოდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა

პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლის კლარა ცეტკინის ვაჟიშვილი, გამოცდილი ქირურგი ს. ცეტკინი.[1]

სამშობლოსათვის იმ მეტად მძიმე დღეებში გაგრის მშრომელები გაასკეცებული ენერგიით შრომობდნენ საკოლმეურნეო მინდვრებში და წარმოება-დაწესებულებებში, აქტიურ დახმარებას უწევდნენ ფრონტს, ფრონტზე წასული მამაკაცების ადგილს ქალები იკავებდნენ. გაგრელმა მშრომელებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს სახელმწიფო თავდაცვის ფონდში საკუთარი დანაზოგების შეტანით.

გაგრის ზონის კოლმეურნეობა „აჩმარდის" აგრონომმა პოლოს პაპაზიანმა თავდაცვის ფონდში 100 ათასი მანეთი შეიტანა, ასევე ამჟამად ლენინის სახ. კოლმეურნეობის ყოფილმა წევრმა გალუსტ ჩაკრიანმა 100 ათასი მანეთი შეიტანა სამშობლოს თავდაცვის ფონდში.

გაგრის ზონის განთიადის საფერმენტაციო ქარხნის ტერიტორიაზე 1942-1943 წლებში საზღვაო ჯარების ერთ-ერთი სპეციალიზებული ბატალიონი საბრძოლო თვითმფრინავებისათვის ძრავების აწყობას აწარმოებდა. (ბატალიონის მეთაური — მაიორი ბარკო, მისი მოადგილე პოლიტ-ნაწილში — კაპიტანი ტიტარენკო). ძრავების აწყობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი მშრომელები, რომლებიც დაზგებთან იდგნენ მთელი დღე-ღამის განმავლობაში და გმირული შრომით მტერზე გამარჯვებას აახლოებდნენ.

ქალაქ გაგრიდან დიდ სამამულო ომში მონაწილეობდა სხვადასხვა ეროვნების 11.677 მოქალაქე. მათგან ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა 2.252 მოქალაქე.

მაგრამ სამშობლოს მისცა ექვსი საბჭოთა კავშირის გმირი, ესენი არიან: რაჟდენ ბარციცი, ერვანდ გარანიანი, იასონ კოკოსკერია, არუთუნ მელეტიანი, მიგრან ბოსტანჯიანი და ქ. გაგრის № 2 საშუალო სკოლის აღზრდილი ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ვიტალი ივანეს ძე პოპკოვი.[2]

1945-46 წლებში კვლავ მწყობრში ჩადგა სანატორიუმები: „უკრაინა", „სკალა", „ჩელუსკინელები", XVII პარტყრილობის სახელობის სანატორიუმი და ბაუმანის სახელობის სანატორიუმი ლესელიძეში. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გაგრის ჯანმრთელობის კერებს შეემატა ახალი სანატორიუმები: 1952 წელს „გაგრა", „ნეფთიანიკი", 1954 წელს — „არმენია", 1954 წელს კუროორტ ლესელიძეში გაიხსნა ბავშვთა სანატორიუმი (ამჟამად „ტალღა") 200 საწოლით, დასას-

---

[1] გაზ. „ავანგარდი", 1975 წ., 13 მაისი, № 57.
[2] გაზ. „ავანგარდი", 1976 წ., 9 მაისი, № 55.

ვენებელი სახლი „სპორტი“ 125 საწოლით. 1971 წელს მწყობრში ჩადგა სანატორიუმი „კავკასიონი“ 320 ადგილით, 1972 წელს ჟურნალისტთა დასასვენებელი სახლი ბიჭვინთაში 206 საწოლით, 1972 წელს პიონერთა ბანაკი „მოსენერგო“ განთიადში 320 ადგილით, 1975 წელს ლესელიძეში მწყობრში ჩადგა ამიერკავკასიის რკინიგზის პიონერთა ბანაკი 250-290 საწოლით. 1975 წელს ექსპლოატაციაში შევიდა დასასვენებელ სახლ „განთიადის“ ახალი კომპლექსი 249 ადგილით.

საბჭოთა პრესის დღეს, 1976 წლის 5 მაისს, ბიჭვინთაში მწყობრში ჩადგა გაზეთ „პრავდის“ გამომცემლობის თანამშრომელთათვის თერთმეტსართულიანი კეთილმოწყობილი დასასვენებელი სახლი.

პროფკავშირების კურორტთა მართვის გაგრის ტერიტორიული სამმართველოს სისტემაში შემავალ სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და პანსიონატებში დღითიდღე უმჯობესდება დამსვენებელთა დასვენებისა და ეფექტიური მკურნალობის საქმე. აღნიშნულ სამმართველოს უკვე სამი ათეული წელია სათავეში უდგას საკურორტო საქმის გამოცდილი ორგანიზატორი საქ. სსრ დამსახურებული ექიმი ალექსანდრე ბარამია. სამმართველოს უწყებაში შედის სანატორიუმები: „კავკასიონი“, „რიწა“, „საქართველო“, „მაიაკი“, დასასვენებელი სახლები: „სკალა“ და ლესელიძის სახელობისა, პანსიონატები: „ჟოეკვარა“, „ჩაიკა“, „ნეფთიანიკი“, „ხოლოდნაია რეჩკა“. ზემოთ ჩამოთვლილ დასვენებისა და მკურნალობის კერებში ყველა პირობაა შექმნილი მშრომელთა კულტურული დასვენებისა და მკურნალობისათვის. უკანასკნელ ხანს მკვეთრად გაუმჯობესდა საკურორტო-სანატორიული მკურნალობა, პრაქტიკაში დაინერგა თანამედროვე სამედიცინო მეცნიერული სახლები: „სკალა“ და ლესელიძის სახელობისა, პანსიონრულად იღებენ ყველა საჭირო სამკურნალო და პროფილაქტიკურ პროცედურებს. დანერგილია დიაგნოსტიკის და მკურნალობის ახალი, ეფექტური მეთოდები. მშრომელთა დასვენებისა და მკურნალობის საქმეში განსაკუთრებული მიღწევები აქვს სანატორიუმებს: „მაიაკს“, „რიწას“, პანსიონატ „ნეფთიანიკს“, საკურორტო პოლიკლინიკას, სანატორიუმ „კავკასიონს“, პანსიონატ „ჟოეკვარას“ და სხვებს.

აფხაზეთის მედიცინის მუშაკთა პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 6 ივლისის დადგენილებით სანატორიუმ „მაიაკს“ კომუნისტური შრომის საწარმოს წოდება მიანიჭა, ავადმყოფთა და დამსვენებელთა მომსახურების უმაღლესი კულტურით გამოირჩევა სანატორიუმ „რიწას“ კოლექტივი, სადაც ბევრი სიახლეა დანერგილი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დარგში.



სანატორიუმი „გრუზია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა სამკურნალო დიაგნოსტიკური კაბინეტი უახლესი აპარატურითა და ხელსაწყოებით არის უზრუნველყოფილი. მაღალ დონეზე დგას სამკურნალო ფიზკულტურა, კურორტებზე მუშაობს საერთო-საკურორტო ბიოკლიმატური სადგური, რომელიც დღეში 3-ჯერ გადასცემს ჯანმრთელობის ყველა კერას მეტეოცნობებსა და ამინდის ყოველდღიურ პროგნოზს. სამკურნალო ფიზკულტურაში ხდება ელექტრული დოზატორის გამოყენება. კურორტზე ამაღლდა კულტურულ-მასობრივი მუშაობის დონე. დამსვენებელთა სამსახურშია: ბიბლიოთეკები, სამკითხველო დარბაზები, კარგად არის დაყენებული სპორტულ-მასობრივი და საექსკურსიო მუშაობა, მშრომელთა ჯანმრთელობის შემდგომი განმტკიცებისა და სანატორიული მკურნალობის ახალი მეთოდების შესწავლა-განზოგადების მიზნით საბჭოთა კავშირის პროფკავშირების კურორტთა მართვის საბჭოს კოლეგიის 1974 წლის 27 მაისის № 7 დადგენილების საფუძველზე კურორტ გაგრაში, პანსიონატ „ხალოდნაია რეჩკას“ ბაზაზე პროფკავშირების ჯანმრთელობის კერებისა და საკურორტო მეურნეობათა მუშაკებისათვის, ორგანიზებულ იქნა კვალიფიკაციის ასამაღლებელი საკავშირო მუდმივმოქმედი კურსები, რომელმაც 1975 წლის 1 იანვრიდან დაიწყო მუშაობა.

ცნობილია, რომ თავისი ლანდშაფტით და ბუნებრივი რესურსებით გაგრას ვერ შეედრება მსოფლიოს ვერც ერთი საკურორტო ქალაქი. გაგრის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის პროექტი გემოვნებით, სიფაქიზით და მიმზიდველად არის შედგენილი. იქნება ორი გაგრა — „დიდი გაგრა“ და „გაგრა ალპური“.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების გარდა, უზრუნველყოფს და მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებს საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და მშრომელთა კულტურული დასვენების გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის სისტემა სიციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, რომელსაც ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გარიჟრაჟზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა ჩაუყარა საფუძველი. მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევისა და სსრ კავშირში ჯანმრთელობის დაცვის განვითარების საკითხები მუდამ იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში და მათი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი.

საბჭოთა სახელმწიფომ კაცობრიობის ისტორიაში პირველად აქცია ჯანმრთელობისათვის ზრუნვა საზოგადოებრივ, სა-

ხელმწიფოებრივ საქმედ. პირველად მსოფლიოში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი, სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის გეგმაზომიერ სოციალურ-ეკონომიურ განვითარებასთან. ჩვენმა სახელმწიფომ პირველად იკისრა პასუხისმგებლობა თავის მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე. ჯანმრთელობის დაცვის უფლება საბჭოთა ქვეყანაში კანონად გადაიქცა.

საბჭოთა კავშირში ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობის, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების თანმიმდევრული გაუმჯობესების, ფართო გამაჯანსაღებელი პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგად, დიდი წარმატებებია მოპოვებული მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში.

საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ერთი ორად და მეტად გაიზარდა საბჭოთა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, მკვეთრად შემცირდა ავადმყოფობა.

საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXIV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გადიდება პარტიისა და სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგანს შეადგენს“.[3]

დიდია გაგრის მომავალი, მისი პერსპექტივები, რაც საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებების შედეგად განხორციელდება.

გაგრის ხვალინდელი დღე ასახულია გაგრის „გენერალურ გეგმაში“, რომლის ცხოვრებაში გატარება უფრო პოპულარულს გახდის შავიზღვისპირეთის ამ შესანიშნავ ქალაქ-კურორტს.

გაგრის დაგეგმარების პირველდაწყებითი პროექტი შედგენილ იქნა ქ. მოსკოვის დაგეგმარების განყოფილების საბჭოს მიერ 1937 წელს, მისი არქიტექტორები იყვნენ ა. მ. ზასლავსკი და ა. ი. აიფელი.

კურორტი გათვალისწინებული იყო 10.000 საწოლისათვის, ხოლო მოსახლეობა 38.000 კაცით გაიზრდებოდა. განაშენიანების ძირითად ტიპად მიღებულ იქნა პავილიონები (კორპუსები 40-60 კაცზე). ამ საინტერესო პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალა დიდმა სამამულო ომმა. გაგრის დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის მომდევნო პროექტი 1960

---

[3] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, მოსკოვი, 1971, გვ. 42.

წელს იქნა შედგენილი „გრუზგიპროგორსტროის“ საპროექტო ინსტიტუტის პირველ არქიტექტურულ სახელოსნოში (ავტორები ა. მ. ნიკოლაიშვილი და ე. ა. ბაგრატიონი). აღნიშნული პროექტი დამტკიცებულ იქნა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1961 წლის 19 მაისს № 92 დადგენილების საფუძველზე. გაგრის გენერალური გეგმის პირველდაწყებითი პროექტის შედგენის დღიდან განვლილ პერიოდში მკვეთრად შეიცვალა ქალაქთმშენებლობის პრინციპები და ნორმები გაგრის დაგეგმარებისა და განაშენიანებისა ახალ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. ამდენად, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 5 აპრილის დადგენილებით, „გრუზგიპროგორსტროის“ საპროექტო ინსტიტუტს დაევალა შეემუშავებინა გაგრის ახალი გენერალური გეგმა და წარმოედგინა შესათანხმებლად სამოქალაქო მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტში.

1970 წლის აპრილში, გაგრის გენერალური გეგმა განხილულ იქნა „გროსგრაჟდანსტროის“ გამსვლელი კომპლექსური კომისიის მიერ გაგრაში. პროექტი შემუშავების პროცესში იყო, როცა მიღებულ იქნა სსრკ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 აგვისტოს № 723 დადგენილება, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზე კურორტი გაგრა გამოცხადდა საკავშირო მნიშვნელობის კურორტად. აღნიშნულმა ვითარებამ ძირფესვიანად შეცვალა მოთხოვნები გენერალური გეგმის პროექტისადმი და კომისიის მიერ წინა პროექტი უარყოფილ იქნა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შეემუშავებინა გაგრის გენერალური გეგმის ახალი პროექტი, რომელიც ძირითადად უნდა დაყრდნობოდა შავი ზღვის საკურორტო რაიონის დაგეგმარების მოწონებულ სქემას, რომელიც ორგანიზებულ დამსვენებელთა რაოდენობას 2.000 წლისათვის 50.000 კაცამდე ითვალისწინებდა. რა თქმა უნდა, როგორც ქალაქს მიმატებული ახალი ტერიტორიის ჩათვლით, ასევე ბზიფის სამრეწველო კვანძის ხარჯზე (ზღვისპირა სანაპიროს გაყოლებით მდ. რეპრუადან მდ. ბზიფამდე, ბიჭვინთისა და გაგრა ალპურის საერთო კომპოზიციის ჩათვლით).

1972 წელს „გრუზგიპროგორსტროის“ საქართველოს საპროექტო ინსტიტუტის საქალაქო და სარაიონო დაგეგმარების განყოფილებამ (უფროსი ვახტანგ ფაფერაშვილი) შეიმუშავა გაგრის გენერალური გეგმის პროექტი (პროექტის მთავარი არქიტექტორი ლ. პ. გოშაძე, ავტორები: ე. ა. ბაგრატიონი და ლ. პ. გოშაძე, მთავარი ეკონომისტი ე. ვ. სალაყაია, ეკონომისტი დ. ძაძუა, კონსულტანტი რსფსრ დამსახურებული არქიტექტორი ა. ი. კუზნეცოვი). კურორტ გაგრის გენერალური გეგმა ითვალისწინებს ქალაქის ტერიტორიის ზრდას მის გარშემო

მდებარე ადგილების ხარჯზე, კერძოდ: ციტრუსების მეურნეობა, აცხადა, კოლხიდა, წითელი ჯვარი და ალახაძი, რომლებიც ზღვის სანაპიროზე არიან განლაგებული.

ქალაქის ყველა სამრეწველო ობიექტი გადატანილი იქნება ბზიფის სამრეწველო კვანძში, სადაც შეიქმნება მწვანე ნარგავთა ზოლები დიდი სამრეწველო ობიექტებით. საცხოვრებელი მასივები გარშემორტყმული იქნება მწვანე სამოსით, მთავარი საკურორტო მაგისტრალების გასწვრივ შეიქმნება მწვანე ზოლები, გაზონები და განხორციელდება ხმაურსაწინააღმდეგო ღონისძიებები. ყოველივე ეს საუკეთესო პირობებს შექმნის მომსახურე პერსონალისა და მშრომელთა ნორმალური დასვენებისათვის; საცხოვრებელი სახლები დაპროექტდება სოფ. ბზიფში და რიწის ტბისაკენ მიმავალი გზის გასწვრივ. მთის ფერდობებზე, რომელიც კურორტს ეკვრის ზღვის დონიდან 80-100 მეტრის სიმაღლეზე, აშენდება სანატორიუმები და პანსიონატები, გაკეთდება საავტომობილო გზა და საჰაერო-საბაგირო გზა.

ქალაქ-კურორტ გაგრაში ხმაურის ერთ-ერთი ძირითადი გამომწვევი ფაქტორია რკინიგზის ხაზი, რომელიც უშუალოდ ქალაქში გადის, და სატრანზიტო საავტომობილო გზა, რომელიც კურორტის ზონის მთელ მანძილზეა გაჭიმული. გენერალური გეგმით საავტომობილო სატრანზიტო გზა გადატანილი იქნება მთის ფერდობებზე საკურორტო კომპლექსებს მოშორებით და, სადაც ეს არ მოხერხდება, გზატკეცილი გაივლის გვირაბებში. სანატორიუმ „უკრაინას" რაიონში აშენდება შემოვლითი გვირაბი, 1.000 მეტრი სიგრძისა, რომელიც ყოეკვარის ხეობაში გამოვა, გაივლის ყველა საკურორტო კომპლექსს შორის და მდინარე კოლხიდასთან შეუერთდება სამანქანო გზას.

რკინიგზის ხაზის გაყვანა გვირაბში 1980 წლის შემდეგ დაიწყება გოგირდის წყაროებთან და შეუერთდება ამჟამად არსებულ გვირაბებს, გადატანილი რკინიგზის სიგრძე 7,022 კმ-ს შეადგენს.

სატრანსპორტო გზის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საორიენტაციო ხარჯები ასეთი იქნება: გვირაბი (სარკინიგზო) — 7,0 მილ. მან; ესტაკადა — 0,6 მილ. მან; გზა — 0,6 მილ. მან; ხიდები — 3,0 მილ. მან; გვირაბი (საავტომობილო) — 4,0 მილ. მან. სულ — 16,6 მილ. მან.

გენერალური გეგმით გაგრის საკურორტო მეურნეობის შემდგომი გაფართოების მიზნით, გათვალისწინებულია სანატორიული პანსიონატების მშენებლობა 2.000 ადგილით, მოტელებისა 1.000 ადგილით და კემპინგებისა 500 ადგილით. პერსპექ-

ტივაში კურორტ გაგრის საწოლი ფონდი 300.000-ს მიაღწევს. გარდა ამისა გათვალისწინებულია არსებული დასასვენებელი დაწესებულებების გაფართოება-რეკონსტრუქცია.

სურათი ასეთი იქნება:

ჯანმრთელობის კერების დასახელება	ადგილების რაოდენობა (1972 წ)	გათვალისწინებული გაფართოება 1980 წლისათვის	მიწის ნაკვეთების ფართი (ჰექ.)
1. სანატორიუმი „არმენია“	75	175	1,5
2. „ „ „თბილისი“	175	295	3,2
3. „ „ „უკრაინა“	150	500	7,0
4. დასასვ. სახ. „ენერგეტიკი“	190	500 242	4,5
5. „ „ „ არქფონდი“	42		1,4
6. აგარაკი № 16	30		
7. პანსიონატი „ნეფტიანიკი“	115	630 225	10,0 2,7
8. სასტუმრო „გაგრიფში“	190	500	3,5

გარდა ამისა მთა არაბიკის რაიონში, ზღვის დონიდან 1.600-1.800 მეტრის სიმაღლეზე, გათვალისწინებულია საკურორტო კომპლექსის მშენებლობა „გაგრა ალპურის“ სახელწოდებით, სადაც შეიქმნება ტურისტული სასტუმროების ჯგუფი, საზაფხულო დასვენების ქალაქები. ეს მთის კურორტი კურორტ გაგრასთან დაკავშირებული იქნება საავტომობილო და საჰაერო-საბაგირო გზით.

მთა მზიურიც ჩადგება მშრომელთა სამსახურში. იგი ზღვის დონიდან 1.660 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და უშუალოდ ეკვრის კურორტ გაგრას. მზიურში ნავარაუდევია დასასვენებელი დაწესებულებების შექმნა 2.000 საწოლით.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 აგვისტოს № 723 დადგენილების საფუძველზე 25-30 წლის განმავლობაში საკურორტო დაწესებულებებში დამსვენებელთა რიცხვის ზრდა გათვალისწინებულია 30 ათასი ადგილით, ამჟამად არსებული 5 ათასი ადგილის ნაცვლად. რა თქმა უნდა, საქართველოს მთავრობა ითვალისწინებს იმას, რომ გაგრაში არსებობს ძვირფასი საპლაჟო ტერიტორია 53 ჰექტ. რაოდენობით, ამ რიცხვიდან გათვალისწინებულია 23,3 ჰექტ. გამოყენება, ხოლო დანარჩენი 30 ჰექტ. დარჩება როგორც რეზერვი კურორტის შემდგომი განვითარებისათვის განსაზღვრულ ვადებში. ვინაიდან გაგრის საკურორტო ზონის ფარგლებში არ არის გამართლე-

ბული განთიადის საფერმენტაციო ქარხნის, თამბაქოს საწყობისა და თევზის ქარხნის არსებობა, გენერალური გეგმა ითვალისწინებს თამბაქოს საწყობის გადატანას დაბა განთიადში, ხოლო თევზის ქარხნის გადატანას ბიჭვინთასა და განთიადში.

შენდება ახალი ხორცკომბინატი ბზიფის სამრეწველო კვანძის ტერიტორიაზე, ხოლო პურის ქარხანა გაგრაში ლიკვიდირებულია და გადატანილია ბიჭვინთაში. გაგრის სტამბა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი ადგილზევე დარჩება, რადგანაც იგი სანიტჰიგიენური თვალსაზრისით საშიშროებას არ წარმოადგენს და ხელს არ უშლის ქალაქის შემდგომ ზრდა-განვითარებას.

კურორტ გაგრის შემდგომი მძლავრი განვითარება ხელსაყრელ პირობებს ქმნის მოსახლეობის შემდგომი ზრდისათვის. გაგრაში 1980 წლისათვის მოსახლეობა 84 ათას კაცს მიაღწევს, ხოლო 2000 წლისათვის 110 ათას კაცს. საკურორტო-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში საპროექტო I რიგის პერიოდში (1980 წ.) დაისვენებს 23 ათასი კაცი, ხოლო მეორე რიგის პერიოდში (2000 წ.) — 59 ათასი კაცი.[4]

გენერალური გეგმით უდიდესი მშენებლობები განხორციელდება საცხოვრებელი ფონდის შემდგომი სრულყოფისათვის. გაგრის ქალაქკომის სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით თუ 1972 წლისათვის გაგრაში საცხოვრებელი ფონდი 211.047 კვ. მეტრს შეადგენდა, გენერალური გეგმით საპროექტო I რიგისათვის (1980 წ.) იგი 3.600 ათას კვ. მეტრს მიაღწევს, ხოლო 2000 წლისათვის 7.200 ათას კვ. მეტრს. თუ 1972 წლისათვის 1 სულ მოსახლეზე საცხოვრებელი ფართი 9,2 კვ. მეტრი მოდიოდა, 2000 წლისათვის იგი 12,0 კვ. მეტრი იქნება.

ამრიგად, კურორტ გაგრაში პირველი რიგის მშენებლობაზე ასიგნებულია შემდეგი რაოდენობის თანხა: საბინაო მშენებლობა — 37,023,0 მანეთი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა და სპორტნაგებობანი — 12,910,0 მან. სანიტარულ-კულტურული დაწესებულებანი — 16.439,9 მან.[5]

ქალაქ გაგრაში 1976 წელს დამთავრდება საკურორტო პოლიკლინიკის მშენებლობა 2.500 კაცისათვის, დაბა განთიადში კი ინფექციური საავადმყოფოს მშენებლობაა.

მიმდინარე მეათე ხუთწლედში გაგრაში აშენდება საცხოვრებელი სახლები 100 ათასი კვადრატული მეტრი ფართობით,

---

[4] გაგრის გენერალური გეგმა, ტ. II, თბილისი, 1975, გვ. 28.

[5] 43-ე პარტკონფერენციის მასალები, გაზ. „ავანგარდი", 1975 წლის 6 იანვარი, № 2.

პანსიონატები და დასასვენებელი სახლები 2.000 საწოლით, ბიჭვინთაში 1.400 საწოლით, ლესელიძეში 100 საწოლით, ტურისტული ბაზები 1.000 ადგილით.

აშენდება ახალი კინოთეატრი და საზაფხულო თეატრი ბიჭვინთაში.[6] მეათე ხუთწლედში დამთავრდება საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობა გაგრაში. გაგრაში უკვე აიგო თანამედროვე სასტუმროს ტიპის 9 სართულიანი შენობა რესპუბლიკის ახალგაზრდა მშენებელთათვის, რომლებიც კომკავშირული საგზურებით ჩამოვიდნენ გაგრაში, რათა ააშენონ დიდი საკურორტო კომპლექსი. 600 მშენებლისათვის გათვალისწინებულ ახალ ცხრასართულიან ბინებში ცხოვრებისა და შრომის ყველა პირობაა შექმნილი. მეათე ხუთწლედში გაგრაში აშენდება 33 სართულიანი სასტუმრო 927 ადგილით. მის მშენებლობაში მონაწილეობას მიიღებს იუგოსლავიის ერთ-ერთი სამშენებლო ფირმა.

გაგრაში მშენებლობის მასშტაბების ზრდაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ 1975 წელს 40 მილიონი მანეთი შეადგინა.[7]

საკურორტო კომპლექსებისა და საზოგადოებრივ ნაგებობათა მშენებლობის საქმეში დიდი როლი აკისრია ბზიფის სახლმშენებელ კომბინატს, რომელიც რეკონსტრუქციის შემდეგ 1973 წელთან შედარებით გამოშვებულ პროდუქციას 4-ჯერ გაზრდის, რეკონსტრუქციის შემდეგ კომბინატის სიმძლავრე უზრუნველყოფს 120 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის სახლების მშენებლობას წელიწადში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა თავის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ „პარტია მკაცრად მოითხოვს დამპროექტებლებისა და მშენებელთაგან გააუმჯობესონ ბინების დაგეგმარება, აშენონ კეთილსინდისიერად, მაღალხარისხოვნად, ლამაზად. ახალ ბინაში ყველაფერი სიამოვნების მომგვრელი უნდა იყოს ხალხისათვის“.[8]

გაგრელი მშენებლები, ხელმძღვანელობენ რა ლ. ი. ბრეჟნევის ამ მითითებებით, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ აშენონ თანამედროვე ტიპის მაღალხარისხოვანი საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი ობიექტები, რომლებიც შწყობრში ჩადგომის შემდეგ მართლაცდა სიამოვნებას მოჰგვრის ათასობით ახალმოსახლეს.

---

6 43-ე პარტკონფერენციის მასალები, გაზ. „ავანგარდი“, 1975 წლის 6 იანვარი, № 2.

7 გაგრის გენერალური გეგმა, თბილისი, გვ. 279.

8 **ლ. ი. ბრეჟნევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XXV ყრილობას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლად ადასტურებს პარტიისა და მთავრობის უდიდეს ზრუნვას მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, იმას, რომ კურორტ გაგრის წინ ფართო ჰორიზონტებია გადაშლილი.

გაგრელები ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხებენ პარტიისა და მთავრობის ამ ზრუნვას, მათი თავდადებული შრომის დევიზად იქცა X ხუთწლედის დევიზი: ხარისხი, ეფექტიანობა. მიიღეს რა სამოქმედო პროგრამად პარტიის XXV ყრილობის დირექტივები, გაგრელ მშრომელებს სათანადო წვლილი შეაქვთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქის ეკონომიური და კულტურული განვითარება

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დამთავრებისთანავე პარტიისა და ხალხის წინაშე დაისვა მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე სწრაფი გადასვლის, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ამოცანები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მიზნად დაისახა ომის მძიმე შედეგების ლიკვიდაცია და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლება.

აფხაზეთის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1945-1950 წწ. ხუთწლიან გეგმაში ნათქვამია:

„აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ლიკვიდირებულ იქნას ომის შედეგები სახალხო მეურნეობაში, მიღწეულ იქნას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონის აღდგენა და შემდგომ მისი მნიშვნელოვანი გადაჭარბება“.[1]

ამ მიზნის მისაღწევად პირველ რიგში სოფლის მეურნეობაში აუცილებელი იყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განმტკიცება,სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლება, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ისეთი გადიდების უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მოსახლეობა მოგვემარაგებინა სურსათით, ხოლო მრეწველობა — ნედლეულით. შეგვექმნა სურსათისა და ნედლეულის სათანადო რეზერვები.

სწორედ ამ ამოცანის საბჭოურად გადაჭრას ემსახურებოდა პარტიისა და მთავრობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი როგორიცაა: საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილება „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამე-

[1] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, № 161, 1946. 14 აგვისტო.

ურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ღონისძიებების შესახებ“, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილება „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის დადგენილება, რომელიც კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მისი ნაყოფიერების ამაღლებისა და ანაზღაურების სრულყოფის საკითხებს შეეხებოდა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1950 წლის 17 ნოემბერს მიღებული „ღონისძიებები წვრილი კოლმეურნეობების გამსხვილებასთან დაკავშირებით“, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ და მთავრობის მიერ მომდევნო წლების მნიშვნელოვანი დადგენილებები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის სფეროში.

მიიღო რა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებანი სამოქმედოდ, გაგრის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, რაიონის მშრომელებს მიზნად დაუსახეს მთელი ძალ-ღონე წარემართათ რაიონის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის ლიკვიდაციისაკენ, ჩამორჩენისა, რომელიც აბრკოლებდა რაიონის ეკონომიკის წინსვლას და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას.

საბჭოთა მთავრობის მიერ საკავშირო მასშტაბით გატარებულმა ღონისძიებებმა, საქართველოსა და აფხაზეთის ხელმძღვანელი ორგანოების ყოველდღიურმა ზრუნვამ, ადგილობრივი პარტიული და სამეურნეო ორგანოების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა და გაგრის მშრომელთა შეუპოვარმა და გმირულმა შრომამ სახე უცვალა გაგრას.

გაგრის მსუბუქი და კვების მრეწველობის ამჟამად არსებული ობიექტებია: საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, პურის ქარხანა, უალკოჰოლო სასმელების ქარხანა, თევზის კოლმეურნეობა, საკონსერვო ქარხანა, ხორცისა და რძის პროდუქტების კომბინატი, თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა, სახლმშენებელი კომბინატი, რკინა-ბეტონის ქარხანა, ღორღის ქარხანა, ქვის კარიერი, გაგრის ავტოსატრანსპორტო საწარმო, ავტოკოლონა № 2660, ვეტსადგური, ღვინის ქარხანა, ხისგადასამუშავებელი კობინატი, აგურის ქარხანა, სამრეწველო კომბინატი, თევზის საკონსერვო ქარხანა, გაგრის სატყეო მეურნეობა, ქალაქის გამწვანების ტრესტი, საგალანტერიო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრის მშრომელთა კულტურისა და დასვენების პარკის
ერთ-ერთი კუთხე.

ამქრო, სამშენებლო ტრესტი № 16, 3 სარემონტო-სამშენებლო უბანი, 3 სარემონტო კანტორა და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრის ზონის კვების მრეწველობის ობიექტთა შორის უკვე რამდენიმე წელია ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ გაგრის ზონის განთიადის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის ფერმენტატორები. ქარხანა პირველი ხუთწლედის პირმშოა, იგი 1931 წლის 7 ნოემბერს შევიდა ექსპლოატაციაში. ქარხანა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მუშაობს, რომელიც უწყვეტ ნაკადად მოდის გაგრის ზონის კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან. გამონაკლის შემთხვევაში ქარხანა ნედლეულს იღებს შუა აზიიდან, კერძოდ სამარყანდის ოლქიდან; ქარხანაში 200-მდე მუშა მუშაობს, რომელსაც თითქმის საუკუნის მეოთხედი ხელმძღვანელობდა თამბაქოს დამუშავების გამოცდილი სპეციალისტი, სამამულო ომის ვეტერანი, საკ. კპ წევრი 1943 წლიდან ი. გრიგოლია.

ქარხანამ კავშირის მასშტაბით 1973-1974 წლებში კვების მრეწველობის ობიექტებს შორის პირველი ადგილი დაიკავა; ქარხნის პროდუქცია იგზავნება შვეიცარიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ქარხანა ამჟამად ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვითაა აღჭურვილი, მექანიზებული და ავტომატიზებული.

სხვადასხვა დროს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ქარხნის კოლექტივი დაჯილდოვდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მეორე ხარისხის დიპლომით, აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტისა და გაგრის პარტიის ქალაქკომის გარდამავალი წითელი დროშით. საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების დიპლომით — წარმოების კულტურისათვის, ხოლო 1973 წლის პირველი და მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით ქარხნის კოლექტივმა საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროსა და პროფკავშირის ცკ-ის გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა.

1973 წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით კი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის პირველი ადგილი დაისაკუთრა და საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობისა და პროფკავშირების ცკ-ის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.[2]

ქარხანაში შრომითი გმირობის მაგალითებს იძლევიან ქარხნის ვეტერანი მუშები: მ. გუგეშაშვილი, ა. ვასილენკო, კ. ტო-

---

[2] გაზ. „ავანგარდი", 1974 წ., 19 თებერვალი, № 22.

ლსტოვი, ა. ეკზარიანი, ლ. იურჩენკო და სხვები. მათ მხარში უდგანან ახალგაზრდები: რ. ჩემიანი, ვ. პლუგოვი, ... კარაგოზიანი და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრის ზონის განთიადის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის კოლექტივმა სასახელო შრომითი მიღწევებით დაასრულა მეცხრე ხუთწლედის მეხუთე დამამთავრებელი წლის პირველი ნახევარი. ნაცვლად 1.470 ტონისა გადამუშავებულ იქნა 1.527 ტონა არომატული „სამსუნის“ ნედლეული. საერთო სასაქონლო პროდუქცია ნაცვლად 4.940 ათასი მანეთისა გამოშვებულია 5.250 ათასი მანეთის. დიდი გადაჭარბებით იქნა განაღდებული მზა პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც. მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ 1975 წელს ქარხნის კოლექტივმა პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა 1974 წელთან შედარებით 11,9 პროცენტით შეასრულა, წარმოების მოცულობისა — 94 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერებისა — 96 პროცენტით.[3]

კვების მრეწველობის ობიექტებს შორის უკანასკნელი ხუთწლედების მანძილზე უდიდეს შრომით წარმატებებს მიაღწია გაგრის ხორცისა და რძის გადამმუშავებელმა კომბინატმა (დირექტორი — ო. მოგელაძე). სამამულო ომამდე გაგრაში მხოლოდ პრიმიტიული საქონლის სასაკლაო არსებობდა, აღნიშნული კომბინატი ომისშემდგომ პერიოდში, კერძოდ, 1951 წელს შევიდა ექსპლოატაციაში.

გაგრის რძისა და ხორცის კომბინატი დღეღამეში 100 ტონამდე რძის ნაწარმს უშვებს, მათ შორის რძისა და ნაღების 150 ათას ბოთლსა და პაკეტს, 10-15 ტონა ნაყინს. ხორცის კომბინატი კი 24-25 ტონამდე ხორცის ნაწარმს, 2 ტონამდე ნახევარფაბრიკატებსა და სხვადასხვა პროდუქციას.

გაგრის ზონის საწარმოთა შორის თავისი მაღალი შრომითი მაჩვენებლებით საპატიო ადგილი უჭირავს გაგრის უალკოჰოლო სასმელების ქარხანას, რომელიც კურორტს უმაღლესი ხარისხის სასმელებით ამარაგებს. „ფეიხოა“, „ლიმონი“, „თბილისი“, „ფორთოხალი“, აი, ათვისებული პროდუქციის სახელწოდებანი, რომელსაც უშვებს აღნიშნული ქარხანა.

სასმელების რეცეპტი ქარხანამ სწორედ მეცხრე ხუთწლედში აითვისა და იგი უდიდეს მოწონებას იმსახურებს არა მარტო აფხაზეთის მოსახლეობას შორის, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში. ქარხნის კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 114

---

[3] აფხაზეთის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა. გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1975 წ., 3 თებერვალი.

პროცენტით შეასრულა, ხოლო საერთო დავალება 113,5 პროცენტით გაანაღდა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელეს და გამარჯვებული გამოვიდნენ ჩამომსხმელი ხაზის ბრიგადირი პალინა ხვისტანი, ჩამომსხმელი ავტომატის წარჩინებული მუშა კომკავშირელი როზა პოპცოვა, ეტიკეტის ავტომატის მემანქანე ლიდია სმეიანოვა, ჩამომსხმელი საამქროს ზეინკალი ომარ მამარდაშვილი. უალკოჰოლო სასმელების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათი ნახშირმჟავა გაზით საჭირო რაოდენობით გაჯერების მიზნით ქარხანაში დაიდგა სატურატორი, რომელმაც კიდევ უფრო აამაღლა წყლების ღირსება. უახლოეს დროში გადაწყდება ქარხნის ჩამომსხმელი დანადგარის მოდერნიზება, რის შედეგად 5 ათასი ბოთლით გაიზრდება ერთ ცვლაში სასმლის ჩამოსხმა და ქარხნის წარმადობა 40 ათას ბოთლს მიაღწევს.

რა თქმა უნდა, საზაფხულო საკურორტო სეზონში გაზრდილი მოთხოვნის მინიმუმსაც ვერ დააკმაყოფილებს ამჟამად არსებული შესაძლებლობანი, მაგრამ ზემდგომი ორგანოების პრაქტიკული დახმარების შედეგად უახლოეს წლებში ქარხნის წარმადობის გადიდების პრობლემა გადაჭრილი იქნება.

ქარხნის კოლექტივის სადიდებლად უნდა ითქვას, რომ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს გეგმით ნავარაუდევი 200 ათასი დეკალიტრის ნაცვლად 240 ათასი დეკალიტრი უალკოჰოლო სასმელი იქნა გამოშვებული და გეგმის ზევით 330 ათასი ბოთლი სასმელი მიიღო კურორტმა. სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით აფხაზეთის რესპუბლიკის რაიონებს შორის გაჩაღებულ სოცშეჯიბრებაში ქარხნის კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა, ამის მკაფიო დადასტურებაა ის, რომ უალკოჰოლო ქარხნის გამრჯე კოლექტივმა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 1975 წელს 1974 წელთან შედარებით 123 პროცენტით შეასრულა, წარმოების მოცულობა — 162 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერებისა — 96 პროცენტით.

გაგრის ზონის კვების ობიექტებს შორის თავისი შრომითი წარმატებებით მოწინავეთა რიგებში დგას განთიადის ღვინის ქარხანა, რომელიც 1955 წელს შევიდა ექსპლოატაციაში.

ქარხნის კოლექტივის შრომით მამაცობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქარხანამ 1974 წლის პირველ ექვს თვეში ჩამოასხა და მომხმარებელს მიაწოდა 59.822 დეკალიტრი მშრალი და 68.740 დეკალიტრი შემაგრებული ღვინო. მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის პირველ ნახევარში ნაცვ-

ლად გეგმით გათვალისწინებული 1.355 ათასი მანეთისა, გამოუშვა 1.440 ათასი მანეთის ღირებულების საერთო-სასაქონლო პროდუქცია. წარმატებით იქნა განაღდებული მზა პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც, რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 1.355 ათასი მანეთის ნაცვლად შეადგინა 1.381 ათასი მანეთი. ქარხნის წარმატებები განაპირობა როგორც პირველადი მეღვინეობის საამქროს, ისე ჩამომსხმელი საამქროს (უფროსები ინჟინერ-ტექნოლოგები ალ. რუხაძე და ვ. კუტალია) კარგმა მუშაობამ. ქარხნის კოლექტივში თავდადებული შრომით სიყვარული დაიმსახურეს მუშებმა: ქ. ჩეპურნაიამ, ვ. და ნ. კალანდიებმა, ბ. გალაიჯიანმა, ვ. შიპილოვამ, გ. წიფურიამ და სხვებმა.

ქარხნის საამქროების შეუფერებელი მუშაობის უზრუნველყოფის საქმეში თავი ისახელეს მექანიკური და ორთქლ-ძალოვანი საამქროს მუშებმა, რომელთაც ზ. ყურაშვილი ხელმძღვანელობს.

ქარხნის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ახალი მეათე ხუთწლედის ცამეტ დღეში გამოშვებულმა საერთო სასაქონლო პროდუქციამ 98 ათასი მანეთი შეადგინა. ხოლო რეალიზებულ იქნა 90 ათასი მანეთის პროდუქცია. ქარხანამ მეათე ხუთწლედის დაწყებიდან 13 დღეში 8.000 დეკალიტრი სხვადასხვა ღვინოები ჩამოასხა და მიაწოდა მომხმარებელს.

ქარხნის კოლექტივმა 1975 წელს 1974 წელთან შედარებით პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა 105 პროცენტით შეასრულა, წარმოების მოცულობისა 110 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერებისა 107 პროცენტით.[4]

ღვინის ქარხნის კოლექტივმა ახალი მეათე ხუთწლედის იანვარ-თებერვლის გეგმის შესრულება ისტორიული თარიღის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გახსნის დღისათვის — 24 თებერვლისათვის უპატაკა სამშობლოს.

გაგრის ზონის მსუბუქი და კვების მრეწველობის წარმოებებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი განთიადის საკონსერვო ქარხანას უკავია. ქარხანა 1959 წლის 20 ივნისს შევიდა ექსპლოატაციაში. მისი პირველი დირექტორი იყო საკონსერვო საქმის ჩინებული სპეციალისტი ბ. ფერაძე, რომელიც ქარხნის დაარსების პირველი დღიდან 1965 წლამდე (დამსახურებულ პენსიაზე გასვლამდე) მუშაობდა. 1965 წელს ქარხა-

---

[4] აფხაზეთის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა. გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", 1975 წ., 3 თებერვალი, № 23.

ნას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა სპეციალისტი ი. ჭითანავა და უკვე მეორე ათეული წელია გაგრის ზონის ამ მოწინავე კოლექტივს ხელმძღვანელობს იგი.

ქარხანაში სულ 120 მუშა მუშაობს, ქარხანა სპეციალიზებულია ხილის კომპოტის, ნატურალური წვენების, მურაბის, ჯემისა და სხვა პროდუქციის გამოშვებაზე.

ქარხანა მარაგდება ძირითადად აფხაზეთის რაიონებიდან ჩამოტანილი ნედლეულით. ქარხნის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა, იგი თავის ნაწარმს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში აგზავნის. უმთავრესად — კემეროვოს ოლქში და ქალაქ კურგანსკაიაში. ქარხნის დაარსებიდან დღემდე თავდადებულად იღვწიან შრომის ვეტერანები მ. უტკინი, დ. იანიდი, ა. ჩიჩუა, ნ. სმირნოვა, რომლებიც სასახელო შრომასთან ერთად თავიანთ მდიდარ გამოცდილებას უზიარებენ ახალგაზრდა სპეციალისტებს.

ქარხანაში ორი კომუნისტური შრომის ბრიგადაა: მზა პროდუქციის განყოფილება, რომელსაც სათავეში უდგას სვანიძე, და საკონსერვო საამქრო (ბრიგადირი ზ. გაბადაძე). შრომითი გმირობის მაგალითს იძლევიან ახალგაზრდა სპეციალისტები: მ. წოწორია, ნ. ეფრემენკო, ლ. სვანიძე, ს. ხუხუა და სხვ.

შრომის პროცესების მექანიზაციამ და ნოვატორულმა მეთოდებმა ხელი შეუწყო წარმოების პროცესების დაჩქარებას და მაღალხარისხოვანი ნაწარმის გამოშვებას.

შრომის ნოვატორ დ. ა. იანიდის მიერ წარმოებაში დაინერგა ავტომატური ხილის საჭრელი დანადგარი. თუ წინა წლებში კურკოვანი ხილის ხელით ჭრის ნორმა 75 კილოგრამი იყო, ამჟამად მანქანური წესით ჭრის დონემ 12.000 კილოგრამს მიაღწია. ასევე თუ წინათ გარეცხილი შუშისა და ტარის მიწოდებას კონვეიერის წესით ოთხი კაცი სჭირდებოდა, ამჟამად ერთი ემსახურება.

ასევე თუ შუშის ჭურჭლის რეცხვის საქმეს 35-40 კაცი სჭირდებოდა, ქარხანაში შექმნილმა მოდერნიზებულმა მანქანამ მხოლოდ 3 კაცს დააკისრა ეს მოვალეობა.

აღნიშნული მანქანები განთიადის საკონსერვო ქარხნიდან გადაიღეს და წარმოებაში დანერგეს სოხუმის, ზუგდიდისა და სამტრედიის საკონსერვო ქარხნებმა.

მზა პროდუქციის გაფორმების საქმეს უწინ 16 მუშა სჭირდებოდა, ნაკადურ-მექანიზებული ხაზის დამონტაჟების შემდეგ კი ხუთი.

საქართველოს საკონსერვო საქმის ისტორიაში განთიადის საკონსერვო ქარხანამ პირველმა დანერგა წარმოებაში ვაშლის ნატურალური წვენის ცხელი წესით, სტერილიზაციის გარეშე

ჩამოსხმა, აღნიშნულმა მეთოდმა ქარხანას შვიდიდან ათი ათას მანეთამდე ეკონომია მისცა, გააუმჯობესა წარმოების კულტურა, აამაღლა წარმოების დონე და გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, ხილეულში არსებული ვიტამინების სრული დაცვით.

განთიადის საკონსერვო ქარხნის მიერ გამოშვებული ხილეულის წვენები მაღალხარისხოვანია და სამართლიანად დაიმსახურა მაღალი შეფასება საკონსერვო საქმის გამოცდილ სპეციალისტთა სადეგუსტაციო კომისიის მიერ ქ. თბილისში 1973 წელს.

უკვე მერვე წელია ქარხანას გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე არავითარი რეკლამაცია და მომხმარებელთა პრეტენზიები არ მიუღია.

ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია 15 კომკავშირელს ითვლის. ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა განკარგულებაშია კოხტად მოწყობილი სამკითხველო 1.200 წიგნადი ფონდით, სპორტმოედანი, სასადილო, წითელი კუთხე. სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში.

სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრა კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედი. ქარხანამ პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა 1975 წელს 1974 წელთან შედარებით 106 პროცენტით შეასრულა, წარმოების მოცულობისა — 109 პროცენტით და მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით აფხაზეთის რესპუბლიკის რაიონებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა.[5]

გაგრის ზონა აფხაზეთის რესპუბლიკაში ერთ-ერთ წამყვან ინტენსიურ და მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობის რაიონად ითვლება. გაგრის ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის ბევრია ისეთი შრომითი კოლექტივი, რომლებმაც თავიანთი სასახელო საქმეებით სახელი გაუთქვეს გაგრას.

მათ შორის აღსანიშნავია შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სანაშენე მეურნეობა, რომელსაც სათავეში უდგას გამოცდილი სამეურნეო მუშაკი, სამამულო ომის ვეტერანი სკკპ XXV ყრილობის დელეგატი ვასილ ძნელაძე.

აღნიშნულმა მეურნეობამ ჯერ კიდევ 1974 წლის პირველ ნახევარში ვალდებულება იკისრა 8.000 ცენტნერი რძე მიეცა სამშობლოსათვის, ფაქტიურად ყოველ ფურზე ჩამოეწველათ 2.000 კგ რძე. მეცხოველეებმა ნათქვამი საქმედ აქციეს და სამ-

---

[5] აფხაზეთის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა, გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", 1975 წ., 3 თებერვალი, № 23.

შობლოს მისცეს 9.749 ცენტნერი რძე. ხოლო თითოეული ფურის საშუალო წველადობამ 2.435 კილოგრამი შეადგინა.

მეურნეობის მწველავებმა, სოციალისტური შრომის გმირმა ეკატერინა ლეშჩევამ, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერმა თამარ ულეზკომ, მარია პეტროვამ, ანასტასია ლავრენჩენკომ, ვერა ივანოვამ, ნინო თურმანიძემ და სხვ. ვალდებულება იკისრეს 1974 წლის 6 თვის მანძილზე 2.150 კილოგრამი რძე მიეღოთ ყოველ საფურაჟე ძროხიდან და ვადამდე გაანაღდეს კიდეც ეს ვალდებულება.

თამარ ულეზკომ და ნინო თურმანიძემ მასზე მოსავლელად მიბარებული ფურების საშუალო წველადობა 6 თვეში 2.381 კილოგრამამდე აიყვანეს. 1975 წელს თამარ ულეზკომ ერთ საფურაჟე ძროხაზე 5.440 კილოგრამი რძე ჩამოწველა, ეკ. ლეშჩევამ კი 5,274 კილოგრამი.

მეცხრე ხუთწლედში ჯიშიანი პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებისათვის გაგრის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სანაშენე მეურნეობის კოლექტივს კიდევ ერთი შრომითი ჯილდო შეემატა. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამ მეურნეობას პირველი ხარისხის დიპლომი, 6 ათასი მანეთი ფულადი პრემია და მსუბუქი მანქანა გადასცა, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ მწველავებსა და მექანიზატორებს ვ. კოროლიოვს, თ. ულეზკოს, ნ. თურმანიძეს, მ. პეტროვასა და სხვებს ფასიანი საჩუქრები გადაეცა.

მიმდინარე მეათე ხუთწლედში ეს შრომისმოყვარე კოლექტივი კიდევ ერთ კარგ საჩუქარს მიიღებს. საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის სოხუმის ფილიალში იქმნება გაგრის მერძეველობის კომპლექსის პროექტი. კომპლექსი გათვალისწინებულია 1.000 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის (პროექტის მთავარი კონსტრუქტორია ანასტას იორდანიდი, პროექტის მთავარი ინჟინერი ზურაბ რაფავა, ინჟინერ-კონსტრუქტორი მედეა ოდიშარია).[6]

სასახელო შრომითი მიღწევები აქვს გაგრის ზონის სოფელ ლესელიძის კოლმეურნეობა „დრუჟბას". აღნიშნულ კოლმეურნეობას მესამე ათეული წელია სათავეში უდგას სამეურნეო საქმის ნიჭიერი ორგანიზატორი, საკოლმეურნეო მშენებლობისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანი დავით ერქვანია. იგი სამართლიანად შეიძლება იქნას დასახელებული საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანთა მიხაკო ორაგველიძის, კობა ჩოხელისა და არსენ კობაიძის გვერდით.

---

6 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1975 წ., 4 თებერვალი, № 27.

უნარიანმა ხელმძღვანელმა დავით ერქვანიამ მოწინავეთა რიგებში ჩააყენა წინათ ჩამორჩენილი კოლმეურნეობა „დრუჟბა“. აღნიშნული კოლმეურნეობა წლების მანძილზე გაგრის ზონის მეურნეობების ავანგარდში დგას, იგი სპეციალიზებულია თამბაქოს, ციტრუსების, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაზე. კოლმეურნეობამ თავისი სახსრებით ააშენა საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა, კულტურის სახლი, ბაგა-ბაღი და სხვა კომუნალური ნაგებობანი. კოლმეურნეობაში ბევრია სახელოვანი ადამიანები. რომლებიც თავდადებული შრომით იცავენ კოლექტივის ღირსებას, ესენია: მწველავები მარო გოგოლაძე, ელზა ბარაშვილი, გ. იუჰანსონი და სხვ.

„დრუჟბაში“ ბევრია სახელგანთქმული მესიმინდე, თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატი, მევენახე და მებაღე, ესენი არიან: ა. კეშიანი, გ. ოგანესიანი, ი. კარკი, ოსვალდ ლექსი, გ. ჯღარკავა, ი. დვალიშვილი, სოციალისტური შრომის გმირი მაიმო მაზიკასი და სხვ.

გაგრის ზონის მეურნეობათა შორის მოწინავეთა რიგებში დგას აგრეთვე გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, (მეურნეობის დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი გ. პ. ქირია).

აღნიშნულ მეურნეობაში თავდადებით შრომობენ მოწინავე მუშები: კ. პანჩენკო, ა. სტრუჟკოვსკაია, ა. დანელიანი, გ. ესებუა, მექანიზატორები: ა. სიდორენკო, ვ. ზავგოროდნევი, ბრიგადირები: ა. ჯალაღონია, გ. ფიფია, ლ. გოგოლაძე, რომლებმაც მეცხრე ხუთწლედის დავალება 3 წელსა და 11 თვეში შეასრულეს.

1976 წლის 31 მარტს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საზეიმო შეკრებაზე, სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი მაჩვენებლების მოპოვებისათვის, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის მეურნეობას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

გაგრის ზონაში 25 სოციალისტური შრომის გმირია, მათ შორის ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატი პროკოფი სვანიძე, სოფ. ლესელიძის კოლმეურნეობა „დრუჟბას“ წევრი, სოციალისტური შრომის გმირი აწგანსვენებული ნინო ხელაია ლენინის სამი ორდენის კავალერი იყო.

ქალაქის შრომით კოლექტივებში 4.011 კომუნისტური შრომის დამკვრელი მუშაობს. ქალაქში კომუნისტური შრომის 113 ბრიგადა და საამქროა. გაგრელ კოლმეურნეებს სამეურნეო წლის სამსახურში გააჩნიათ 116 მაღალი და საშუალო ძალის ტრაქტორი. ხოლო საბჭოთა მეურნეობებს — 133 ტრაქტორი. მეცხრე ხუთწლედის მანძილზე გაგრელმა მშრომელებმა აწარმოეს: 7.078 ტონა თამბაქო, 126.639 ცენტნერი რძე, 123.532 ცენტნერი ხორცი, 4.903 ტონა მანდარინი, 282 ტონა ფოთოხალი, 4.565 ათასი ცალი ლიმონი.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე ქალაქის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების საშუალებით გადაყვანილ იქნა 95 მილიონ 846 ათასი მგზავრი.

მეცხრე ხუთწლედის წლებში მხოლოდ პროფკავშირების გაგრის კურორტთა მართვის სისტემის სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და პანსიონატებში იმკურნალა და დაისვენა 300 ათასზე მეტმა კაცმა.[7]

საამაყოა, რომ 1976 წლის პირველ სამეურნეო კვარტალში პროდუქტიულობის მაჩვენებლებით გაგრელმა მეცხოველეებმა საქართველოში პირველი ადგილი მოიპოვეს.[8]

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე და შემდეგ, საქართველოში მენშევიკური მთავრობის ბატონობის წლებში, თუ გაგრაში მხოლოდ ერთი ქალთა გიმნაზია, რეალური სასწავლებელი და პრინც ოლდენბურგსკის „პრიუტი“ არსებობდა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სოციალიზმის მშენებლობის წლებში, სახალხო განათლების საქმემ არნახულ გაქანებას მიაღწია, ამის მკაფიო დადასტურებაა ის, რომ 1975 წლის ოფიციალური მონაცემებით ამჟამად გაგრაში და მის ზონაში 42 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, მათ შორის 21 საშუალო, 15 რვაწლიანი და 6 დაწყებითი. ქალაქ გაგრაში 5 საშუალო სკოლაა, 8 საბავშვო ბაღი, ორი საბავშვო ბაგა-ბაღი და საბავშვო ბაგა. სულ სკოლამდელი აღზრდის 12 დაწესებულებაა. გაგრის ზონაში ორი სკოლა ინტერნატია.

1974-75 სასწავლო წელს ასპროცენტიანი მოსწრება ჰქონდა გაგრის ზონის 8 სკოლას. გაგრის ზონაში 4 საღამოს საშუალო სკოლაა: ბზიფის, ბიჭვინთის, განთიადისა და გაგრის. ქართული სკოლებიდან ყველაზე დიდი მოსწავლეთა კონტიგენტი ქალაქ გაგრის № 1 საშუალო სკოლაშია, რომელიც 1.500 მოს-

---

[7] გაზ. „ავანგარდი“, 1976 წ., 24 თებერვალი, № 23.
[8] გაზ. „ავანგარდი“, 1976 წ., 11 მაისი, № 55.

წავლეს ითვლის, ხოლო რუსული საშუალო სკოლებიდან — ხეივნის № 2 საშუალო სკოლაში, სადაც მოსწავლეთა კონტიგენტი 904-მდე გაიზარდა.

გაგრის ზონის ყველა სკოლა გადაყვანილია ერთცვლიან მეცადინეობაზე. დღითიდღე იზრდება სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი.

ქალაქ გაგრაში არსებობს პიონერთა სახლი, ქალაქის სპორტული სკოლა. ყოველწლიურად იზრდება გაგრის ზონის სკოლების ფინანსირება. თუ 1970 წლის მაჩვენებლების მიხედვით სკოლებზე დაშვებული იყო 2.365,2 ათასი მანეთი, 1975 წლის „ჟურნალ-მაჩვენებლის“ მიხედვით იგი 2.668,1 ათასამდე გაიზარდა. თუ 1970 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო: ხელფასზე — 1.746,1 მან, ინვენტარზე — 16,0 ათასი მან, კაპიტალურ რემონტზე — 37 ათასი მან, სახალხო განათლების დაწესებულებებზე 5 წლის მანძილზე დაშვებულმა თანხამ რეკორდულ ციფრებს მიაღწია. მაგალითად, 1975 წელს ხელფასზე — 2.189,9 ათასი მან, ინვენტარზე — 40,0 ათასი მან, კაპ. რემონტზე 40,0 ათასი, ხოლო სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოებზე 35,2 ათას მანეთამდე დაიხარჯა.[9]

ქალაქ გაგრისა და გაგრის ზონის სკოლებში მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეს 940 მასწავლებელი ემსახურება. მათ შორის 10 საქ. სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელია, ხოლო 20-ს აფხაზეთის ასსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება აქვს მინიჭებული.

ქალაქ-კურორტის ზონაში სახალხო განათლების ასეთი ექსპრესიული განვითარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგია, საბჭოთა მთავრობა თანხებს არ იშურებს გაგრის ზონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად, მისი საგნობრივი კაბინეტ-ლაბორატორიების, სასწავლო სახელოსნოების თვალსაჩინო ხელსაწყოებითა და ტექნიკური სასწავლო მანქანა-იარაღებით აღჭურვისათვის.

ამჟამად გაგრის ზონაში მთლიანად ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა, განუხრელად ხორციელდება საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის დადგენილება ახალგაზრდობის „საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადაყვანის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო

---

[9] იხ. ქ. გაგრის სახალხო განათლების განყოფილების 1970 და 1975 წლების „ჟურნალი-მაჩვენებელი“, გვ. 46.

სკოლების შემდგომი განვითარების შესახებ“ და „სკოლის კანონი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებში მინიმუმამდეა დაყვანილი მეორეწლიან მოსწავლეთა რიცხვი.

გაგრის ზონის სკოლების პედაგოგიური კადრების 90 პროცენტი უმაღლესი განათლებითაა, ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ სწავლა-აღზრდის პროცესში ახალი სააღმზრდელო ფორმების დანერგვისა და მისი ცხოვრებაში გატარებისათვის, რათა კიდევ უფრო აამაღლონ სწავლების ხარისხი, საფუძვლიანი ცოდნა მისცენ მოსწავლეებს ამა თუ იმ სასწავლო დისციპლინებში, აღზარდონ მომავალი თაობა საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე. აღზარდონ მრავალმხრივ განვითარებული, მორალურად სპეტაკი და მაღალი კულტურის მქონე კომუნიზმის აქტიური მშენებლები.

გაგრის ზონის პედაგოგიურ საზოგადოებას კარგად ახსოვს და პრაქტიკულ საქმიანობაში სახელმძღვანელოდ იყენებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, წარმოთქმულს პარტიის XXV ყრილობაზე:

„აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო სისტემისა და, უწინარეს ყოვლისა, საშუალო სკოლის შემდგომი სერიოზული სრულყოფა. თანამედროვე პირობებში, როცა ადამიანისათვის საჭირო ცოდნის მოცულობა მკვეთრად და სწრაფად იზრდება, უკვე შეუძლებელია, რომ მთავარი იმედი დაამყაროს გარკვეული რაოდენობის ფაქტების ათვისებაზე. საჭიროა ჩავუნერგოთ ბავშვებს უნარი დამოუკიდებლად იმდიდრებდნენ ცოდნას, გზას იგნებდნენ მეცნიერული და პოლიტიკური ინფორმაციის მოზღვავებულ ნაკადში. შევუსაბამოთ სწავლების მეთოდები ცხოვრების მოთხოვნებს“.[10]

რაიონის სკოლების მუშაობას, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სკოლის წინაშე დასმულ მოთხოვნათა დონეზე წარმართავს სახალხო განათლების შტაბი — ქალაქის საბჭოსთან არსებული სახალხო განათლების განყოფილება, რომელსაც სათავეში სახალხო განათლების საქმის კარგი ორგანიზატორი ბ. ჩაკაბერია უდგას.

მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული დახელოვნებისათვის ზრუნვა, სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სწავლა-აღზრდის პროცესებისა და ფორმების სრულყოფა, სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაზე

---

10 **ლ. ი. ბრეჟნევი,** საანგარიშო მოხსენება სკკპ XXV ყრილობას, კომუნისტი, 25 თებერვალი, 1976 წ.

სისტემატური კონტროლი, პედაგოგიური კადრების დონეადობის შემცირება, — აი, ის უპირველესი ამოცანა, რომელსაც სახალხო განათლების განყოფილება ისახავს და პრაქტიკულად მისი განხორციელებისათვის იბრძვის...

მალე მწყობრში ჩადგება კიდევ ერთი სახალხო განათლების კერა, გაგრის ზონის სოფ. ხეივნის № 2 რუსული საშუალო სკოლის ახალი ორსართულიანი შენობა. მის მშენებლობაზე ნახევარი მილიონი მანეთია ასიგნებული. ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობის დამთავრების შემდეგ აღნიშნული სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტი ნაცვლად ამჟამად არსებული 904-ისა 1.170-ს მიაღწევს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გაგრაში არც ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება არ არსებობდა, საგასტროლოდ ჩამოსულ ხელოვანთა წარმოდგენები და კონცერტები ღია ცის ქვეშ იმართებოდა.

საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად გაგრის ზონას მოსახლეობისა და დამსვენებელთა კულტურული მომსახურების მხრივ აფხაზეთში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს.

თუ 1916 წლისათვის გაგრაში დროებით სასტუმროსთან (სასტუმრო „გაგრიფში") მხოლოდ ერთადერთი ბიბლიოთეკა არსებობდა, ამჟამად კურორტ გაგრის ზონაში 34 ბიბლიოთეკაა, რომლის ფონდი მილიონობით ტომს ითვლის. გაგრის თითქმის ყველა სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლს გააჩნია თავისი ბიბლიოთეკა. თვით ქალაქში 4 საქალაქო ბიბლიოთეკაა. მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელ წელს გაგრაში კიდევ ერთი საქალაქო და 4 სარაიონო ბიბლიოთეკა აშენდა.

თუ 1926 წელს გაგრაში მხოლოდ ერთი კინოთეატრი იყო და ერთი მოძრავი კინო, ამჟამად გაგრაში 3 კინოთეატრია. 1963 წელს ახალ გაგრაში მწყობრში ჩადგა კინოთეატრი 800 ადგილით. გაგრას გააჩნია კეთილმოწყობილი კულტურის სახლი. (აშენდა 1957 წელს). გაგრის პარკში მოწყობილია საზაფხულო ესტრადის სცენა და მუსიკალური „რაკოვინა", ლექტორიუმი, ბიბლიოთეკა, ასევე საერთო საკურორტო სამკურნალო სპორტული ბაზა სათანადო კომპლექსებით, სადაც რეგულარულად იმართება სპორტული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

კურორტ გაგრის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი დღითიდღე ფართოვდება. 1955 წლიდან დღემდე პროფკავშირების გაგრის კურორტთა მართვის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში 16 საზაფხულო კინოთეატრი, 8 საესტრადო და 4 საზამთრო კლუბი აშენდა. ქა-

ლაქში უკვე ექსპლოატაციაში შევიდა ფართოეკრანიანი კინოთეატრი „რუსთაველი“. მთლიანად გაგრის ზონაში 150-მდე საზაფხულო და საზამთრო კინოდანადგარი მუშაობს, სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს და პანსიონატებს საკუთარი კინოდანადგარი გააჩნია, ასევე საზამთრო კლუბი, საზაფხულო საესტრადო და საცეკვაო მოედანი.

გაგრაში არსებობს საექსკურსიო ბიურო, რომელიც კულტურულ მომსახურებას უწევს დასასვენებლად ჩამოსულ სტუმრებს, ტურისტებს ქალაქის ღირსშესანიშნაობათა და ასევე აფხაზეთის ისტორიული ადგილების დათვალიერების საქმეში.

გაგრაში 1959 წლიდან არსებობს ტურისტული ბაზა 250 ადგილით, რომლის კოლექტივი ენერგიას არ იშურებს საბჭოთა და უცხოელი სტუმრების კულტურული მომსახურებისათვის. დიდი ხანია ტურისტულ ბაზას სათავეში უდგას საბჭოთა კავშირის გმირი რაჟდენ ბარციცი.

გაგრაში 1970 წელს აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა ბავშვთა მუსიკალური სკოლა (დირექტორი ჯონი ლატარია) 350 ადგილით, მუსიკალურ სკოლას 46 პედაგოგი ემსახურება. 47 საკლასო ოთახში ყველა პირობაა შექმნილი მუსიკალური ხელოვნების დასაუფლებლად. სკოლის მშენებლობა 280,6 ათასი მანეთი დაჯდა.[11] მუსიკალური სკოლის საკონცერტო დარბაზი 250 მაყურებელს იტევს. კურორტის მოსახლეობისა და დამსვენებელთა საყვარელი ადგილია ზღვისპირა კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც სამხრეთის ფლორის 400-მდე ეგზოტიკურ სახეობას მოიცავს.

ძველ გაგრაში პარკის თითქმის შუა ნაწილში არქიტექტორების: ცინცაბაძის, კანდელაკისა და მელიას პროექტით 1951 წელს აშენდა კოლონადა, ხოლო მის პირდაპირ საავტომობილო მაგისტრალს მიღმა — ფერდობებზე — 1956 წელს კინოთეატრი „გაგრა“ (საზამთრო და საზაფხულო დარბაზებით. თითოეულში 550 ადგილია). კოლონადა და კინოთეატრი მთლიან არქიტექტურულ ანსამბლს ქმნიან, შესაფერისად ერწყმიან რელიეფს და მნახველთა უდიდეს მოწონებას იმსახურებენ.

გაგრის საზღვაო სადგურის მახლობლად „ბულგარული ეკლესიის“ შენობაში მოთავსებულია აფხაზური იარაღის მუზეუმი, რომელიც დამსვენებელთა და ტურისტთა დიდ რაოდენობას იზიდავს და კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველებში.

გაგრის მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური და ესთეტიკური

---

[11] ქალაქ გაგრის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგვგმო განყოფილების ცნობა, 1976 წ., 28 მარტი, № 201.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სამამულო ომში დაღუპულთა ძეგლი.

აღზრდის საქმეში უდიდეს მუშაობას ეწევა საქ. სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გაგრის საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფი, რომლებიც ლექცია-მოხსენებებით გამოდიან ჯალალ-მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ქალაქის წარმოებადაწესებულებებში. მარტო გასულ მეცხრე ხუთწლედში გაგრის სახალხო მეურნეობის სფეროში საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორთა ძალებით აქტუალურ თემებზე 1.500 ლექცია-მოხსენება იქნა წაკითხული.

ქალაქს თავისი თეატრალური დასი არ გააჩნია, მაგრამ კურორტის ხშირი სტუმრები არიან თბილისისა და სოხუმის თეატრალური ძალები, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული მსახიობთა დასი, რომელთა ძალებით იმართება თეატრალური წარმოდგენები, სიმფონიური და საესტრადო კონცერტები.

გაგრის სახალხო მეურნეობის ბევრ ობიექტს ჰყავს თავისი დრამატული წრე ან მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კურორტის ჯანმრთელობის კერების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, რომლებიც ხშირად გამოდიან ადგილობრივი მოსახლეობისა და დამსვენებელთა წინაშე წარმოდგენებითა და კონცერტებით.

გაგრის ზონაში ამჟამად პოპულარულია ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივთა აგიტბრიგადა და კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული დასი, რომელიც ცნობილია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

გაგრის ზონაში (1976 წლის მონაცემებით) 3 საქ. სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკია, ხოლო 4 საქ. სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი.

ქალაქ გაგრის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს სათავეში უდგას ქალაქის საბჭოს კულტურის განყოფილება, რომელსაც კულტმასობრივი მუშაობის გამოცდილი ორგანიზატორი, საქ. სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი ვალერიან თორდია ხელმძღვანელობს. კულტურის განყოფილების მუშაკები ძალ-ღონეს არ იშურებენ გაგრის ზონის მოსახლეობას შორის კულტმასობრივი ღონისძიებების ჩატარების შედეგად უფრო სისხლსავსე გახადონ კომუნიზმის მშენებელი ადამიანების გარჯა, ხელი შეუწყონ მათს თავდადებულ შრომას პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების გადაჭრაში.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელ წლებში დიდი საზოგადოებრივი და ეკონომიური ძვრები მოხდა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. პირველ რიგში იგი შეეხო სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას.

1972 წლიდან დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ეს ცვლილებები განსაკუთრებით საგრძნობია ახლა, როცა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში.

რა დასამალია და წლების განმავლობაში ირღვეოდა პარტიული მუშაობის ლენინური ნორმები და მეთოდები. მაამებლობა, ძმაბიჭობა, მლიქვნელობა, პროცენტომანია, თვალის ახვევისა და სოციალისტური ქონების დიდი რაოდენობით დატაცების მრავალი ფაქტი, პროტექციონიზმი, სოციალისტური საზოგადოებისათვის მიუღებელ ზნე-ჩვეულებათა და ადათწესების დამკვიდრება და სხვა ნეგატიური მოვლენები შავ ლაქად აჩნდა და კარს უხშობდა ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ და ეკონომიურ პროგრესს. პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტებას მოჰყვა ჩამორჩენა, დიდი ხარვეზები და ჩრდილოვანი მხარეები.

ზემოთ ჩამოთვლილი უმსგავსო მოვლენები ქალაქ გაგრასაც შეეხო, რასაც მოჰყვა გაგრის ზონის სახალხო მეურნეობის ბევრი დარგის დაქვეითება, კერძოდ მერვე, შემდეგ კი მეცხრე ხუთწლედის პირველ წლებში ვერ სრულდებოდა საგეგმო დავალებები კაპიტალური მშენებლობის დარგში, უყაირათობა და მფლანგველობა იყო გამეფებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ყურადღება არ ექცეოდა მიწის ფონდის დაცვას. იყო სახელმწიფო მიწების ფლანგვისა და დატაცების ფაქტები. გაგრაში შრომის დისციპლინის მოშლამ, ყალბი კეთილდღეობის ატმოსფერომ ბევრად დააქვეითა ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა, ადგილობრივი მრეწველობის მრავალი დარგი.

აღნიშნული დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა გაგრის პარტიულ ორგანიზაციებში მტკიცე ხასიათს ატარებს, მისი სრული ლიკვიდაციისა და დაძლევისკენაა მიმართული.

ნაკლოვანებების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო. პირველ რიგში განმტკიცდა სახელმწიფო დისციპლინა. მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული

გაგრის ზონის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში, მრეწველობის დარგში.

სოციალისტური ვალდებულების გადამეტებით მოლებულია ათობით ტონა ხორცი, რძე, ყურძენი, თამბაქო, მარცვლეული კულტურები, ხილი და ციტრუსები, ბოსტნეული. გაგრის ზონის ყველა მეურნეობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა წველადობის მაჩვენებელი ერთ საფურაჟე ძროხაზე.

უკანასკნელ წლებში ორგანიზებულად მიმდინარეობს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები, დიდი ყურადღება ეთმობა მარცვლეულის, თამბაქოს, ხილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდებას, მის ხარისხს. საქართველოს კომპარტიის 1975 წლის პლენუმის დადგენილება „საქართველოს შეუძლია და იგი უნდა გახდეს მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა“ გაგრელებმა სამოქმედო პროგრამად მიიღეს და მეცნიერული მეთოდების გამოყენებით პრაქტიკულად ახორციელებენ მას.

გაგრელ მშრომელებს კარგად ახსოვთ ჯერ კიდევ 1970 წლის 3 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წარმოთქმული ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები: „ერთხელ კიდევ უნდა გავუზიაროთ ერთმანეთს აზრები სოფლის მეურნეობის საკითხებზე, უნდა განვსაზღვროთ პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის კონკრეტული ამოცანები, აგრეთვე შევიმუშაოთ სოფლის მეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მისი რეზერვების უკეთ გამოყენების ღონისძიებანი“.[12]

გაგრის ზონის პარტიული ორგანიზაცია ერთ-ერთი მტკიცე და ბრძოლისუნარიანი ორგანიზაციაა აფხაზეთისა და საქართველოს რესპუბლიკაში, პარტიის ქალაქკომის მიერ მეცხრე ხუთწლედის ბოლო წლებში და მეათე ხუთწლედის პირველ წელს გატარებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები ცხადყოფენ მის სისხლსავსე პოლიტიკურ და ორგანიზატორულ საქმიანობას ზონის სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში. როგორც მთელს ჩვენს რესპუბლიკაში, ასევე გაგრის ზონის ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ უკანასკნელ წლებში მომხდარი ძვრები და გარდაქმნები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის ისტორიული დადგენილების „ქ. თბილისის პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის შე-

---

[12] **ლ. ი. ბრეჟნევი,** *პარტიის მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში, გაზ. „კომუნისტი“, 1970 წ., 3 ივლისი.*

სახებ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე" შედეგია. მიიღეს რა სამოქმედო პროგრამად აღნიშნული დადგენილება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის, საქ. კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის პლენუმის „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ" და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის 1976 წლის 22 ივლისის დაგენილება, რუსთაველ მეტალურგთა და აბაშის რაიონის სოფ. ტყვირის სტალინის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნეთა თაოსნობა, გაგრელი მშრომელები ძალასა და ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებენ, პირნათლად შეასრულონ პარტიის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

საბჭოთა მთავრობის დირექტივები გაგრელ კომუნისტებს, ზონის ყველა მშრომელს აძლევს შრომისა და ბრძოლის ახალ მძლავრ იმპულსს, რათა კიდევ უფრო განამტკიცონ სოციალისტური დისციპლინა, თავდადებით იბრძოლონ წარმოების კულტურის, პროდუქციის გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, რათა ღირსეული წვლილი შეიტანონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მისი ეკონომიკის შემდგომ აღმავლობაში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

გაგრის ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა . . . 3
ცნობები გაგრის შესახებ ძველი და საშუალო საუკუნეების წყაროებში. გაგრა — რუსეთის ციხე-სიმაგრე XIX საუკუნეში 5
კურორტის მშენებლობა რევოლუციამდე (გაგრის კლიმატური სადგური) 20
გაგრის რევოლუციური წარსულიდან 41
საკურორტო მეურნეობის განვითარება და გაგრის ხვალინდელი დღე 49
ქალაქის ეკონომიური და კულტურული განვითარება . . 62

ფასი 10 ₾.

ბ 139/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა